


მსუ



ლიტერატურული ჟურნალი № 4 (57)

მსაქმისადადამსახურებისათვის

2022



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა
The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახომი საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი
რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი
მხატვრული რედაქტორი
სოფიო ქელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www. nplg. gov. ge](http://www.nplg.gov.ge) —
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან
ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ
მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“



№4, (57), 2022

სექტემბერი



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

თელავი – ქალაქი მდიდარი ისტორიით

2. გიორგი გოცირიძე. თელავის ისტორიის
ნარკვევები

მხატვრული ლიტერატურა

8. ვანო ჩხიკვაძე. გვირაბი. რომანი

21. გიული ჩინიაშვილი-ვანვანიაშვილი.
ლექსები

23. თორნიკე კანლაღაძე. ლექსები

26. როლანდ გიორგაძე. წითელი კაბა.
მოთხრობა

30. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება.
რომანი

35. ჯამალ შანიძე. ლექსები

37. ანა მანოშვილი. ლექსები

39. მაია დიაკონიძე. მოთხრობები

43. ზოია ქამსაშვილი-ცერცვაძე. ლექსები

44. ნათია გოტკოველი. მინიატურები

გავევებისთვის საკითხავი

46. ივანტა პავლიაშვილი. ლექსები

სიტყვა ხელოვანს

47. რაფო აღამია. ქმედებითი
გარდაუვალობა ბუმერანგისა

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

51. ზაალ გოტკოველი. ცეცხლივით
მოგიზგიზე

56. ზაირა მინდალი. იქნებ, ჯერ კიდევ, არ
არის გვიან?!

ნარიღები

58. სოფიკო გვრიტიშვილი. „დედუღეთო
სიყვარულო ჩემო“

*თელავის კულტურული ცხოვრების
ქრონიკა*

**63. თელავის თეატრის წარმატება
საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე**

გარეკანის პირველ გვერდზე
მხატვარი შალვა მატუაშვილი.

ავტოკორტრატი



მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მეფეებმა სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თელავიდან გრემში გადაიტანეს, თელავმა მაინც შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური სიძლიერე, საქალაქო ცხოვრების გარკვეული დონე. ქალაქში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი მშენებლობებიც: XVI ს-ში საფუძვლიანად აღადგინეს და გადააკეთეს V-VI საუკუნეებში აშენებული „ღვთაების ეკლესია“, „გორიჯვრის“ ციხე-დარბაზში კი წმინდა გიორგის სახელობე ააგეს ე.წ. „გორიჯვრის“ ქართული ეკლესია, რომელიც მოგვიანებით, XVIII ს-ში, ერეკლე II-მ სომხებს უბოძა. ამ უკანასკნელებმა იმდენად საფუძვლიანად გადააკეთეს ტაძარი, რომ მისი თავდაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმები ძნელადღა შეიმჩნეოდა. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი მშენებლობები ჩატარდა „ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზში. კერძოდ, მეფეთა ძველი სასახლე საცხოვრებელ ნაგებობად აღადგინეს. მისი კედლები აშენებული იყო ზომიერი რიყის ქვით, მცირე ზომის ოთხკუთხა ფორმის აგურით, განსხვავებული დუღაბით და ქვის თანაბარი, „თევზიფხურის“ მსგავსი ნყოფით. „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დილეგი და სამლოცველო თავისი კონსტრუქციით მუსულმანური ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდა და ამავე პერიოდში უნდა ყოფილიყო აგებული.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ თელავში XVI ს-ში საუკუნეში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარებულა ქალაქმშენებლობის თვალსაზრისით, რაც კიდევ ერთი მანიშნებელია იმ დროს კახეთის ეკონომიკური მომძლავრებისა. სამწუხაროდ, როგორც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, ისე თელავის განვითარება შეაფერხა ირანის შაჰის, აბას I-ის, მიერ 1614-1617 წლებში განხორციელებულმა გამანადგურებელმა შემოსევებმა. მან „მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარა და მოაოხრა ეკლესიანი, ხატნი და ჯუარნი შემუსრნა და სამკაულნი მათნი ჰყო ხარჭვათა თვისთა აღსამყოფელად“. ამასთან ერთად, კახეთს დაღესტნელი მთიელებიც მოედევნენ, ოდესღაც აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევებზე ტყე გაიზარდა, ირგვლივ გავერანდა ყველაფერი. ამის მიუხედავად, იმ ხანის მოგზაურთა ცნობით (ჟ. შარდენი, ნ. ვიტსენი), მთელი XVII ს-ის მანძილზე თელავი მაინც ინარჩუნებს ქალაქის ფუნქციებს.

თელავის შემდგომი განვითარება, ე.წ. მეორე აღმავლობის პერიოდი, დაკავშირებულია XVII ს-ის 60-იან წლებთან, როდესაც ირანის შაჰმა კახეთი ვახტანგ მეფის ძეს, არჩილს (1664-1675 წწ.), უბოძა. მემატანე მას მიაწერს სამეფო რეზიდენციის თელავში გადატანას: „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და



გიორგი გოცირიძე

დასხნა ეპისკოპოსნი... და იყო შვებასა და ნადირობა-ნადიმობასა შინა... ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და იყვნენ შეერთებული ქართველთა თანა ყოველითურთ.“

არჩილის შემდეგ ირანის შაჰის კახეთის მაჰმადიან მოხელეებს დედაქალაქი თელავიდან სპარსულ ყაიდაზე აშენებულ ქალაქ ყარალაჯში გადააქეთ. 1706 წელს კი კახეთის ქართველმა მაჰმადიანმა მეფემ დავით II იმამყული ხანმა (1703-1722 წწ.) სატახტო ქალაქი ყარალაჯიდან კვლავ თელავში გადმოიტანა და აქ დაიწყო ციხე-სიმაგრის აგება ლეკთა თავდასხმებისაგან დასაცავად, რომლის დასრულება დაკავშირებულია ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) სახელთან.

ერეკლე II-ს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თელავის ისტორიაში. ქალაქი, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა, სწორედ მის დროს გადაიქცა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად. დაიწყო მესამე აღმავლობის პერიოდი. 1758 წელს ერეკლე მეფემ თელავში ახალი კარის ეკლესია ააგო, ხოლო 1766 წელს დარეჯან დედოფალმა დაიწყო საზარბაზნე ბურჯის აგება.

1758 წელს ერეკლე II-ისა და ანტონ I კათალიკოსის თაოსნობით თელავში გაიხსნა საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზი, ხოლო შემდეგ მას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი მოღვაწე დავით მესხიშვილი. აღნიშნული სასწავლებელი იქცა განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვან კერად, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მის კედლებში მიიღეს განათლება დავით, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებმა, შემდეგ საუკუნეებში კი არაერთმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ: ვაჟა-ფშაველამ, რაფიელ ერისთავმა, იროდიონ ევდოშვილმა, ლადო მესხიშვილმა, კოტე მარჯანიშვილმა, სანდრო ახმეტელმა, ივანე ბერიტაშვილმა და სხვებმა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სასულიერო სემინარიამ 1801 წლამდე იარსება. 1808 წელს სასულიერო სემინარიის შენობაში სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც 1917 წელს ვაჟთა გიმნაზიად გადაკეთდა, 1921 წლიდან კი ის პირველ საშუალო სკოლად მოიხსენიებოდა. დღეს იგი ამაყად ატარებს მეფე ერეკლე მეორის სახელობის თელავის პირველი საჯარო სკოლის სახელს.

XIX ს-ის თელავის სწავლა-განათლების კერებს შორის გამოირჩეოდა ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძის მიერ 1865 წელს დაარსებული წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, სადაც მოღვაწეობდნენ ვასილ და ალექსანდრე ბარნოვები, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ივანე როსტომაშ-





ვილი, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ნიკო სულხანიშვილი, დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი) და სხვ. სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა 1927 წელს თელავის ისტორიული მუზეუმის დაარსება. ერეკლე II-ის დროს, თბილისის მსგავსად, ქალაქ თელავშიც მოღვაწეობდნენ ცნობილი პოეტები: ბესიკ გაბაშვილი და საიათნოვა. სამეფო კარზე იდგმებოდა სპექტაკლები ქართული და უცხოური რეპერტუარებიდან. მასში მონაწილეობდნენ მოგვიანებით კრწანისის ბრძოლის დროს გმირულად დაღუპული გაბრიელ მაიორი და მაჩაბლის დასის წევრები. თეატრალური ტრადიცია გაგრძელდა შემდეგშიც. აქ სპექტაკლებს დგამდნენ და მასში მონაწილეობას ლეზულობდნენ კოტე მარჯანიშვილი, ლადო მესხიშვილი, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მაიკო საფაროვა-აბაშიძისა, მარინე თბილელი და სხვ.

ერეკლე II-ის სახელთან არის დაკავშირებული ღონისძიებების გატარება თელავის მოსახლეობის რაოდენობის გასაზრდელად, ხელოსნობის ასაღორძინებლად და ვაჭრობის გასაფართოებლად. კერძოდ, მან განჯელი და ყარაბაღელი სომხების 60 კომლი „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე ჩაასახლა, ხელი შეუწყო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, საბაზრო მეურნეობის ზედამხედველებად საგანგებო მოხელეები, ბაზრის მოურავი-ტარულეები დანიშნა. 1772 წელს თელავს ესტუმრა ცნობილი გერმანელი მოგზაური ი. გიულდენშტეტი, რომელმაც მის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა.

ამრიგად, XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში თელავში საკმაოდ ნაყოფიერი მშენებლობა წარმოებდა. ამ პერიოდში თელავში აშენდა სამი დიდი ციხე-გალავანი, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი „ბატონის ციხეს“ უკავია. მის მშენებლობაში ორი ეტაპი გამოიყოფა: პირველი ეტაპის დროს, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს არჩილის მეფობის წლებს (1664-1675 წწ.), აიგო სასახლე, კარის ეკლესია, აღმოსავლეთის ალაყაფის კარი და აბანო, და მეორე – ერეკლე II-ის დროინდელი,

რომელიც XVIII ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ამ დროს აშენდა ზღუდე კუთხის მრგვალი ბურჯებით და დასავლეთის ალაყაფის კარი.

„ბატონის ციხის“ არქიტექტურულ ანსამბლს მიეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეების მეფეთა რეზიდენცია. იგი მდებარეობს კაკლის ხეებსა და ბატონის წყაროს შორის და აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ფართო ვაკე ადგილები ერტყმის. გარდა ამისა, „ბატონის ციხის“ კომპლექსი მოიცავს: ზღუდეს, კარის ორ ეკლესიას, აბანოსა და გვირაბს. მასვე მიეკუთვნება ზღუდის გარეთა მრგვალი ბურჯი.

ამ პერიოდის თელავის მეორე მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ვახვახიშვილების ციხე, რომელიც ბატონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მისგან შემორჩენილია მხოლოდ კუთხის 5 ბურჯი და აღმოსავლეთის ზღუდის ნაწილი. ვახვახიშვილების ციხე აგებულია რიყის ქვის თანაბარი წყობითა და დულაბით. ციხის ეზოში მდგარა ეკლესია, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს მიშენებული ჰქონია ეკვდერი. მასზე მდგარა პატარა სამრეკვლო 6 თალით. ეკლესიის მახლობლად მარი ბროსემ 1850 წელს აღმოაჩინა ქვა, რომლის წარწერიდან გაირკვა, რომ ციხე 1743 წელს ბაზიერ-თუხუცეს ზაალ ვახვახიშვილს აუგია.

XVIII ს-ში აგებულ მესამე არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს კახეთის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალის, ყორჩიბაშიშვილ-რუსიშვილის მიერ აგებული ციხე-გალავანი, რომელიც ღვთაების ეკლესიის უძველეს ნამოსახლარ ბორცვზეა აგებული. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, კერამიკული ნაწარმი კი, XVII ს-ის დასასრულითა და XVIII ს-ის დასაწყისით თარიღდება.

მოპოვებული წერილობითი და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ XVIII ს-ის ბოლოსა და XIX სს-ის დასაწყისის ქალაქ თელავის საცხოვრებელი უბნებისა და მოსახლეობის განსახლების რუკა. 1802 წლის გეგმის მიხედვით, თელავი 3 ნაწილისაგან შედგებოდა. ქალაქის



ძველი თელავი





მთავარი და საქმიანი ცენტრი იყო „ბატონის ციხის“ ტერიტორია. მეორე ნაწილი მდებარეობდა ვახუშტის ციხის მიდამოებში, ხოლო მესამე – ყორჩიბაშიშვილების კუთვნილ ციხესიმაგრესთან. ამას ემატებოდა ქალაქის მე-4 უბანი, „ძველი გალავანი“, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაშიც აქტიურ როლს თამაშობდა ქალაქის ცხოვრებაში თავისი ხელოსანთა უბნებით, სავაჭროებით, ამქართა სალხინო ბალებით და სხვა. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის თელავი წარმოადგენდა ტიპურ ფეოდალურ ქალაქს 740 კომლით, 3700 სულით, რომელშიც იდგა 4 ძლიერი ციხე-გალავანი თავისი სასახლეებითა და ეკლესიებით. ისინი მტკიცედ იცავდნენ ციხესიმაგრეების გარეთ დარჩენილ ქალაქის მცხოვრებლებსა და მათ სავაჭრო-სახელოსნო დუქნებს. ეს 4 ციხესიმაგრე ერთმანეთისაგან პატარ-პატარა ღელეებით იყო გამოყოფილი და ქალაქს ჩრდილოეთიდან იცავდა. ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანის გადმოცემით: „ოთხი ესე გალავანი დგას ხაზზედ მალლობიდან დამჭვრეტელი დაბლა, პირ მიმართული ჩრდილოეთის კავკასიის მთისაკენ და იქიდან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონ ბუნებას.“

ქალაქს ორი ძირითადი შესასვლელი კარი ჰქონდა: შიდა კახეთთან დამაკავშირებელი აღმოსავლეთის მხრიდან და პანკისის ხეობასთან – დასავლეთის მხრიდან. ჩრდილოეთიდან ქალაქი უკავშირდებოდა მის ირგვლივ მდებარე სოფლებს, ხოლო სამხრეთის მხრიდან ერტყა „წვრილი ტყიანი ვრცელი აღმართი, აშლილტყიანი მალალი ცივი მთის ნაპირი ლამაზი

ღელეებით და ხეებით“. ქალაქი წარმოადგენილი იყო საშუალო და მცირე შენობებით, ქუჩა-ბალებით და უღელეი სავაჭროებით, „ბატონის ციხის“ დასავლეთ კარიბჭის წინა მოედანზე მდებარე თელავის ბაზრით, რომელიც შედგებოდა სამრიგად ჩამწკრივებული სავაჭრო-სახელოსნო დუქნებისაგან, „ბატონის ციხის“ სამხრეთით მდებარე მოედნით მოქალაქეთა სალხინოდ და საასპარეზოდ, ორი აბანოთი, რომელთაგან ერთი მეფეთა კარის აბანოს წარმოადგენდა და მდებარეობდა „ბატონის ციხის“ გალავნის შიგნით და მეორე, ქალაქის ერთსართულიანი, 7-განყოფილებიანი აბანო, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა, „ძველ გალავანში“ მდებარე ხელოსანთა უბნით, რომელიც დღესაც ცნობილია „დაბახანების“ სახელწოდებით, იქვე, ყადორის ბორცვზე გაშენებული სალხინო ბალებითა და საამქრო ნაგებობებით, დღევანდელი ნადიკურის პარკის მიდამოებში მდებარე სამაროვანით.

მართალია, თელავი სამეფო ქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ აქ მეფეს ძალაუფლებას უყოფდნენ ძლიერი თავადები: ვახუშტის შვილები და ყორჩიბაშიშვილები. აღნიშნული პერიოდის ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ თელავის მოსახლეობის ორ მესამედს ხელოსნები შეადგენდნენ. იმ დროს ხელოსნობის წამყვანი დარგები ტყავის დამუშავება და საღებავების წარმოება იყო, მაღალ ღონეზე იდგა აბრეშუმის წარმოება, ცალკე იყო გამოყოფილი მენაღეთა და მექუდეთა დუქნები. 1802 წელს ჩატარებული აღწერით თელავში მუშაობდა 234 ხელოსანი და 60 სავაჭრო დუქანი. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, თელავის „დაბახანა“ თავისი დუქნებით ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც ის გაქირავებული ჰქონდა. სახელი „დაბახანა“ მომდინარეობს სიტყვა „დაბალი“-დან, რაც ტყავის გამომყვანს ნიშნავს.

XVIII ს-ის ბოლოსათვის თელავის მოსახლეობა შემცირებული ჩანს. მას შეადგენდა 327 კომლი, ანუ 1 635 სული. აქვე წარმოვადგენთ თელავის მოსახლეობის დინამიკას. 1835 წელს ქალაქში აღირიცხა 2680, 1865 წელს – 7300, 1897 წელს – 13929 მოსახლე. 1954 წელს თელავში უკვე 65 ქუჩა იყო 13284 ადამიანით, ხოლო 2002 წელს თელავის მოსახლეობის რიცხვმა 21 800 მიაღწია. მომდევნო წლებში ქალაქის მოსახლეობა შემცირდა და 2014 წლისთვის მისმა რაოდენობამ 19629 სული შეადგინა.

XIX ს-ის დასაწყისიდან თელავმა სრულიად ახალი, განსხვავებული არქიტექტურული სახე მიიღო, რაც გამოწვეული იყო ცვლილებებით საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ იგი სატახტო ქალაქიდან გადაიქცა თბილისის გუბერნიის ერთ-ერთ სამაზრო ქალაქად. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის მიუხედავად, ომიანობის შეწყვეტამ და ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ მაინც კეთილისმყოფელი





გავლენა იქონია თელავის მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა მოთხოვნილება შინამრეწველობის საგნებზე და ვაჭრობის განვითარებაზე. ყოველივე ეს კი აისახა ქალაქის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე და ქალაქის იერსახეზე.

1851 წლის სტატისტიკური აღწერით, თელავის 5325 მაცხოვრებლისგან 89%, ანუ 4749 ვაჭარ-მრეწველთა და მომსახურეთა ფენას ეკუთვნოდა, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი 11% თავადაზნაურები, სასულიერო პირნი და ყმაგლეხობის სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. 1802-1819 წლებში ხელოსანთა სავაჭროების მჭიდროდ გაშენებული ახალი ქუჩა, შემდეგში „ზემო ბაზრად“ წოდებული, გაშენდა. ქალაქის ფართობი ძველ ფარგლებს გაცდა. მოსახლეობამ თანდათან ქალაქის ტყის ტერიტორია დაიკავა. გაიზარდა საცხოვრებელი სახლების რაოდენობა. მათგან გამოირჩეოდა მრავალსვეტიანი აივანიანი სახლები, რომლებმაც ხეივნებსა და საყრდენ კედლებთან ერთად შექმნეს ლამაზი არქიტექტურული ანსამბლები.

XIX ს-ის 50-იანი წლების სტატისტიკური აღწერით, თელავში უკვე 800-მდე სახლი (მათგან 567 ქვის) და 267 დუქანია. მათი რაოდენობა საუკუნის ბოლოსათვის ათასამდე გაიზარდა. XIX ს-ის ბოლო და XX ს-ის დასაწყისი ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობით აღინიშნა. მათი უმრავლესობა თელავის ახალ უბანში, რუსეთის იმპერიის დროს ყოფილი „მესამე აღმართის“, დღეს კი ელენე ახვლედიანის ქუჩის და ნადიკურის ქუჩის დასაწყისში აიგო. მათი მეპატრონეები, როგორც სომეხი, ისე ქართველი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. სახლის ასაშენებლად მსურველს გარკვეული წინააღობები უნდა გადაეღებინათ. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქალაქის მამასახლისის თანხმობა, შემდეგ ქალაქის პოლიციის ბოქაულისა და მაზრის უფროსის ნებართვები, არქიტექტორის მიერ სახლის ნახაზის დამტკიცება და, ბოლოს, თბილისის გუბერნატორის დასტური.

ყორჩიბაშიშვილებისა და ვახვახიშვილების ციხეებმა თანდათან დაკარგეს კედლები და მხოლოდ ზოგიერთი კუთხის ბურჯები შეინარჩუნეს, რომლებიც შეერწყნენ ზედ მიდგმულ საცხოვრებელ სახლებს. „ძველ გალავანთან“ ახალი მშენებლობა მხოლოდ ციხის გარეთ გაიშალა, „ბატონის ციხეში“ კი პირიქით – მის შიგნით. XIX ს-ის განმავლობაში აქ გაშენდა: სატყსალო, ხაზინის შენობა, ძველი სემინარია გადაკეთდა ოფიცერთა სახლად, შემდეგ კი კვლავ სასწავლებლად. თვით მეფეთა სასახლე 70-იან წლებში გადაკეთდა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლად, ხოლო მეფის კარის ეკლესია – სამრევლო ეკლესიად.

მშენებლობის აღმავლობამ გაზარდა მოთხოვნილება საშენი მასალის წარმოებაზე. 1851 წელს თელავში 10 აგურის, 4 კრამიტის, 6 ჭურჭლის ქარხანა მუშაობდა. ქალაქისა და მისი შემოგარენის

საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოთხოვნილებას დამატებით 2 დაბახანა ემსახურებოდა.

XIX ს-ის შუა ხანების თელავის საზოგადოების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც 1857 წლის ივნისში სტუმრებია ქალაქს და მოხიბლულა თელავის მაღალი საზოგადოების წრის ქალბატონების სიმშვენიერითა და თავდაჭერილობით, ევროპული ყოფით.

თელავის წარსულის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით თელავის მემატეიანის, ივანე პაატაშვილის, 1947 წელს დაწერილ ნარკვევში „ფიქრის გორა“. მასში ბევრ საყურადღებო ფაქტთან ერთად, ავტორს მოთხრობილი აქვს ათასწლოვანი ჭადრის შესახებ, რომლის ბაღში თელავის ამქრები მაისის თვეში იხდიდნენ ე.წ. „საღვთოებს“. დროის ტარება და ღვინო სამ დღეს გრძელდებოდა, რომლის დროსაც ამქრის უსტაბაშები ლოცავდნენ ხელობაშესწავლილ ახალგაზრდებს და აღნიშნავდნენ მათ მიერ სწავლის დამთავრებას. სწორედ ამ ჭადრის ქვეშ უმასპინძლდებოდნენ თელაველები ქალაქში ჩამოსულ გამოჩენილ პიროვნებებს. მათ შორის იყო აკაკი წერეთელიც, რომელსაც ქალაქის ინტელიგენციამ 1911 წლის 21 ივლისს კახური ღვინო გაუმართა.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ქალაქის მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ. თელავს, საქართველოს სხვა დიდი ქალაქების მსგავსად, გარკვეული თვითმმართველობა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაში ჰქონდა. შეზღუდული უფლებებით საქართველოს ქალაქებში, მათ შორის, თელავში, მართვა-გამგეობას მოურავის ინსტიტუტი ასრულებდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თელავი სამაზრო ქალაქად და მაზრის უფროსის, კაპიტან-ისპრავნიკის, რეზიდენციად იქცა.

XIX ს-ის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმებამ კაპიტალიზმის განვითარებასა და ბურჟუაზიული რეფორმების გატარებას დაუდო სათავე. მათ შორის იყო საქალაქო რეფორმა, რომელიც თავდაპირველად იმპერიის მხოლოდ დიდ ქალაქებს შეეხო. თელავმა საუკუნის ბოლოს, 1896 წელს, მიიღო შეზღუდული, გამარტივებული სტრუქტურის მქონე თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. ქალაქის თვითმმართველობის რწმუნებულთა კრება, რომლის წევრებიც ვაჭარ-მრეწველთა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, ფაქტობრივად, მხოლოდ თავისი ვიწრო ინტერესების სამსახურში იდგა, არაფრად აგდებდა ქალაქის ქართველი მოსახლეობის ინტერესებს და მამასახლისის ნების უსიტყვო შემსრულებელი იყო.

ასეთი ვითარების შედეგად ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ქართველებისაგან შედგებოდა, მმართველი ხელისუფლების პოლიტიკას იწუნებდა, საქალაქო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა და ამით გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას. თელავის საქალაქო თვითმმართველობის ხელმძღ-





ვანელთა ვინრო პირადი და კლასობრივი ინტერესების, გარკვეულწილად ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, რომელსაც მხარს უჭერდა ცარიზმის ხელისუფლება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯები იდგმებოდა, რითაც ხელისუფლება წინარე ხანის საპოლიციო მმართველობასთან შედარებით უფრო ნაყოფიერად გამოიყურებოდა, თუმცა რეაქციული კანონმდებლობის მოქმედებისა და ფინანსური სახსრების სიმცირის პირობებში მან ვერ შეძლო დროის მოთხოვნების შესაბამისად გარდაექმნა საქალაქო ცხოვრება. XIX ს-ის ბოლოსათვის თელავი ჰგავდა მივარდნილ სოფელს თავისი მოუკირწყლავი, წვიმების დროს ატალახებული და გაუნათებელი ქუჩებით. 1918 წლის მაისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, ძველმა თვითმმართველობამ მუშაობა შეწყვიტა.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობების, ერობების განვითარებას და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ აღმშენებლობის ეს პროცესი შეწყდა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თელავი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით თელავის მაზრის ცენტრს წარმოადგენდა, 1929 დაყოფით კახეთის ოლქში შემავალი თელავის მაზრის ცენტრი იყო, ხოლო 1930-იდან ცალკე გამოყოფილი თელავის რაიონის ცენტრი გახდა.

ასე გადაიქცა თელავი ტიპურ საბჭოთა ქალაქად. საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მსგავსად მისი მოსახლეობაც ჩაბმული აღმოჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ყველა პროცესში: ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობაც მიმდინარეობდა და კომუნის მიმშენებლობაც, ფაშისმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლაც და ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცებაც; ქალაქი შენ-

დებოდა, მისი იერსახე იცვლებოდა, სოციალ-ეკონომიკური პირობები უმჯობესდებოდა; ქალაქს ჰქონდა მიღწევები სპორტში, კულტურასა და განათლებაში; რეპრესიებმა, რომელმაც რამდენიმე ტალღად გადაუარა თელავის მოსახლეობას, სისხლის ტბები დააყენა ქალაქში. მოკლედ, ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმატებები და წარუმატებლობები.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სინამდვილეში თელავი წარმოადგენდა ერთადერთ მცირერიცხოვან ქალაქს მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, სადაც ნებადართული იყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირება. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა თელავს წლების განმავლობაში განუმეორებელ შტრიხს სძენდა მის ფარგლებში სამი ინსტიტუციის არსებობა: უმაღლესი სასწავლებლის, სახელმწიფო მუზეუმისა და სახელმწიფო დრამატული თეატრის. ისინი დღესაც ქალაქის სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მის განვითარებაში. 2014 წელს თელავი მცირე ხნით თვითმმართველ ქალაქად იქნა გამოცხადებული. ამ სტატუსის დაკარგვას თელავის საზოგადოების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

როდესაც თელავის ისტორიას ეცნობი და მას აანალიზებ, დაკვირვებული მკვლევარი ადვილად გამოკვეთს ერთ კანონზომიერებას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მის არსებობას. ესაა ქალაქის, მისი მოსახლეობის საოცარი უნარი ისტორიული ქარტეხილების სხვადასხვა ეტაპზე ხელსაყრელი ვითარების შექმნისთანავე დიდ წარმატებებს მიაღწიოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ასპარეზზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შესაბამის პირობებს შექმნის ქალაქ თელავის განვითარებისათვის, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მისთვის რეალური თვითმმართველობის მინიჭებას, და ამით დააფასებს ქალაქ თელავის ღვაწლსა და ამაგს საქართველოს ისტორიაში.



პანო
ჩხიკვაძე



ქართული ჟურნალი „ლოცვა“ №2, 3, 2022 წ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლოცვა“ №2, 3, 2022 წ.

ქ ძალი, მაგალითად, ეგრეთ: აუშვერენ, შესხიან ჭაჭვს
ქ და საყულოს, ისინი გაირბენ-გამოირბენს, გავარდენა, გამო-
ქ ვარდენა, მოივლის მთელი სოფელის, გავთამაშებ, ვინც შეს-
ქ ვდენა, მხიარული ყუფით ამერბის თავის ზეფნიერებას და,
ქ თავისუფლების ჰაერით ძლომაზე განურთულოს, როგორც კი
ქ მოშივდენა, მაშინვე საძალღოესთან დატოვებული, გამოსახრავი
ქ ძვლი გაახსენდენა... უძღენი შვილივით ისეც იქ დაბრუნდენ-
ქ ბა, პატრონს ხელისგულს აულოკავს და ჭაჭვსა და საყულოს
ქ ნებით შეიბამს... ძვალსავე, რა თქმა უნდა, მაშინვე კნანაკუნს
ქ აუტყვის!.. ადამიანსავე, ძალღის ჭაჭვი რომ არ განია, ჯერ კიდევ
ქ არ ნიშნავს, რომ დაბმული არ ხარ!.. აბა, შენ ნებზე განიო,
ქ ძვალთან თუ მიგიშვერენ!..
ქ

ვანო ჩხიკვაძე

ბპირაბი
(რომანი)

* * *

„ვისაც ბევრი აქვს, ის უფრო თავგასულობს, რალა უნდათ, თავის ქერქში, ბანჯგვლიან, მსუქან სინოყივრეში ვერ დაეტივიან?!“

„ვერა, თომა, ადამიანს იმდენი არასოდეს ექნება, რომ თქვას, მეტი აღარ მიხდაო“.

„რატომ? ეგ ხომ ჩემმა საახალწლო ქუცუნამაც იცის – ნახადით გულს როცა იჯერებს, სალაფავს თავს მიანებებს, გამძღარი, მუცელგაბურთული, მადლიერი ღრუტუნით საღორეს ჩრდილის მხრიდან მიუწვება, რომ არ დაისიცხოს... მიწვება და ნებირად, ნასვამ-ნაჭამი ინელებს... თან, რომ იცოდე, აპრიხავს კუდს და, მონელებულს უხვად აალაგებს ხოლმე ხონჩაზე დანყობილი, შემწვარი ვაშლებივით... ისა კმარობს-მეთქი, სიხარბით ლაშებიდან შადრეგანივით რომ მოსჩქეფს ნახადი... ამათ კიდევ, სულ მზეში უნდათ დგომა! არა, ერთი მზესაც ჰკითხონ, სიამოვნებს უძღომელა ორფება გომბეშოების ყურება?“

„აბა, რა გითხრა, კენტებრიელო, ორი ისეთი ნეზვი მეც გავზარდე, ძღომას რომ ვერ იგებენ“.

„მერედა რატომ, მონყალეო ხელმწიფეო, ეგ მუშტი მუშტში უფრო ადრე რომ შემოგერტყათ, იმ შხამიან საფუარს თუ სამდედრო კვეთს ხომ არ ჩაუშვებდით ინგლისის დედოფლის საშოში!“

„არა და არა, ოდნავ მაინც რომ მეგუმანა, რა ჯოჯოხეთს მომიმზადებდნენ, ჩემი დაყრილები... მაგრამ ახლა რა შემიძლია, ლირი – უკანასკნელ ბაცაცა მოჯამაგირეზე უფრო ლატაკი, მიუსაფარი მეფედყოფილი, ლაფში

ამოვლებული გვირგვინით, სასოებით რომ უტარებიათ ჩემს წინამორბედებს“.

„ეგ ფუყე მაღალფარდოვანება ამინდს ვერ შეცვლის!.. თქვენს პირად და მთლად ინგლისის ტახტის ტრაგედიაში, სახარბიელო ჭკუის სასწავლი მხოლოდ ის არის, ასე რომ არ მომხდარიყო, ვერც სამეფო და ვერც თქვენი, შუალამის სიგრილით გათოშილი გოგრა იგრძნობდა, რა უსაზღვროა ადამიანის, ანუ ავხორცი ნეზვების მტაცებელი ბუნება, თუნდაც ჩვენი შვილები იყვნენ!“

„მერე რად მიხდა, რალაში მარგია იმის ცოდნა, რაც სულსა მხდის და ძვლებს მიდნობს“.

„თქვენს მაგალითზე სხვა მაინც გონს მოეგება, ჭკუას ისწავლის, ასე ხელუკულმა არ გაანიავებს ტახტის ავლადიდებას!“

„ეჰ, თომა, განა სხვის მაგალითზე ჭკუანასწავლი, თუ კედელს თავისი ცხვირ-პირი არ მიანაყა, ვინმე გინახავს?!. აი, აქ, გულის მხარეს, გაუთავებლად მწინკნის, მწინკნის, მწინკნის, როგორც აბეზარი ზაფხულის ჭრიჭინა სიჩუმით გათანგულ შუალამეს!“

„ჩემო ბატონო, საწუგეშოდ ისლა დაგვრჩენია, რადგანაც წინკნას გრძნობთ, მაშასადამე, ჯერ კიდევ ცოცხალი ხართ და, თქვენი ღრმად შეურაცხყოფილი, ოდესლაც ქვა-გული, რომელმაც ეგებ დაიმსახურა კიდევაც ეს განსაცდელი, ფეთქავს, ვით მძიმედ აღჭურვილი ლეგიონერის ხორკლიანი ფეხსამოსის ქვეშ სლიკინა ლოკოკინა – გვირგვინით შემკული თავის ნაცვლად, საკუთარი ხელით დადგმული რქები რომ ამშვენებს!.. კიდევ გცივათ, კიდევ – ბატონო? რაც გამაჩნდა, ყველაფერი მოგახ-



ურეთ და, საიდან და როგორ მოვიაროთ, ცოტათი მაინც რომ მოგიმყუდროვოთ... რა ვიღონო, როდესაც თქვენი წინდაუხედაობით ოთხივე კედელი უნუგე-მოდ ჩამოშლილია?!”

„კარასკო, ეგ ბოლო სტრიქონი რომელი სონეტიდანაა... თითქოს მეცნობა და აღარც მეცნობა.“..


„სტრიქონი როგორღა უნდა იცნოთ, როდესაც ლამის თქვენი დაბადებიდან ფეხთამტვერი გრაფი კენტიც კი ვერ მიცანით და დამწყები პოეტი გგონივართ, პირველი ტომის მეთვრამეტე თავში უნიჭო ლექსებით რომ ბაზრობს... თავმდაბლობა კი გმვენით, მაგრამ ან მანდედან რალა სიკეთეს გამოადნობთ?! მითუმეტეს, ამას თუ უგუნური ხელგაშლილობაც დაემატება!.. აჰა, შედეგიც, ტახტიდან გადმოგაბრძანეს, მწვანე თივთიკის კამზოლითა და წითელი ტოლედური არახჩანით დამშვენებული, ამ დასაქცევი თუ უკვე დაქცეული ბესტაეთის ლამის გზას გამოგიყენეს.“

„შვილებისგან და ბედისწერისგან გაუბედურებული კი ვარ, მაგრამ თუ მეხსიერება ამჯერადაც არ მლაღატობს, მაგ პასაჟით მეორე წიგნის მეცხრე ქვეთავი უნდა იწყებოდეს... დიახ... სადაც კუნძულზე გუბერნატორად გამეტებულ ჩემს ერთგულ მსახურს, ეპისტოლეში იმჭკუას ვარიგებ, თავად რომ ნაკლებად მქონდა!.. შენი ბრძანება უსათუოდ უნდა აღსრულდეს, თუნდაც მის სამართლიანობაში თავადაც ეჭვი გეპარებოდეს! აღუსრულებელი ბრძანება-კანონები იმ ღორ-ბაყაყების მეფე-ჯირკს ემსგავსებიან, თავისი მხილველნი ჯერ რომ შეაშინა, მერე კი, მათგან ისე აგდებული და შეურაცხყოფილი შეიქნა, რომ გათამამებული ბაყაყები კისერზე შეახტებოდნენ ხოლმე.“

„ეგ ჯირკი ხომ ყველას დაუდგეს!“

„როგორ, პატიოსნებით, თანაღმობით, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ ბესტაეთსაც?“

„ეგენი ყველაზე მეტად გაირყვნენ, თქვენი თვალთ არ ნახეთ და არ მოუსმინეთ, ვიდრე კრუხებივით დაქუქულ კარვებში, თავისთავით კმაყოფილი პროტესტანტები ძილად მიიქცეოდნენ? გითხარით და კიდევ გავიმეორებ – ალალი უმნიკვლობა და პატიოსნება სწრაფად ირყვნება, ისე, ხამუშ-ხამუშ კი არა!.. განა ვერ შენიშნეთ, თავიანთ რჩეულ „მეფე-ჯირკზე“ რამდენი ბაყაყი იყო შეხორხილი?! თანაც ჩემნაირი გულდამშივრები კი არა, ისინი ვინც მეფე-ჯირკი, ვითომ ხელისუფალის კვარცხლ-



ვანო ჩხიკვაია

ბეკზე რომ შემოასკუპა, თავად კი სასახლეს შემოესივნენ და ცარიელი სკამიც აღარ დატოვეს, შიგთავისი ან ახლობლების უკანაღმით რომ არ ამოევსოთ“.

„კაცო, მე ბესტაეთზე გელაპარაკები-მეთქი, მნიგნობართა, სწავლულთა, სტუმართმოყვარეობით, შემწყნარებლობით, ქვრივ-ოხერთა და კიდევ უფრო უარესთა გამკითხავზე“.

„დიახ, მეც მაგაზე მოგახსენებთ და რამდენი „მეთქიც“ არ უნდა დაახურდაოთ ჩემს კინკრისხოზე, ნეხვის გამხმარი გოროხივით, პირველ ჩვენებას ვერ შემაცვლევინებთ – ეს სიცხით გადაძოვილ-გახრიოკებული ველი, ნახირიც რომ არსად ჭაჭანებს, მაინც ბესტაეთია, სადაც ბალ-ვენახები და კანონი რომ ყვაოდა და ბაკალავრ კარასკოს კოკობი ულვაშის ბურქებიდან სავექსილოდ გამოწინწინილ, ნახმარ ცხვირსახოცში გახვეულ ღერსაც კი პატივისცემით ეპყრობოდნენ!.. ახლა კი, მოთენებულზე, ბზიკების ნაყარივით, გაფიცულთა კარვებიდან გამოზუზუნდებიან თუ არა, შვილებისგან დევნილი, საკუთარი უგუნურების მსხვერპლი გვირგვინოსანი, შეიძლება, თოკზე ისე ჩამოგაკონწიალონ, სახელიც არ გკითხონ...“

„კიდევაც რომ მკითხონ, რალას ეტყვიოთ ჩემი სახელი!.. მაგას აჯობებს, საერთოდ დავმალო და თავი მანანწალა იდაღგოდ შევასალო... შენმა ცნობებმა უაღრესად დამდულრა ჩემი გული, ისედაც გაყინული და უნუგეშო...“

„თუ დამდულრა, უკეთესად გაიფუფქება... ტომარანაფარებულს ცოტა ორთქლში გამოაშუშებ და მერე სლიკინ-სლიკინით წავა გაბაღული ღორის ჯაგარი“.

„გულთან ჯაგარს რა ესაქმება! ის ხომ ისეთი მგრძნობიარე და სათუთია, ქინძისთავის შეხებაზეც კი საპნის ბუშტივით სკდება“.

„გულსაც გააჩნია, ბატონო, თქვენი ქალიშვილების „მგრძნობიარე“ გულს რომ ჯაგარი ასხია, ისე ტყე-ტყე ნაწონიალები, გარეული ტახიც კი არ არის შემოსილი“.

„მაშ, ამ ხროვაში მეფე-ჯირკიც შენიშნეთ?.. შენზე ორი მტკაველით მაღალმა, რატომ ვერ დავინახე?“

„აკი გითხარით, იმით მეცნო, რომ ზემოდან ჭერებივით ეყარნენ ბაყაყები, დაახლოებით ისე, ან უფრო უარესად, როგორც თქვენს მეფურ ღირსებას – თქვენი ქალიშვილები, თავიანთი ქმრებითა და სახლეულებით..“

„შემსვი ულაყზე, რომ ჩემი შუბით ამ ნურ-





ბელეების მყრალი სისხლი ნიაღვრად გაუშვა“.

„გგონიათ, ამით მეფე-ჯირკს ძალიან გაახარებთ? ჯერ თქვენი ბაყაყები მოიცილეთ და სხვებს მერე მიხედეთ, თორემ ჩამოგიღებენ ჯაგლაგიდან და...“

„როგორ, მეხსიერებაც დაკარგეს? არ ახსოვთ – მეორე ტომში ბესტაეთს როგორი პატივისცემით მოვიხსენიებ?“

„რაც ვიცი, მხოლოდ იმაზე მოგახსენებთ, რაც არა, ვით დავუდგე იმას თავდებად?!“

„ეჰ, ტვინი შემოჭამე მაგ შენი სონეტების ამონარიდებით... მერე იმით ვიტანჯები, საიდან არის-მეთქი“.

„თქვენი ლექსების რვეულიდან გახლავთ! ნერისთვის თავი არ უნდა დაგენებებინათ“.

„მოგწონთ ჩემი ჭაბუკობისდროინდელი ნაღვან-ნაცოლვილარი, გრაფო? ეგ ჩემთვის დიდი პატივია!“

„კი არ მომწონს, უბრალოდ, ტახტზე უარი რომ გეთქვათ და მაგ ხელობას გაჰყოლოდით, იმდენ დავიდარაბას აიცდენდით... ისე, რომელ გრაფს მიმამგვანეთ, ბატონო, მითხარით მაინც?“

„მაშ, გრაფო-მეთქი?... საიდან სადაო, ძილბურანში ხომ არ ვიყავი?“

„რა ვიცი, თვალები კი გეხილათ და... ხომ არ გავეცალოთ აქაურობას, ვიდრე კარვებს გაუღვიძიათ? რაღაა მოსასმენი, ყური რომ დაუგდოთ, ვითომ ყველა ბესტაეთის დაკარგულ დიდებას მისტირის, სინამდვილეში კი!“..

„მერე ეგრე დავბრმავდით, თეთრისა და შავის გარჩევა გვიჭირს? თუ შენს მწუხარებას ვერ დამაჯერებ, მაშინ არც ჩემი თანაგრძნობის იმედი უნდა გქონდეს... ვატყობ, მათი სამართლიანობა პროკრუსტესაც კი აღტაცებაში მოიყვანდა!“

„ჰოდა, გავეცალოთ-მეთქი, ვიდრე სახრჩობელების ოჩოფეხები ჩვენკენ წამოაჯვბაჯდებიან!“

„ტყე რომ გაჯანსაღდეს, გამოხშირვა უნდა. კაცთა ტყე – უღრანი, საშიში და დაუნდობელია... აქაურობისთვის დროულად რომ წამოერტყათ ქიმუნჯები, ნეხვით გაბუსკნილ ბოსელს არ დაემგვანებოდა, გამოუჩნდებოდა დამცველი და გამომხვეტავი!.. მითქვამს და გავი...“

„ბატონო, ახლა ჩავთვლიმათ, კარვები როცა ერთბაშად ახმაურდნენ?... ნახეთ, კრაზანები რა ყოფაში არიან!“

„ასეა, თომა, მთის მდინარის ხმაური ბანგივით მოქმედებს, ნამცეცა წყლის წვეთი კი მთელი ღამე არ დაგაძინებს“.

„მე ეგენი ხელს არ მიშლის, ოლონდ ბალშიზე თავი მივლო“.

„ყურებიდან თუ „ბუჩქები“ არ ამოი-

ძირკვე, სულ ეგრე იქნები!“

„რა ვიცი, ჩემი ცოლის წიოკს კი ვერაფერს უხერხებენ და... ერთი ის ჩაახშოს და დაადუმოს! ნუთუ, ვიდრე არ დავაქვრივებ ან მე თვითონ არ დავქვრივდები, ამ დღეში უნდა ვიყო?!“

„შენს ხვედრს სად გაექცევი!.. ისე, ქვრივ კაცზე მეტად ქვრივი, პატიოსანი ქალია ცოდვა, მოუხელავად რომ ჭკნება და დნება“.

„მერე, მოეხელინოს, ხელს რა უშლის?“

„პატიოსნება, წესიერება, ვალდებულება გარდაცვლილის, ოჯახისა და შვილების წინაშე“.

„ეგ ყველაფერი, რაც ჩამოთვალე, ამ ჩოკინამაც სხაპასხუპით იცის, მაგრამ რა საჭირონი არიან, თუკი ადამიანებს ბორკილება უნდა ექცნენ?!“

„პირიქით!“

„თუ პირიქით, მაშ, რაღად ჭკნება, ვარდი მაისისა! რომ დავცნოსოთ, მისი რა მიდის! განა ისევე არ აღივსება მაცოცხლებელი სურნელით?... თანაც, ჩემო ბატონო, ჩვენში ისეთი ფიცხი მინაა თუ კვლებში წყალი დროულად არ შეუშვი, დასკდება და მოიფშენიტება... წყალმა თუ არ შეაქორფავა, პატიოსანი, გახვევებული ოხრახუშის ღერები ვლექო?! ეჰ, ეჰ, ახლა კარგად რომ გაითქვარება და კმაყოფილი აკრუსუნდება!“

„მწვანილეული და ბალჩეული?“

„განა თქვენ სხვა რამე ან ვინმე იგულისხმეთ?“

„ძნელია ადამიანის გუმანის გამოცნობა, უფრო ადვილია შენკენ გამოქანებულ ლომს მიუხვდე, რა უძევს გონებაში!“

„მაგას რა გამოცნობა უნდა, ლომი ხელის ჩამოსართმევად ხომ არ გამოგენთება!“

„რატომაც არა, ჩემი თვალით ვნახე, სევილიაში მოხეტიალე ცირკის მანეჟზე იჯდა და სიგარეტს ბატონკაცურად აბოლებდა, თან პენსნეთი მაყურებელს ათვალთქვებდა!“

„არჩევდა, რომელი შეეჭამო?“

„ამ შემთხვევაში, ლომი არა, მაიმუნი, თანაც მეორე ხელისგულს ფერფლს უშვერდა, მანეჟზე რომ არ დაეყარა... ბოლოს ფერფლიც და ნამწვიც სანაგვეში ჩაყარა!“

„ღმერთმანი, არ მჯერა!“

„იმან იქ ტაში მოწყვიტა... ხედავ, მაიმუნმა ის ქნა, რასაც მწველთა უმეტესობა არასდიდებით არ იზამდა... ასეა, ადამიანის სინდისზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არ უნდა იყო, თორემ, ერთ დღეს, ისეთ მწუხარებას მოგაყენებს, მეჯოგეების ცემა-ტყევა, გვერდების დალილავება, მზით გამთბარ აუზში ნებვირობად მოგეჩვენება“.

„აღბათ, კაცთა უსინდისობაა მიზეზი,



კაცობრიობა მწუხარე სახის რაინდად რომ გაცნობთ“.

„ნაწილობრივ, შეიძლება... ძირითადად კი, ხოსე ბორგნეულის ხუთნიგნეულის წაკითხვის შემდეგ, მწუხარება ჩემი გამომეტყველების მოუცილებელი ატრიბუტი გახდა... ვერ ავხსნი, ასე მძაფრად რატომ იმოქმედა, მას შემდეგ, ყმანვილკაცობიდან მოყოლებული, ჩემს სახეს მონა ლიზას მქრქალი ღიმილიც კი არ მიჰკარებია!“

„აბა, იქნებ, ერთხელაც სცადოთ გულიანი გაცინება!“

„ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა“.

„ილიაში თქვენი ბებერი ტილები რომ შევანუხოთ და მე რომ ვიცი, ტაშხოშიანად, კაი ღონივრად გამოგფხანოთ, ანუ მოგიღიბინოთ?“

„რა საჭიროა ახალი თავსატეხი! ჯერ სიცილს ისწავლი, მერე ჩალიმილებას, მერე ჩაქირქილებას, მერე დაცინვას... ხედავ, ამპლიტუდის ტეხილი მალლა და მალლა როგორ მიიწევს?“

„რა მოხდა, დაცინვას კაცი არ მოუკლავს!“

„ჭკვიანი მეგონე, მაგრამ გამახსენდა შენი ბებიაქალის დასკვნა — თომა ისეთი საეჭვო ღიმილით პირგახეული დაიბადა, როგორებიც ბოლომდე სულელებად რჩებიანო!“

„რაო, რაო, კარგად ვერ გავიგე!“

„შენ ვერ გაიგე და ჩახვეული ბენვით ამოვსებული ყურები გაიგებდნენ?! გამოთქმა გალიმებულ ჭკუასუსტებზე გამოქვაბულობის დროინდელია, ველურები მსხვერპლს რომ შეითრევდნენ და კოლექტიურად ათოხლავებდნენ!“

„ანუ, ჭამდნენ!“

„დიახ, ანუ!.. მაგრამ ისეთივე უაზრობაა, როგორც ცამონმენდილ, მთვარიან ღამეში ქოლგით სიარული, ან შუბლზემით წამოკოსებული სათვალე... განა არ იცი, რომ დღემდე, დიდ და მცირე ბრძოლებში იმდენი ადამიანი არ განგმირულა, რამდენიც დაცინვის მსახვრალ ხელს მოუსპია!“

„გისმენთ, ბატონო და მიკვირს, საიდანაც წამოვედით, იქ ეგრე არ ლაპარაკობდით და აქ რატომ გაილექსეთ?!“

„ასეა საჭირო, თომა! თუ იგრძნეს, რომ გამოკეთების გზას დავადექით, გულისპირზე კოვზიდან გადმოღვრილი წვენი არ ჩამოვიქციეთ ან, მაღლიერების ნიშნად, მომვლელ ქალს ხელზე ვემთხვიეთ, ხომ მაშინვე აგვახვევინებენ?“

„აგვახვევინებენ და რა სჯობია თავისუფლების ჰაერს! თავისუფლება ისეთი რამეა, არც ფერი აქვს, არც გემო, არც სუნი — უნდა ჩაისუნთქო და ინეტარო“.

„როგორც ეს ბესტაეთელი მეკარვეები ნეტარებენ, არა? ინეტარე, თუკი ადვილია თავისუფლების ჰაერით სავსე სტომაქის ტარება... თუ კაცმა პირიდან ჩასული, „იქიდან“ არ გაუშვა, ვინ იცის, როგორი ცოდვის კითხვა დაატრიალოს!.. ძალღი, მაგალითად, ეგრე: აუშვებენ, შეხსნიან ჯაჭვს და საყელოს, ისიც გაიბრუნ-გამოიბრუნს, გავარდება, გამოვარდება, მოივლის მთელ სოფელს, გაეთამაშება, ვინც შეხვდება, მხიარული ყეფით ამცნობს თავის ბედნიერებას და, თავისუფლების ჰაერით ძლომაზე გაბურთულს, როგორც კი მოშივდება, მაშინვე საძალღესთან დატოვებული, გამოსახრავი ძვალი გაახსენდება... უძლები შვილივით ისევ იქ დაბრუნდება, პატრონს ხელისგულს აულოკავს და ჯაჭვსა და საყელოს ნებით შეიბამს... ძვალსაც, რა თქმა უნდა, მაშინვე კნანაკუნს აუტეხს!.. ადამიანსაც, ძალღის ჯაჭვი რომ არ გაბია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ დაბმული არ ხარ!.. აბა, შენ ნებაზე გაინიე, ძვალთან თუ მიგიშვებენ!.. სწორედ თავისუფლების ჰაერს დახარბებულმა თქვი, გუბერნატორის კვერთხის ნაცვლად, ნამგალი უნდა მეჭიროსო; თუმცა ვინმემ დაგიფასა, ანდა, შენი გადაგდებული კვერთხი

მხატვარი სოფიო ჭელიძე





უკეთესმა აილო?.. იციან „პატრონებმა“, რომ მონის ჯაჭვს მსურველი ყოველთვის გამოუჩნდება..“.

„გეთანხმებით, ბატონო, ცამდე მართალი ხართ!“

„ხანდახან მეჩვენება, რომ ერთნაირად ვფიქრობთ, მაგრამ სხვადასხვანაირად ვლაპარაკობთ“.

„მაგას მაინც რა უშავს, იმას ხომ დიდად სჯობია, სხვადასხვანაირად რომ ფიქრობენ და ერთნაირად ვლაპარაკობენ?.. აგერ, კარვები როგორ კუთავენ!“

„მკბენარებმა შეაწუხეს თუ ავმა სიზმრებმა?“

„მკბენარები მკბენარებს არ ეტანებიან, გათენდება და გავიგებთ, რა მუცლის გვრ... გვრემ... ემმ... ამმაც... მმოუარათ!“

„რა ხდება, თომა, ყურისძირთან ქვას ხომ არ ტეხავენ?“

„არა, ბატონო, სიცვიისგან კბილს კბილზე ვაცემინებ!“

„ცოტა დაბალზე რომ ჩართო, არ შეგიძლია?“

„შეიძლია, მაგრამ მეშინია, ვირის სუნმა მგლები არ მოიზიდოს, იმათ ვაფრთხობ... ო-ო-ო, როგორ მაბაბანებს, სიცხის მერე სიცვიე... წარმომიდგენია, ასეთ სუსხსა და ყიამეთში, უგვირგვინო ბერიკაცი რა დღეში ჩავარდებოდა!“

* * *

აქეთ რომ მოვდიოდი, ვიდრე დასავლეთ-აღმოსავლეთის მთავარ წყალგამყოფს მივადგებოდი, დედა-მდინარის აყოლებზე, იმ მიდამოებში, სადაც ნოსტელმა აზნაურმა თურქებს გაჩენის დღე აწყველინა, ფერდობზე შეფენილ სააგარაკო სოფელს და ტრაგიკულად, უცხოობაში აღსრულებული მოღვანის ადგილ-მამულში გახსნილ, შემოქმედებით დასასვენებელ სახლს ჩავუარეთ.

სოფელს ქაშხეთს ვეძახდით, სასადილოს ნაირნაირი გემოსა და წარმომავლობის „ქაშეზის“ გამო, რომელიც გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ან ჩვენ, ან ბავშვებს ანდა დანარჩენ ოჯახის წევრებს, დილა საღამოს მოსახდელი სამხედრო ვალდებულებასავით, მაინც შედიოდა საუზმე-ვახშმის არცთუ მრავალფეროვან მენიუში.

სათავადო-სამუზეუმო სახლი მოზრდილი ბალით და კარ-მიდამოთი, გამუდმებით, გაგანია სიცხეშიც კი მოქიქინე ნიავეთ, ასწლოვანი ცაცხვების ხეივნი, ეზოს, აღმოსავლეთიდან რომ საზღვრავდა და, როგორც ეტყობოდა, თავის დროზე, ქვემოდან მომავალ საეტლე გზას მიუყვებოდა.

ერთადერთი, რასაც აქ წუნს ვერ დასდებდი, ჰაერი და ბუნება იყო, მართლაც მკვდარს რომ მოასულიერებდა და ფეხზე დააყენებდა.

დასასვენებელი სახლი მწერფონდის კალმის ოსტატებს ეკუთვნოდათ, მაგრამ არც სხვა პროფესიის ადამიანები, უკვე წლების განმავლობაში აქაურობას შეჩვეული ექიმების, ინჟინრების, მეცნიერების, მსახიობების ოჯახები აკლდა.

ტრადიციულ დამსვენებლებს, ზაფხულის დადგომა იმის გამოც უხაროდათ, რომ ქაშხეთში ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მთავარი შესაკრები, სასადილოს სიახლოვეს, ყველა დანარჩენზე მოზრდილი, ლურჯად შეღებილი ფანჩატური იყო

— მრგვალი, ცალფეხზე შემდგარი ბეტონის მაგიდით და გარემემო შემორიგებული ძელსკამებით.

მაგიდაზე ხან წარდს გაშლიდნენ, ხან ჭადრაკს და ხანაც — ღვინით დამსვენებულ სუფრას.

წარდს უფრო ასაკიანები ეტანებოდნენ.

ერთი დღეც არის და, კამათელს ექიმი და მწერალი „ამღერებენ“. გამოიარა დილის საუზმით ნასიამოვნებმა ტურავების ოჯახმა. ვიდრე კამათელს გააგორებდა, თვალი მოჰკრა მწერალმა და დაუძახა:

— გამარჯობა, ტურიკოებო!

ტურავა: — კაი გამარჯობა, ბატონო დემნა!.. გადამრევს ეს კაცი, აკი ვერ ვხედავო? (აიმრიზა, ეტყობა, მიმართვა არ ესიამოვნა).

ვახტანგი: — თავის დასანახს, „ბათა ქექიას“ ავტორი, ყოველთვის ხედავდა და ხედავს.

ტურავა: — აბა, მაგ სისქე ლინზიანი სათვალე მოდისთვის უკეთია, თუ რაშია საქმე?

ვახტანგი: — ეგ თვითონ უნდა ჰკითხო!

ტურავა: — გამანებე თავი, თუ კაცი ხარ! მეტყვის რალაც მწარეს და უკადრისს...

ვახტანგი: — ვერ შეგპირდები, არ გეტყვის-მეთქი...

ექიმი: — (სიცხლით) გააგორეთ, ახლა, ბატონო დემნა, მარჯვენა ხელში როდემდე უნდა აჩანჩხართო! ყმანვილკაცობა ხომ არ გაიხსენეთ?

დემნა: — (მოგვიბრუნდა) რაო, რა თქვა?

მამფი: — კარგს რას გეტყვოდათ, გინეკოლოგიაში ჭიპმოჭრილი კაცი.

ვახტანგი: — თანაც სახელგანთქმული.

მამფი: — კი, კი, სახელიანი იმიტომ იყო, ერთხელ რომ შეყო, ორმოცდაათი წელი აღარ გამოუღია...

დემნა: — (ეს გაიგონა) ხელი?

მამფი: — ხელი, რა თქმა უნდა!

ექიმი: — თქვენ რა იფიქრეთ, ბატონო დემნა.



დემნა: – გააგორე თუ კაცი ხარ!.. ისე, შენს თითებში ნაჭერ კამათელს ხელს არც უნდა ვკიდებდე!

მამფი: – ბატონო ექიმო, მაინც, სავარაუდოდ, რამდენი გეყოლებათ, თქვენი პრაქტიკის მანძილზე, გასინჯული?

ექიმი: – (ცერა თითით სათვალე გაისწორა და თვალი გაუშტერდა) როგორ გითხრათ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელი დედაქალაქის, ასე ვთქვათ, პრესტიჟული ქალბატონების უმეტესობა ჩემი კლიენტურა გახლდათ!

მამფი: – ალბათ, ცოტა საიდუმლოს არ ინახავს თქვენი მგრძობიარე გული, მათი ცულლუტობის შესახებ.

ექიმი: – ნუ მკითხავთ! ნუ მკითხავთ! (კამათლიანი ხელი გაატატანა).

დემნა: – ცოდვიანი კაცი ხარ; ვინ იცის ქვეყნისთვის საჭირო რამდენი ჩანასახი გაგისტუმრებია...

ექიმი: – (გადმოგვირჩულა) ტყუილს არ ამბობენ, ენამწარე და უხიაგაო!.. მამის სული ნუ წამინწყდება, თუ იძულებულს არ გამხდინენ, ჩანასახს როგორ მოვაცილებდი... თანაც, გინეკოლოგია მხოლოდ „აბორტი“ ხომ არ არის... შევიდე ახლა ამასთან კამათში?

ვახტანგი: – მე არ გირჩევთ და, არ ვიცი, მამფი რას იტყვის!

მამფი: – რა უნდა ვთქვა, ამ პახმელიაზე ახლა ჩხუბი, დავიდარაბა და განწევ-გამონევა მინდა?! არც დუღუკი და ქალები... ორი ბოთლი იკმარებდა და წყნარი ტაში... ჭიშკრისკენ, გაიხედეთ, ვინ ჩამობრძანებულან?

ვახტანგი: – ამირეჯიბები! ელოდებოდნენ, ჩამოვლენო... მგონი, თვითონ არ ჩანს!

მამფი: – ნუ გადამრევ, ვახტანგ, რომ ჩამოსულიყო, ალვის ხესავით კაცს ვერ დავინახავდით?! იცით, როგორი შეხედული იყო? რუსთაველზე რომ გაივლიდა, ხალხი ჩერდებოდა და უყურებდა.

ვახტანგი: – შეუხედავი და ტანმორჩილი არც მამფის ეთქმოდა.

მამფი: – არა, მაგასთან ვინ მოვიდოდით, ყველას გვახუნებდა!

დემნა: – (კამათელს გასაგორებლად ათამაშებს) რაო, ვინ ჩამოვიდა?

ვახტანგი: – (დაიხრება და პირს ყურთან მიუტანს) ამირეჯიბები!

დემნა: – ვინაო?

ექიმი: – ა, რაც არ უნდა, არ გაიგონებს, აი, გვერდით ოთახში რომ გავიფარუნოთ...

მამფი: – ხანგრძლივ „მივლინებაში“ რომ იყო შორეულში... მანამდე ჯერ ციხეში, სამი თვე სიკვდილმისჯილთა „ადინოჩკაში“ და მერე...

დემნა: – ჰო, ამირეჯიბი?.. საიდან ჩამოვიდა, ციმბირიდან?

ვახტანგი: – რალა დროს ციმბირია, გვაშაყირებ, დემნა ბაბუ?

მამფი: – ჩამოვიდა კიდეც და მაგარი რომანიც დადო!

დემნა: – ექიმო, უცებ რომ წამოკრეფ კამათელს, არ უნდა დამანახო?

ექიმი: – შაში-ჩარი. ა, ბატონო არ გადამიბრუნებია!

დემნა: – იმდენი სიკეთე მე, რამდენიც შენ გადაგიბრუნებია... შაში-ჩარი... გასაგებია...

ვახტანგი: – რად უნდა მაგას ბევრი ფიქრი... გეკვლით, ბატონო დემნა, გეკვლით!

დემნა: – მეკვლის და დასცხე მაგას კინკრისობი!.. ლიტერატურაში ეგეთი ყაჩაღი არ მახსოვს!.. დიდებული, დიდებული... მართალია, რასაც მაგ რომანზე ამბობენ?

მამფი: – რას ამბობენ ბატონო დემნა?

დემნა: – რას და... ექიმო, აჯენ, ანუ სვამ კამათელს!.. ამის შემდეგ, ჭიქით გაგაგორებინებ.

ექიმი: – (ისევ ჩუმად) ხომ ვთქვი, მყრალი ბერიკაცია-მეთქი... დემნა ბაბუ, მაშ დავიგინო, დამსმელის დამსმელი-მეთქი?

დემნა: – ორმოცდაათი წლის წინათ რომ დაგიგინა, კიდეც ჰო, ახლა მე და შენს დაგინებას და ძაღლის ცუილს, ერთი ფასი აქვს.

ექიმი: – არც ეგრეა საქმე, არ გაგიგონიათ, ბებერი ხარის რქაზე რაა ნათქვამი?..

დემნა: – უჰ, უჰ, შენი რქა არ გეიშვა!.. მართალია-მეთქი, ვიკითხე და არ გამეცით პასუხი – სტალინს შეუთვალა თუ პირადად უთხრა, ოლონდ ციმბირში ოთხმოცი წლით გამაგზავნე და კაი რომანი ჩემზე იყოსო!

ექიმი: – გაციმბირებული თვითონ ბელადიც იყო, რატომ ნოველა მაინც არ ჩამოიტანა?

მამფი: – იმას გაციმბირებამდე უკვე ჰქონდა დატოვებული საოცარი ლექსი, ილიამ რომ დაუბეჭდა „ივერიაში“.

ვახტანგი: – აგერ, გოთუასაც ხომ „გამოატანა“, უფრო სწორად, ნაწილ-ნაწილ გამოაგზავნინა „გმირთა ვარამი“...

მამფი: – ნაწილ-ნაწილ იმიტომ, რომ „ფანჯოს“ მაგაზეც არ ეეჭვიანა, ბელადმა სხვისი რომანით დაასაჩუქრაო...

ვახტანგი: – ისე, სერიოზულად თუ ვიტყვით, კი უნდა გამოიცეს ნაციმბირალი მწერლების ანთოლოგია... დემნა ბაბუ, ორი სეა, ორი სე!.. ჰო, ეგრე წყვილად და კობტად... ლადოც მობრძანდება, კიდეც ერთი ნახიშტარი, ჩავუჩოჩოთ სკამზე...

ექიმი: – რა სჭირს ლადოს, სულ ასე ხელანეული რომ დადის?

მამფი: – მაგის ამბავი მე მკითხეთ... ომი





რომ დაიწყო, ივნისის ოცდაორ-ოცდასამში, ეს ჩვენი უმცროსი სერჟანტი ლადოიე, უკვე ხელებანეული იდგა თურმე სანგრისპირზე... ჩაბარდა გერმანელებს და, მას შემდეგ, ეგრე ხელანეული დადის... ასე გააკეთა ხელანეულ-მა შვილები და ასე მოიარა ამანაც ციმბირი.

დემნა: – მაგას არაფერი უწყალობა სტალინმა?

ვახტანგი: – ვერ მოასწრო... გააგორებინეს ბელადს, გაურკვეველ ვითარებაში, დუშაში და დაბრუნდა ლადოიე, რეაბილიტირებული, მაგრამ ხელცარიელი.

მამფი: – (ფანჩატურის თაროზე ვილაცას „მანიფაფას“ თეფში დაეტოვა) მოდი, აქ, ცუგა (ფაფა გადაუყარა) ნახე, ერთი, რას გვაჭმევს, ეს ჩვენი მზარეული... შეხედეთ, პირი არ დააკარა!

ვახტანგი: – მზარეულის ძაღლია, პატრონივით ლოთი და ხაში უნდა მაგას, ხაში!

მამფი: – ხაში არც ჩვენ გვანყენდა...

ვახტანგი: – სერგომ კაი ჩაშუშულიც იცის... ხო გვცა ამასწინათ პატივი...

მამფი: – მერე? ერთხელაც რომ გაიმეოროს, ღმერთი უწყენს?..

ნიკა: – (ფეხდაფეხ მოჰყვა ლადოს) დაუშვი, კაცო, ხელები, ოცდაათ ნელზე მეტია, გათავდა ომი, მორჩა, აღარ არიან ფაშისტები!

ლადო: – ესენი რა, ნაკლები გგონია?

ნიკა: – რა ვიცი, ლექსებში კი სხვაგვარად უმღერი, ქება-დიდებას არ აკლებ და...

ლადო: – გამღერებენ კი არა, გაცეკვებენ კიდევაც, თუ მოინდომეს. მეტი რა ვიცი...

ექიმი: – ბოდიში, დემნა ბატონო, ორი ქვა ზედმეტი გამოგიყვათ.

დემნა: – რა მჭირდა გამოსაყოლებელი... გეკადრება?!

ექიმი: – ფაქტი სახეზეა, ექვსი გქონდათ გამოსასვლელი და ორი საიდან დარჩა...

დემნა: – საიდან და იქიდან.

მამფი: – რა საოცარი სიტყვები გვაქვს ქართველებს, გამოგიყვათო, ვითომ თვითონ არ უნდოდა და თავისთავად, მისდაუნებურად მოხდა... ისე უნდა გააგებინო, რომ მოგპარა, თან არც აწყენინო... ესეც ხელოვნებაა ქართული სიტყვისა... გურიაში იციან, სადილად მაგიდასთან რომ უნდა მოიპატიჟონ სტუმარი, კი არ დაიბანეთო, ხელი დევიმშვენთო... როგორ არის გაფაქიზებული-გამშვენიერებული-ამაღლებული ერთი ლამაზი სიტყვით სტუმარ-მასპინძლობის მაღლი; როგორი, მოკრძალება, პატივისცემა, მოფერება, აღერსი, რა აღარ... ხომ არ ვაჭარბებ, ბატონო დემნა!

დემნა: – რას ჰქვია, კაცო, კარგად ლაპარაკობ!



მამფი: – უკეთესად ვილაპარაკებდი, კაი კახურით გაპიპინებული „განსხვავებული“ რომ მეჭიროს.

ვახტანგი: – თამაღობაში ვინ შეგედრება, მაგრამ ჯანუკი ამბობს, ბოლო ხანებში, სუფრასთან, ერთ „ტაიმზე“ მეტს ვერ თამაშობს, მალე თვრებაო...

მამფი: – ჯერ ეს ერთი, ვეტერანი ვარ და, შეიძლება, ოთხმოცდაათნუთიან დატვირთვის ძველებურად ველარ გოგუძლო, მაგრამ გყავთ შემცვლელი? „სათადარიგო“ სკამზე თუ გიზით ჩემფერი, შემცვალეთ, ბატონო! გავჯიქდები, არ გამოვალ „მოედნიდან“ თუ რა!..

ვახტანგი: – რატომ, თვითონაც ძაან მაგარია, ჯანუკი!

მამფი: – ჰო, ვინ უარყოფს, მაგრამ ჩემსავით ყველა „ნომრად“, ყველა „პოზიციაზე“ ითამაშებს? ისე, კაცი თუ სვამ, უნდა მოგეკიდოს კიდევაც, პანა... მაგ ფრანგმა არ თქვა, ვინც ლენოს სვამს და არა თვრება, იდიოტიაო?!. კასრი ხო არ ხარ, ჩაასხა ხუთი ლიტრა და ძვრა ვერ გიყოს...

ვახტანგი: – შვილის ქორწილში რომ უთამადე, როგორ უთხარი?

მამფი: – მისმენთ, ბატონო დემნა? დიდძალი ხალხი მოუვიდა, რომ მოელოდა, იმაზე მეტი. ჩევიჩოჩოთ, ჩევიჩოჩოთო, ცოტაც, ცოტაც და ამდენ ჩოჩვა-ჩოჩვაში, მგონი, მაგიდას „კრუგი“ რომ დავარტყი და სტუმრები ისე ჩავეხუტეთ ერთმანეთს, „სვარკით“ ვერ დაგვაცილებდი, ვუსაყვედურე: რა არის, შე ფრანგო, სუფრა „პეტიტით“ რომ ამინყე-მეთქი!.. ხომ იცით, რედაქტორებს უყვართ „პეტიტი“ – ბევრ მასალას ჩატევენ ხოლმე... აბა, კაცო, სუფრა ჩამოანვრილა ლეონიდ ილიჩის საპირველგვერდო მოხსენებასავით... ხო ხედავ, ვახტანგ, არავინ არის ჩვენი პატრონი, ჩავიბრინოთ შენი მანქანით ბაზარში, ამოვიტანოთ და შემოვდგათ მაგიდაზე წინანდალი, თავისი მისატანებლით და მერე ვნახოთ, ეგებ, ჯანუკის ჯიბრზე, „დამატებით“ დროსაც ქე გავუძლო!..

ვახტანგი: – კი ბატონო, აგერ მანქანა, სასადილოსთან დგას და გასაღებიც ჯიბეზე მაქვს.

მამფი: – აბა, პიჯაკს ავიღებ და...

ვახტანგი: – რად გინდა, ამ სიცხეში.

მამფი: – რავა, ჩვენი ოცნების სისრულეში მოყვანას მაყუთი არ სჭირდება? იმ პიჯაკის მარცხენა გულისჯიბეში მიდევს, თუ აქამდე ცოლ-შვილმა ექსპროპრიაცია არ უყო... მგონი, არ იკადრებდნენ, ჩვენს სამყოფს მაინც ჩატოვებდნენ.

ვახტანგი: – ადრე „ფისტონჩიკში“ გედო ხოლმე, ოთხად თუ ექვსად გადაკეცილი...

მამფი: – კი, კი, მერე როგორი ტკბილი იყო „ფისტონჩიკის“ ფული! ყველა ჯიბე რომ დაგიცარიელდებოდა და, „დეჟურნივით“, იქ რომ გეგულებოდა... ახლაც ჩავიდები, მაგრამ შარვლებს „ფისტონჩიკებს“ აღარ აკერებენ... ისე გაბედნიერდა და იმდენი აქვს საბჭოთა ადამიანს, „ფისტონჩიკში“ ტილაობას იკადრებს?!“.

ვახტანგი: – აბა, აბა, ჩვენი დიდი მეცხრამეტეელები „ფისტონჩიკში“ დაიწყებდნენ ქექვას?!“

მამფი: – ნამეტანი არც იმათ ულხინდათ. ძალიან უჭირდა ვაჟას. თავს არც აკაკის გადასდიოდა, სხვებსაც... რამდენი რამე ახსოვს ამ არე-მიდამოს, რამდენი თაობა გაისტუმრეს ამ ცაცხვებმა, რამდენი მომსვლელ-წამსვლელი ახსოვთ... რავარია, ჰა, ბატონო ნიკა, ქვემოდან ზანზალაკების წკარუნი რომ შემოესმოდათ და, აქ ატყდებოდა ქათამ-ინდაურის ხოცვა-ჟლეტა, აპრილდებოდა თონე, დაგოზილ თავს შემოუბარავდნენ თავკვერის ქვევრებს... დადგებოდა დიდ-პატარა ქეროზე... სამზადში აფუფებებოდა სახაჭაპურე ცომი.

ნიკა: – მაშ, რა უნდა ექნათ, მითუმეტეს, თვით ილია თუ სტუმრობდათ.

მამფი: – ერის მამა ვიდრე ამობრძანდებოდა, საუზმეული, „ცოცხალით“ დამშვენებული და ორთქლავარდნილი, „ბლუდზე“ გაშოტილი დოში უკვე ცაცხვებქვეშ გაშლილ მაგიდაზე ყელყელობდა, მოგვხედეთ, არ გაგვაცითოთ, გრიპი არ დაგვმართოთ, თქვე უღმერთოებოო!.. ილია რომ გადმოვიდოდა ეტლიდან და მასპინძელს გადაეხვეოდა, ერთი ამ ორი ბუმბერაზის შეხვედრა მანახა და მაშინვე წავილო თქვენი ქირი, თანახმა ვარ!

ნიკა: – დიმიტრიმ ჩვენს დამანყევარ ეგზარქოსს, აქედან გაანწა სილა და პეტერბურგში გაიგონეს ტკაცანი... პასუხიც ადეკვატური იყო – საიდუმლო სამსახურის მიგზავნილმა ლოთმა გამოასალმა სიცოცხლეს.

მამფი: – ისე, საოცარია, ეს უბედურება უნდა მომხდარიყო, აკაკის „განთიადი“ რომ შექმნილიყო? „დედაშვილობამ მეტს არ გთხოვ“...

ნიკა: – პარადოქსია, მაგრამ ეგრეა, დიდი ტრაგედიები იმპულსია შემოქმედისათვის...

დემნა: – აქაურობას ოცდაათიანი წლებიც მწარედ ახსოვს. აქედან გაუყენეს მოუსავლე-თის გზას „ჯაყოს“ ავტორი.

ნიკა: – აგერ, წყაროს გადმოსწვრივ, მოსახვევში რომ სახლია, მანდ ისვენებდა, თურმე, სააგარაკოდ ჩამოსული... როგორც სჩვეოდათ, გამთენიისას, გულისძილში როცაა კაცი, მაშინ მიადგნენ – დაუბრალებს კარზე. გამოეპასუხა. ჯავახიშვილი ბრძანდებითო? დიას, ბა-

ტონოო!.. კარი გააღეთო! ახლავე, ჩავიცვამ, სათვალეს მოვძებნი და... დროზე გააღეთ, სათვალე, ალბათ, აღარ დაგჭირდებათო!.. რატომ ჩქარობთ, ბატონო, ახლავე, ახლავეო... მე არა, ისინი ჩქარობენ, მე რა უფლება მაქვს, მე შემსრულებელი ვარო... შეგინდოთ უფალ-მაო, თუ რაღაც ამდაგვარი ჩაიჩიფჩიფა და კარი გაუღო...

ვახტანგი: – ისე ყვებით, თითქოს თქვენც იქ იდექით.

ნიკა: – ვინც აიყვანა, ერთ-ერთი იმათაგანი ჩეკისტის ნაამბობია...

მამფი: – მას შემდეგ რამდენჯერ განიძარცვენ ეს ჭადრები... ბატონო ნიკა, ღამლამობით აივანზე ბოლთას რომ სცემთ ხოლმე, უძილობა გჭირთ თუ რამია საქმე!.. ჩემი რჩევაა, დაწოლამდე გადაჰკარით ერთი-ორი სტაქანი!

ნიკა: – ძილი იქაც მეყოფა... რაც ასაკში შევდივარ, უფრო მიძლიერდება ამ ყველაფრით ტკბობის წყურვილი... არ არის საოცარი, კაცს სიცოცხლე როგორ უნდა წაართვა! ყველაზე ძვირფასი, რაც აბადია, ვინ მოგცა იმის ხელყოფის უფლება?! არ უნდა იკადრო... ზოგიერთი ჩვენი, არცთუ ურიგო მგოსანიც უმღეროდა რეპრესიების წლების სიკვდილის მანქანებს, ციხეებისკენ ანდა სოლანლულის უკაცრიელი ადგილებისკენ დასახვრეტად ადამიანები რომ მიჰყავდათ... იცით, ამ ფანჩატურის მაგიდაზე ერთხელ როგორი დრამა გათამაშდა? დილით სასადილოში ცოტა ძველი კარაქი მოგვართვეს. გადაირია ერთი ცნობილი მწერალი, იმ სიკვდილის მანქანის მეხობეთაგანი, გააშანშალა დედაქალაქში გასაგზავნი დასმენის განცხადება, დირექტორის მოხსნას რომ მოითხოვდა და ფანჩატურში დადო მაგიდაზე, კალამთან ერთად, დამსვენებლების ხელის მოსაწერად.

დაგვიძახა და მივედით. განრისხებული სახით გაგვაცნო საჩივარის შინაარსი, თან დაგვანამუსა, ალბათ, თქვენც დაადასტურებთ, რაც სასადილოში მოხდა, მაგრამ, მე მგონი, პირველმა, მაინც ბატონმა ლეომ, სჯობს ხელი მოაწეროს, სუფთა კაცი და ავტორიტეტიო!

მერე თუ სუფთაა, ახლა გინდა, გაითხვაროს-მეთქი, ვკითხე, მაგრამ ვინ გაგცა პასუხი. ნასაუზმევი, სეირნობით მომავალი ლეო ფანჩატურში შემოიპატიჟა, დასვა სკამზე და დაუდო წინ საჩივარი თავისი კალამ-მელანით...

რა არის ესო, სათვალე მოირგო ლეომ.

აუხსნა საქმის ვითარება, ვიდრე არ დაუწამლივართ ძველი პროდუქტით, უნდა მოსცილდნენ თავის თანამდებობას დირექტორიც და სასადილოს პერსონალიცო.

ლეო ჩააკვირდა ფურცელს:





„საქართველოს მწერფონდის დირექტორს...“

ხმას დაუდაბლა და კითხვა რომ დაამთავრა, საჩივრის ავტორს წარბშეკრულმა ამოხედა: მართალია, ქალაღდი ყველანაირ სისაძაგლეს იტანს, მაგრამ მინც ყველაფერი არ უნდა აკადრო! რას ჰგავს ეს, შე არაკაცო, ამის დაწერა რამ მოგაფიქრა, ან მე როგორ მაკადრე, რომ დაგიდასტუროო...

მამფი: – დიდი კაცი იყო, ლეო, აცხონოს ღმერთმა... სხვანაირ საქციელს არც ველოდი მისგან...

ნიკა: – რა აღარ უთხრა, ძველი ცოდვებიც გაუხსენა, გადაახია თავზე საჩივარი, ნაკუნებად აქცია და მიაყარა სახეში.

ვახტანგი: – იმან, რაო?

ნიკა: – ეგეთები ფურთხს ადვილად იწმენდენ...

ვახტანგი: – ლეოს „ჰაკი აძბას“ ვინ არ მოაწერს ხელს, მაგრამ თვითონ ჩივილის ინიციატორიც რომ არ იყო ურიგო მწერალი?

დემნა: – კი, ძალიან საინტერესო ენა, სტილი ჰქონდა...

* * *

„მეფე აბუქამ თავის თავზე რომ იწვნია დამცირებისა და სილატაკის სიმწარე, მერე გაგვიკეთილშობილდა, თორემ მანამდე თვითონაც კარგი ძალღთაპირი იყო... ვერ გავიგე, ვარსკვლავები სადღა გაქრნენ, აღბათ, ბევრს წერდნენ მრიცხველზე და გამორთეს!“

„როგორ, ქვეყნიერება მგელივით კუნაპეტს შეატოვებს? გახსოვთ, სერხიო მეფუნდუკე, იმაზე წუნკი და ხელმოჭერილი ვინ იყო, მაგრამ ღორის ქონის სანთელს ფეხსალაგში მინც ანთებულს ტოვებდა, შიგ ვინმე არ ჩაიჩეხოსო! რა გემართება, რას ატოკდი, შე ოხერო!“

„თომა!“

„თქვენ არა, სახედარმა ძიღში შეიკუნტრუშა და ლამის კეფა ნოპიან ქვასა ვხეთქე... სულ მინდა გამოგიტყდეთ, ბატონო, ამას წინათ ბედისწერის კონსპირაციაზე რომ ბრძანეთ, რაღაც მთღად კეთიღშობიღურ საქციელად ვერ ჩავთვალე“.

„ბედისწერამ თუ თადარიგი არ დაგაჭერიანა და, მაგალითად, შენი ჯვრისწერის საიდუმლო გაიბზარება, ვინ დაუდგება შუამავღად ანუ თავდებად ქონების გაყოფის დავიდარაბას?“

„რას ამბობთ, ბატონო, სიმდიდრეა ძნელი გასაყოფი, თორემ სიღარიბის გაყოფას რა უნდა – არც ერთი მხარე არ მოინდომებს, ჩიჩქიც კი ზედმეტი რომ წაიღოს – ვის რა ჯანდაბად უნდა, ვინ ეცდება, თვალახვეული

ქალბატონის სასწორზე მეორე მხარეს, რაც შეიძლება, მეტი დააწონოს?! ამიტომ ჩემნაირი სილატაკის პატრონსაც მომეტებული სიფრთხილე სჭირდება, რადგან გამიგონია, ბევრ ცუდს ცოტა ცუდი სჯობიაო“.

„მაგ თვალახვეულმა ქალბატონმა გამახსენა: ერთ ვითომ მონაზონს ვიცნობდი, ლოცვანზე მონანიების იმდენ ცრემლს ღვრიდა, რომ ასოები აღარ იკითხებოდა, მაგრამ რად გინდა, ამძუნებულ ხორცს ვერ მოერიან – სცოდავდა, რომ მოენანიებინა და ინანიებდა, რათა კიდევ შეეცოდა... მოკლედ, როგორც ამბობდნენ, ყმანვიღქაღობაში ისეთი მორცხვი იყო, მარტო მყოფი, ტანსაცმელს სარკის წინაშეც გაბედულად ვერ იხდიდა, მერე კი ქალაქის ფოლორცებმა რომ შეიჩვიეს... მონაზვნის სამოსმაც ვერ გაანელა შიგნით აბურბურებული ცეცხლი...“

ერთხელ, სამზარეუღოში განმარტოებინას, ვთხოვე, უდრტვინვეღად მოესმინა, რასაც ვეტყვოდი.

ღვთის მსახურებამ მოთმინება მასწავღლა, ბრძანე, ჩემო ბატონოო; თან ხელისღული მუხღზე ისე დამადო, ცხადად ვიგრძენი ქალის ძარღვებში აქაფქაფებული სისხღლის მღღულარება... თავიდან მართღაც მოთმინებით უსმინა ჩემს ლაიღაის, ბოღოს კი, სიტყვა გათხოვებაზე რომ ჩამოვუგდე, ჩემებურად მიფუიგავე, საბუღარზე იფიქრე, რომელშიც მოკრუხდები და შენს ოჯახურ ბედნიერებას დაჩეკავ-მეთქი. იმის თითები, მუხღისთავს რომ მიმღღღრავდა, ახღა ჩემს მარჯვენა ლოყას მოეხუტა, ვიდროვე და მეორე ლოყასთან აღარ მიფუშვი... გადავიდა ჭკუიდან, თავზე დაიმხო და დამამხო ყვეღაფერი – ქვაბი, ტაფა, ჯამ-ჭურჭელი... გიყი გიყია, მაგრამ გიყსაც ხომ გააჩნია?... აი, შენ, მაგალითად, ვის რას უშავებ?“

„აბა, თქვენ წინ როგორ წავიდე, მაგ საქმეშიც გარკვეული და დანინაურებული ბრძანღებით, მაგრამ მეც მინდა ორი სიტყვა ვითხრათ – უნაგირზე რომ შემოგესვათ, ბალიშივით სქელუა დუნღულეღიანი, ქალბატონი და როსინანტის კუზებამოყრიღ თხემზე გერწიათ და გექანავეღინათ, გენახათ მერე როგორ დაგიტკებოდათ და თქვენ რჩევასაც თავმოდრეკიღი კდემამოსიღებით მოისმენდა... თქვენ კი, იმის ნაცვღად ჯერ ცეცხლი გაგენღეღინათ და ნავთი მერე მიგემარჯვეღინათ“...

„მე ხომ კეთიღი განზრახვით“...

„ეე, ქალს რომ მაგის გაგების ჭკუა ჰქონდეს, ყოვეღღღე ხომ არ მოგვადგებოღდნენ სასესხებღად, მაგრამ რომ ასესხო, შენც ხომ უნდა გქონდეს?“

„მაგ მხრივ მინც ბედნიერი ვარ, ჩემ



რჩეულს, ტობოს ასულს, არც სესხად, არც საჩუქრად არ უთხოვია... ჭკუა და გონება საკმარისზე მეტიც კი აქვს!“

„როდის უნდა ეთხოვა, ერთხელ გყავთ ნანახი და ისიც სიზმარში“.

„თომა!“

„ჰო, ა, ვჩუმდები, სამარე ვარ!.. მგონი, კიდეც რალაცის თქმას აპირებდით...“

„იმ ავადსახსენებელი დღიდან გავიდა ხანი, იმაზე ბევრად ცოტა, ვიდრე ვვარაუდობდი: სამზარეულოში ყველა ნამსხვრევი ბოლომდე გამოგვილიც კი არ იყო, რომ ხელახლა მიხმო, უფრო მძიმედ თავდაბურულმა და ასკეტური იერით დამძიმებულმა — ჩემო იდალგო, უნდა მოგიბოდიშოთ, ჯერ თქვენ და მერე იმ ავლა-დიდებას, ამ თაროებს სალ-სალამათები, მთელები რომ ამშვენებდნენ და სანაგვეებში ჩავუძახეთ... მიკიბ-მოკიბვას აზრი არა აქვს, ვერც იმ ჯამ-ჭურჭელს დავაცოცხლებ, თქვენს თავსა და მხარბეჭს რომ დაემტვრა და ვერც ჩემს დამსხვრეულ ქალწულ-ქალობას აღვადგენ, მაგრამ, როგორც კი ჩემი გონებიდან მრისხანება ამოშრა, გამუდმებით ვზომავე და ვნონი თითოეულ სიტყვას... ვფიქრობ, თავს ვამუნათებ, მაგრამ უფრო დიდი ცეცხლი ეკიდება ამ ჩემს საბან-გობანს და ლამის ნაზაფხულევი თივის ბულულივით ჩამბუგოსო... ვოცნებობ „საბუღარზეც“ და „მამალზეც“ და, როცა გაიგებთ ვინაობას იმ წითელბიბილოვანისა, მე რომ მინდა დამეუფლოს, ალბათ, სიხარულით ცას ენევით, მაგრამ იმედია, როგორც ღირსეული, ენაშენახული კაბალიერი, აწყვეტილი, გაუხედნავი კვიცივით, ჩემს ნათქვამს გარეთ არ გამოაჭენებთ... მოკლედ, რალა ბევრი გავაგრძელო და, თქვენ ბრძანდებით ის მეთულუხჩე, ვინც უკვდავების წყაროს წყლით უნდა გამინედლოს გამოგვალული სხეულიო...“

თომა, აქამდეც ბევრჯერ მითქვამს, კაცი მოულოდნელთან შესაჯახებლად სულ მზად უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს ასატანი ზომა-წონა და საზღვარი?

მასხოვს, ჩემმა უსაზღვრო აღშფოთებამ ლამის კეფა ამხადა, მითუმეტეს მაშინ, შავყურთმაჯებიანი ხელი როცა ისევ გამოჩნდა, გამოძვრა ასევე შავი მოსასხამის იდუმალებიდან და ჩემს მუხლისთავზე და ცოტა უფრო ზემოთაც დაბანაკდა... მრისხანების ალი გულ-მუცელში დამიტრიალდა, მაგრამ პირი დროულად მოვმუნე, სათქმელი მალლა აღარ ამოვუშვი, თუმცა თვალებმა მაინც გამცეს, ამ მოღალატე თვალებმა, გამოუსწორებელმა ჭორიკანებმა, რომლებიც, რისი თქმა და გამხელაც არ გინდა, სწორედ იმას ამხელენ

და ამბობენ; ხოლო რის აღიარებაზეც მზადა ხარ, იქ თვალების ვეჯილობა და შუამავლობა რაში გჭირდება, ამისთვის ენა მოგვცა გამჩენმა... ენა კი ისეთია, კბილი თუ აუშვი, ასპარეზი მიეცი და ღრჯოლის დაჭერა დაგავინცდა, ძილშიც არ გაჩუმდება...“

მაშ, უარს მეუბნებითო, მეორე ყურთ-მაჯიდან ციცქნა, სასანთლედან ნაღვენთის ასაფხეკი დანა გამოიღო და მაჯაზე ძალუმად მფეთქავ კაპილარს პირით დააჭირა... არა მგონია, თავისი სიფხავის გამო, დანას სიგამხდრით გათხელელებული კანის გაჭრა მაინც შეძლებოდა, მაგრამ თავს ამით ხომ არ დავიმშვიდებდი — ჩემო უფრთებო ანგელოზო, მეც სწორედ მაგის მოსასმენად გეახელი!.. მაშინაც, როდესაც აღშფოთების საბაბი გავხდდი, ჩემთვის ვირჯებოდი და არა რომელიმე, თუნდაც უფრო პატივცემული იდალგოსთვის ანდა უმაქნისი, გალოთებული, სამეფო კარზე ჩემზე პატივცემული, კამერ-ლაქიას უზანგის დაჭერის უფლებით პრივილეგიური მსახურისთვის-მეთქი... ჩემთვის, საყვარელო, ჩემთვის!.. დანას მზერას არ ვაცილებდი და გაუგონარ სისულელებს ვბოდავდი, ოლონდ, ამჯერად, თვალები დაბლა მქონდა დახრილი, რომ არ წამოეყრანტალებინათ იმ ქალის სახელი, რომელზეც სინამდვილეში გულის სიღრმეში ვლოცულობდი... ასეთი გამოცდილების ქალბატონს რამეს გამოაპარებ?! თითდაუდებელი ხომ არ არის, თავისი საგანძურის ხარჯვას ჯერ რომ არ შესდგომია; გაყამირებულს ჯერ სახნისის პირი რომ არ მიჰკარებია და სახნისსაც დიდი შემართება, გამბედაობა და სიფრთხილე რომ მართებს, რათა არ გაიღუნოს ანდა სულაც ნახნავში ჩატყდეს!.. არ მენდო-მეთქი, აბა, თვალებში შემომხედეო!.. ვერა, არ შემოძლია, ბედნიერების ნაპერწკლებს ვერ გავუძლებ და ფარვანასავით ჩავიფრფლავ... არაო, და შეატოკა დანიანი თითები...“

„ეგ სიჯიუტე ვირსაც კი შეშურდებოდა!.. ფრთხილად, ბატონო, აგე, ჩემმა წყეულმა თუჯის ქვაბის თავსახური გამოაშხუილა!.. ფრთხილად-მეთქი, მოიხარეთ და თავი დალუნეთ, ასეთ დროს ალვის კენწეროს უფრო უჭირს, ვიდრე ძეძვის ბუჩქს... აუჰ, მგონი, გადავრჩით!.. გასწორდით ნელში, უკვე გადაიშხუილა“.

„უბედურ ბესტაეთს კიდეც ნგრევა უნდოდა?!“

„ამას რა უშავს, ვიცნობ მაგის მოდგმას, ერთხელაც ქვაბის ყურს გამობმული თვითონაც გამოშხუილდება და... მგონი, მონოლოგი არ დაგისრულებიათ, მერე რა მოხდა? ოლონდ მინიშნებით სიტყვა „ქალი“ რომ არ ახსენოთ და ჩემი „ღვთაება“ ხელახლა არ განარისხოთ!“





„ჰოდა, არაო და არაო – იმან!.. ოღონდ ეგ არ მთხოვო-მეთქი და იმის მაჯას ჩემი მაჯაც გვერდით მივუსვენე... ხმის ტონზე შევატყვე, ეამა. ამასობაში, დაბინდდა კიდევაც. მეც სიბნელით დაიმედებულმა, თავი თამამად ავნიე... მერე ეჭვიც კი გამიჩნდა, ასე რომ ძალაობს, თვალი ჩემს ავლადიდებაზე ხომ არა აქვს-მეთქი დადგმული“.

„ამ შემთხვევაში სრულიად იმის მხარეზე ვარ, ვის სახელსაც და სქესსაც შეგნებულად არ ვამხელთ – თქვენგან რას უნდა გამოლოდე-ბოდა, თვალუნვდენელ მამულებს თუ სემირამიდას ბალებს! იქნებ, საცოდავ აღჭურვილობას ანდა ნეკნებამოყრილ ჯაგლაგს დაადგა თვალი, ამდენ ხანს რომ დაათოხარიკებთ და ერთი ჩასაფრებული, თქვენი მტერ-მოყვარე მერომანეს წყალობით, მკითხველს რომ ვერ გადაუნყვეტია – დაგცინოთ თუ გითანაგრძოთ?!“

„დამლაღე, თომა, ეს რამდენი აბდაუბდა დაახვავე!“

„არა, მხოლოდ იმას ვცდილობდი, თქვენ უფრო მეტი არ დაგეხვავებინათ“.

„ჩემი მოთმინებაც არ არის უსაზღვრო!“

„გამოტყდით, რომ სიმართლის სასწორი ახლა მე მწყალობს“.

„შენ თუ გაჯიუტდი, ყველაზე მკაცრი და უსულგულო შარაგზის ყაჩაღიც ვერ ჩამოგაქვეითებს“.

„მაგას ჩემზე ბრძანებთ? ვისაც თქვენ ნაცვლად ცხვირი არაერთხელ წაუმტვრევია?! ეგეც არ იყოს, იქ რატომ უნდა ჩამოვქვეითდე, სადაც არც ამის საჭიროებაა და არც ადგილი!.. გინდათ, კოჭებამდე ლაფში ჩავდგე და ის, სახელს რომ არ ვახსენებ, როცა ერთხელაც, თუჯის ყურებიანს ამ ჩემს გოგრას მოახვედრებს და იმქვეყნად გამისტუმრებს, აღსავლის კარს ლაფიანი ფეხებით მივადგე? არა, ბატონო, ისეთ სიმყრალეში, გუბერნატორობის დროს რომ მომიხდა ჭყაპა-ჭყუპი, იქიდანაც კი სუფთად გამოვედი, წუნის წვეთიც კი არ მომკარებია... ჩამომქვეითებელი, მე კი არა, თქვენა გჭირდებათ!.. თუმცა აგერ არ ვარ, თქვენ საქმეებში უკეთესად სხვა ვინ არის ჩაყურყუმელავებული... აბა, აბრძანდით, ბატონო, ერთ მტკაველზე ასცდით უნაგირს, თუკი გაგიძღეს თოკდამპალმა უზანგებმა და სასამართლოს პატივი ეცით!“.

„კანონებს ყოველთვის მონინებით ვეპყრობოდი!“

„ვნახოთ, ბატონო, ვნახოთ!.. კანონებისადმი მხოლოდ თქვენი პატივისცემა არ კმარა: პატივი იმანაც უნდა სცეს, ვინც კანონების ენით გელაპარაკება... ამ შემთხვევაში, მე!“

„მერე, უფალო კორხეიდერო, თქვენი

სამართლის ცოდნა, მითუმეტეს, ანალიზისა, კანონთა მუხლებისა (იმედია, ეს „მუხლები“, სახელს რომ არ ვახსენებთ, იმათი არ გეგონებათ), განსწავლულობა და ობიექტურობა, დააკმაყოფილებს დღევანდელ სასამართლოს?“

„გუშინდელისა რა მოგახსენოთ და დღევანდელ სასამართლოს – უეჭველად!.. ასე რომ, მოვალე ვარ ბრალდებულთან უნაყოფო დიალოგის ხვრელში შევძვრე, რომელიც ჯერ-ჯერობით არც კი ვიცი, საით მიემართება; რაც შეეხება კანონთა კრებულს და, რომ არ ვახსენებთ, იმათ „მუხლებს“ ერთმანეთისგან ვარჩევ თუ არა, იმან იცის, ვინც თქვენს განსაჯელად მომავლინა!“

„ვინა, იმ თვალახვეულმა ხელში სასწორით?“

„მაშინ არ იყო თვალახვეული, თქვენს გონებაში მოხარშულ ვარაუდს ერთადერთ ჭეშმარიტებად რომ წარმოადგენდით და უცოდველ ცხვირის ფარას შუბმომარჯვებული დაერეოდით ხოლმე?!“

„უფალო მოსამართლე, რაც ახლა ბრძანეთ, მტკნარი სიცრუეა!.. ქვეყნის მტრებს თუ ცხვრებად თვლით, ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ... ბესტაეთი რომ დაიცალა, იქნებ ეგეც მე დამაბრალოთ!.. ანდა თუ სამართალმა ზურგი აქცია, მაშინ რა გასაკვირია, რომ დაცილილიყო?“

„ცხელი ხავინით პირი დაინვით? მეც მოგეცით, ხედავთ, ფორა, აი, ჩემი მეტაფორა!“

„მანდ მეტაფორას რა უნდა, თომა... პოეტიკაში მოიკოჭლებ, როგორც შენი სახე-დარი... ფეხებში გაქვთ ნეხვის გორა, ეგ უფრო მეტაფორა... ეგ არის სამართალი? ვირს ოთხი ფეხი და რვა ჩლიქი აქვს და სამი ნალით არის დაჭედილი“.

„რა ვქნა, ცალ ქუსლზე ჩემ მოკასინებსაც ნალი აქვთ ამძვრალი და ცალ მხარეს იმიტომ ვქანაობ, მაგრამ ვუძღლებ, არ ვკვდები“.

„შენს ფეხზე, ქალამანის გარდა, არაფერი მინახავს“.

„როგორ ნახავდით, ჯვრისწერის შემდეგ, ფეხსაცმელი გამხადა ჩემმა სულის ზიარებამ, დაკლიტულ ზანდუკში შეინახა და სააღდგომოდ თუ ჩამაცმევს, ისიც მხოლოდ ნაკიან წლებში... თანაც, ჩემი ბანჯგვლიანი ვირგლები ისე გაჯოჯოვდნენ, ალბათ, აღარც ჩამეტევა“.

„ვისაც უნდა ზიარება, ფეხშიშველა იარება!“

„უხერხულობას რა ვუყო, თორემ არც ქალამანს ჩავიცვამდი — ბებერი კამეჩის კისერზე უარესი ტყავი დავიდე“.

„გუბერნატორობისას ფეხისგულების ფხანით აძინებდნენო“.



„მიგონებენ, ბატონო, სიარულში გადაღ-
ლეთილ ტყავს თითის ცაცუნით კი არა, საგარ-
ბილე ქლიბით ვერაფერს აგრძნობინებ“.

„მეც ახალ ჩექმას მხოლოდ პარტიულ ყრი-
ლობებზე ან საზეიმო მიღებებზე თუ ჩამაც-
მევს მარია ივანოვნა... ესენი კი „ნეპის“ დროს
ყოველდღიურ სახმარად რომ მიბოძეს, ჩემდა
ბედად, უცვლელი გამოდგა... როგორც ჩემი
პენსნიიანი მინისტრი მიმტკიცებს, ოფლის
ანალიზით, ჩემამდე ცარიციინში დახვრეტილ,
იოშკაროლელ თეთრ ოფიცერს ეკუთვნოდ-
აო!“

„აცხონოს მისი სული!“

„თეთრ ოფიცერთან ცხონებას რა უნდა,
თომა!“

„სული რომ მიაბარა უფალს, იმიტომ
ვაცხონე, თორემ ცოცხალი რომ ყოფილიყო,
ჩექმებს ვინ გაღირსებდათ!“

„ჩექმაზე გამახსენდა – ჰაოსის შთამომა-
ვალი თანამებრძოლი მყავდა, ყველას თავზე
წამოვასვი, დავანინაურე (მაინც ძმათაშვილე-
ბად ვითვლებით) და იმპერიაში მეორე კაცად
ვაქციე, მაგრამ რად გინდა, ძილში თურმე,
როგორც იმის მოდგმის ერთ-ერთი მთავარი
ხელობა, სულ საძირეები, ფეხსაცმლის რან-
ტები, ტყავის წებო, ლურსმანი და მენალის
ჩაქუჩი ელანდებოდა“.

„ვააჰ, ამხელა თავსატეხში გაბმულ კაცს,
კიდევ სიზმრებისთვის ეცალა?! ალბათ, თვი-
თონ გამოგიტყდათ! აბა, იმის სიზმრებში რო-
გორ შეხვიდოდით, აბანო ხომ არაა!“

„ის შევიდა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც შე-
ვიდა!“

„ვინ ის?“

„ზემოთ ნახსენები პენსნიიანი!“

„შეუძლებელია!“

„რომ გცნობოდა“.

„ჯვარი მწერია!“

„ის კი არა, ერთხელ მეც შემიყვანა, თქვე-
ნი თვალით ნახეთ, მერე რამე რომ არ დაძ-
აბრალონო!“

„პენსნიიანს რალა დაბრალება უნდოდა!“

„შევედი და, რას ვხედავ... გამარჯობათ,
ბატონო, რაო, ბესტაეთიდან მიემგზავრე-
ბით? ჩვენ – პირიქით... ჩაცმულობითა და
ასაკით თუ ვიმსჯელებთ, სემინარიელი უნდა
ბრძანდებოდეთ... მეც ოდესღაც... დაუჩორო-
თეთ თქვენს ფაშატს, სადილობის დრო მოდის,
სადმე ჩრდილში შევიარაქათოთ!.. სადილს ვერ
ხედავთ? იქნება, იქნება... ვერ შეამჩნიეთ, თა-
ნამგზავრს თეძოზე რამხელა გულის საპალნე
ადევს!.. რა გინდა, სულო და გულო!.. კეთილი,
ნება თქვენია, იქნებ, აქეთობას ბედმა გაგ-
ვილიმოს, კიდევ შეგვხვდეთ და მაშინ მაინც
დაგვაფასეთ... მშვიდობით, მშვიდობით!“

„გამაგიჟებთ, ამ შუალამეში რა დროს
სადილობა ანდა რაზე ეპატიუებოდით, ერთ
მუჭა ყველის ნაფშხვენზე?“

„ცოტაა, სიტყვით რომ ვასიამოვნეთ?
განა ჩვენმა მოქალაქეებმა არ იცოდნენ, ყოვ-
ელ ფეხის ნაბიჯზე გაკრული ლოზუნგები
ტყუილს რომ ქადაგებდნენ? მაგრამ თვალს
უხაროდა და ისინიც ბედნიერნი იყვნენ... სად
გაგჩერდი?“

„კი არ გაჩერდით, გაგაჩერეთ!“

„ჰოდა, შემიძღვა კრემლში... ფუი, სიზმარ-
ში, სახარაზოში“.

„ნამდვილად სახარაზო იყო?“

„ბავშვობიდან, მამაჩემის წყალობით,
ფეხსაცმლის საპირე ტყავისა და წებოს ნაც-
ნობი სუნი შემეშლებოდა?! ვხედავ, უზის
წინსაფარაფარებული ეს ჩემი თანამებრძო-
ლი მეჯლანის მაგიდას და რევოლუციური
შემართებით უკაკუნებს ჩაქუჩს სადგამზე
წამოგებულ ჩექმის ძირს“.

„იქნებ ბესო იყო?“

„არა, პენსნიიანი მამასთან შემიყვანდა?..
ერთხანს ვუყურე, როგორ უგერგილოდ ირ-
ჯებოდა და გულწრფელად ვინანე, ამდენი წე-
ლინადი, სახელმწიფო საქმეებით თავის მთა-
ვარ მოწოდებას როგორ მოვწყვიტე-მეთქი...
გამოვთქვი თუ არა სინანული, პენსნიიანმა მა-
შინვე შემომთავაზა, „ნნ-ის“ ერთ-ერთ „გან-
სანმენდელში“, პოლარულ ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთში, სწორედ ხარაზი გვაკლიაო და“...

„უარი უთხარით?“

„ჰო!“

„თქვენ და გულჩვილობა?!“

„არა, თომა, უბრალოდ, რომ დავაკვირდი,
დამწყები შეგირდით ფლობდა ხელობას...
შემეცოდნენ პატიმრები, ბოლოს და ბოლოს,
ტყვია ერთხელ გაგათავებს, ცუდი ფეხსაცმე-
ლი კი მუდმივი სანამებელია“.

„მაგ თქვენს დიდსულოვნებას სასამართ-
ლო გაითვალისწინებს“.

„გმადლობთ, ამხანაგო!“

„რა ბრძანეთ, ბატონო?“

„წამომცდა, მაპატიე!“

„პირველი და ერთადერთი ვარ, ვინც გაი-
ძულათ სასამართლოს წინაშე მოიბოდიშოთ!“

„მობოდიშებით ნათქვამს თუ სიბრძნე
არ ახლავს, ყველანაირი პათეტიკა მხოლოდ
ფშუტე თავთავია; ნებისმიერი, ოდნავ მაინც
ნაცადი, სხვაგვარად მოაზროვნე პოლიტიკო-
სი უცებ აგაბურთავებს – „თუ ნაიქცევა დიდი
მონარქი, მას მიაწვება ყველა მონა რქით!“

„ეგ ხომ საკუთარ თავზე გამოსცადეთ!..
აფსუსს, ვისთვის და რაში დაიხარჯა თქვენი
ნიჭიერება! არ აჯობებდა წყლის ციციქნა ყლუ-
პივით, ლექსების ნაცვლად, გრძელი და უსას-





რულო პოემები გენერათ? აი, ისე, მუზას ერთი პორტუგალიელი რომ ელლაბუცება?“

„პირდაპირ პოემები?“

„ჰო, მერე რა უშავს, მით უმეტეს, თუ გასამრჯელოს სტრიქონებით აგინაზღაურებდნენ!“

„აბა, რას ამბობ, რალა დედა გამიყიდა და რალა გულსა და გონებაში გამომწვარი სტრიქონი!.. თანაც ძნელია პოემასთან პირდაპირ მისვლა“.

„მაშინ ხერხი გეცადათ, ხან მარჯვნიდან შეგეტიათ, ხან მარცხნიდან... ჩემი აზრით, მოკლედ წერა უნდა იყოს ძნელი, თორემ უთავბოლო მიდებ-მოდებას, სინდისის ხმას თუ ჩააჩუმებ, რა უნდა!.. გახსოვთ, რა დღეში ჩაგვყარეს თქვენგან დახსნილმა კატორღელებმა? იმათ ნამოქმედარს ხომ ყველაზე მდარე პოემაც კი სჯობდა!“

„მაშინდელი ფათერაკი ყველა არქივიდან ისე ამოვშანთე, რომ პენსნიანმაც ვერ მიაკვლია და, თქვენ საიდან, როგორ, რა გზებით... რაც შეეხება იმ ჩემი ცოდვით სავსე ორტომეულს, სტრიქონ-სტრიქონ მაქვს განჩხრეკილ-ამოკრებილი და მრავალზე უმრავლესი სისულელენი, ავტორსაც და იდალგოსაც თავზე საყრელად რომ ასხიათ, ნახევარზე მეტი, არც მომიფიქრებია და არც ჩამიდენია“.

„მაგას მე მეუბნებით? თქვენი ფათერაკების ერთადერთ და უტყუარ მოწმეს?“

„ხომ გთხოვე, გაჩუმდი-მეთქი! ისიც გეყოს, ჩემი სულის ამოხდომას რომ არ დაესწარი, სულთმობრძავის მაჯა ხელში რომ არ გეჭირა“.

„რას ბრძანებთ, ის დედაბოძი ახლაც გალუნულია, მე რომ მწუხარებით დახუნძლულ თავს ვურტყამდი!“

„ჰო, კარგი, კარგი!.. იქ დაიძარხა მახვილგონიერი იდალგო და მეორე და მესამედ მოსვლის შემდეგ, მხოლოდ მეოთხე ცდაზე, ისევე ჯაგლაგზე ამხედრებული გამოეცხადება ტობოს ასულს ანუ მიწიერი ანგელოზის ხატებას...“

„ერთხელ რომ ნახეთ სიზმარში...“

„არ აჯობებდა, შენც ერთხელ გენახა შენი ამშენებელი ცხოვრების თანამგზავრი სიზმარში და ამით მოგეთავებინა?“

„მაგის იღბალი ვინ მომაშავა!.. პოემებზე მოგახსენებდით, სანერად თუ პირდაპირ მისვლა გიჭირთ, იქნებ, ხან მარცხნიდან, ხანაც მარჯვნიდან მოუაროთ-მეთქი, მაგრამ, ვიცო, არ იზამთ, შთაგონებით თავბრუდახვეულ დარეკილებს მუდამ პირდაპირ უყვართ მისვლა!“

„ეგ დარეკილობა კი არა, უფრო სიმამაცე უნდა იყოს... სახელი სწორად შეარჩიე!“

„სახელი რაა, თუ სახრავი არ მოჰყვა!.. რაც მე თქვენი დანაყილი ცხვირ-პირი, ამოგდებული მხარი, ჩალენილი კბილები და ჩამტვრეული ნეკნები მინახავს!.. სიმამაცეს თუ ქონება და პატივისცემა არ მოაქვს, უნაყოფო სიგიჟეა, მეტი არაფერი!.. აგერ ბრძანდებით მაგალითი – რაც იმხელა „ტომებში“ გიხათქუნეს, კიდევ კარგად გამოიყურებით! იმ დალოცვილს, მოკლედ მაინც დაენერა, ასე, ორი თორმეტფურცლიანი რვეულისხელა, იმდენჯერ ხომ არ დაიბეგვებოდით – „თუ ნაიქცევა დიდი მონარქი, მას მიანვება ყველა მონა რქით...“.. ეგეც ხომ გამოსცადეთ!.. „როცა შარვალზე ამწყდა ფოლაქი, მაშინ დაეცა დიდი მონარქი,“ – აბა, ნახეთ როგორი შემოვლაა მარჯვნიდან და მარცხნიდან!“

„კარგია, მაგრამ ტახტისთვის კურთხეული მონარქის შარვლის ფოლაქთან გართმევა, მაინც უხერხული უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ ფოლაქი, იგივე დიდი, შენი აქოთებული შარვლის უბეს მოსწყდა, თუნდაც საპატიო მიზეზით“.

„ეგეთი რა საპატიო მიზეზი უნდა ჰქონოდა, მინდორში დამეკარგა და ამოგდებული დამტოვა... ხომ შეიძლება, ისეთმა ვინმემ იპოვოს, სულაც რომ არ სჭირდება?“

„დამერწმუნე, კიდევაც რომ სჭირდებოდეს, ახლოს მაინც ვერ მიეკარება, ისე იქნება შენი შარდის წინწკლებით გაპატიოსნებული!.. და, საერთოდ, ჩემი ჯაგლაგის ნაჩლიქარს ვფიცავ, შუბის წვერს უთუოდ ვაგემებ მონატრებულ დუნდულის გემოს, თუკი ყბებს დროზე ლაგამს არ ამოსდებ!“

„ვჩუმდები, ბატონო, ვჩუმდები, თორემ თვალეები ისე აგემღვრა, ადვილი შესაძლებელია, დუნდულის ნაცვლად, ეგ თქვენი მრავალნაცადი შუბის წვერი, ფოლაქანყვეტილ უბეშიც მითუთქოთ!“

„აჰა, მუქარის შიშმა, შენც გაკმია გონიერების გუნდრუკი!“

„მე ეგრე არ ვიტყოდი!“

„რომ არ იტყოდი, სწორედ მაგიტომ მოჩანჩალებ მთელი ცხოვრება ჩემს უკან!“

„თქვენს უკან რომ არ მეჩანჩალა, მე სანყალს ვინ გამიხსენებდა... არა, უნდა გამოვტყდე, რომ უჩემოდ, ვერც თქვენი ვარსკვლავი იბრწყინებდა სარაინდო რომანების მხიარულ ცისკაბადონზე“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



* * *

ცა გამიხუნდა და ყვავილები
გამიფერადე ღმერთო,
სიცილი, ისევ, შემადლებინე
ყოვლის შემძლეო, ერთო.
თვალში მზე, ისევ, ამიბრიალე,
ლამის ბნელ ცაზე – მთვარე,
მიუსაფარი, დედაღვთისმშობლის
საფარველს შემაფარე.
სიყვარული შობს ბედნიერებას,
ვერსაით ვპოვე, ვწუხვარ,
შემადლებინა, – „მიყვარდეს ყველა, –
ისინიც, ვისაც ვძულვარ“...



განწყობა

ხან, თვალში ცრემლის წყაროა,
ხან, მზიან დღეთა ნათელი,
ხან, ვლალობ, იღბლიანი დღით,
ხან, ვნალვლობ, ღამენათევი.
ხან, საკუთარი თავი მძულს,
ხან, მიყვარს სიცოცხლესავით,
ვინც მიყვარს, თითქოს, არც მიყვარს,
ხან, მიყვარს – იესოსავით...

ქარო გამიყოლიე

მარტო, რატომ დაჰქრისარ?! —
ეზო-ეზო, კარდაკარ?!..
ქარო, გამიყოლიე,
შენთან ერთად, – მხარდამხარ,
შემაჩერე – მის სახლთან, –
ნახვა მინდა, – ხანდახან.

მარტი

სცივათ ამ შიშველ ნუშებს და შინდებს,
მზე გადიკარგა, რატომღაც, ისევ,
ქარი თავს მესხმის მებრძვის, მაშინებს.
მზეს ვნატრობ, ახლა, მზისფერ აპრილებს...



**ბიული ჩინიაშვილი-
ვახვანიაშვილი**

მოდი და გრძნობით მითხარ, მიყვარხარ,
და... ცივი მარტი გამიაპრილე.

ოცნება

მზე დღეს ქარგავდა,
და სიზმრებს ჩემსას –
კვალზე ვედექი, – ოცნებით სავსე,
გამორჩეული ზღაპრის პრინციპით
საზღაპრეთიდან, მოსულს ვამსგავსე.
დიოდნენ წლები: გრძელი, მღელვარე,
იმ წლებმა გულზე დარდი მომფინეს,
მასზე ოცნებას და დავინწყებას
„ერთი სიცოცხლე ვერ ვამყოფინე“...

გნატრობ...

ქუჩას მივუყვები მარტო,
სულ მარტო,
გარეშე მოწმის,
თმა შემივერცხლა ფანტელმა
გაყინულ ბაგეზე მკოცნის,
სიცარიელეა, ირგვლივ,
შენით ვლონდები, მარტო,
როგორც, მოცხარი, თოვლის ქვეშ –
თბილ აპრილს, –
ისე, გნატრობ...



შენ არ გიშველის თავის როდენაჲ,
თავს თუ უშველი, ვით გიშველია,
რადგან მთელ ამ შენ წვას და გოდებას
თანასაგრძნობლად არსად ელიან.

ხანდახან ფიქრი ამ მძიმე ჭვარზე
ბევრად მძიმეა, ვიდრე თვით ჭვარი,
კარის რხოვრება ყოფილა ასე, –
წოწხლობ და ჭვარიერ საზიფი არი.

თორნიკე კანდელაკი



მოთხრობა ნიბნიდან „ქარების სახლი“

მარად სანუკვარი თითები

მაგ თითების ალერსს დანატრებული
გული ჩემი, გული ჩემი ვნებული,
სითბოს მათსას გადარჩენად იგონებს
და გიგზავნის ამ ნალვლიან სტრიქონებს.
მე მწყურია მაგ თითების ფერება,
სხვა სადაა ჩემთვის ბედნიერება?
ყველგან ღვარძლი, სიამაყე და შური,
ყველგან ჩემთვის კარებია დახშული.
ყველგან მკაცრად მიყენებენ პირობას
და ყოველთვის მთხოვენ მათნაირობას.
ეგ თითები, მაგ თითების ამბორი
ჩემთვის წმინდა სინაა და თაბორი.
ისინია ერთადერთი ნუგეში,
რომ არაა სული ჯერაც უხეში.
ო, ეს მათი სიმებით და გედებით,
ქვეყნის ხელში თუ არ გავსულელდები!
მხოლოდ ასე სული წყვიდადს ერევა,
მხოლოდ ასე ძალუქს ბედნიერება,
მხოლოდ ასე მწამს მე გულის ძგერება,
მხოლოდ ასე მიყვარს და მემღერება!
ასეთ კრძალვით, წყურვილით და რიდებით,
მხოლოდ შენი სანუკვარი თითებით...
ამ ამბორში არის დიდხანს ფარული,
ო, იმდენი ცრემლი და სიხარული!..
მათით ვლელავ და მათითვე ვმშვიდდები,
სანამ შენი მე მათობენ თითები,
შორს იქნება ჩემგან გაბოროტება
და ცდა ყველა მარცხით დაბოლოვდება.

გამგზავრების წინ

გადმოვყურებდი მე უნინ ქალაქს
და საბუდრიდან ვაფრენდი ლექსებს,
შიგ გულისგულში ვანობდი კალამს,
მაგრამ ქალაქი დაეძებს ექსცესს.

მორიელობა ვიცანი ახლა
მათი მთავარი არის თვისება,
ვეგრძნობ, რალაც უცნობ, უჩინარ დალლას
და ფრთების შხამით პარალიზებას.

აქებენ სადმე სულს ბარბაროსულს? —
მე იმათ წრეში ვერასდროს მპოვებ.
მე ვერ ვიქნები ის, ვინაც ბრბოს სურს,
თუნდაც დამახროს ცივ სიმარტოვემ.

და ვეთხოვები უნილბო ქალაქს,
თუმც ზურგმექცევა მწარეა ჩემი,
ვიპოვი სადმე მდუმარე ალაგს
და გულდამწვარი ფიქრს მივეცემი.

ნისლმეყხებნი

თვალს ისევ მტანჯველ სიზმრებში ვახელ,
ისევ დანგრეულ ვდგავარ სახლებთან
და მაგონდება არც ერთი სახე,
რომლის დანახვაც სულს ამაღლებდა.

არ მაგონდება არც ერთი მხარე,
არ მაგონდება არც ერთი კერა,
სადაც გულს ჩემსას ნალველი მწარე
მოუნდებოდა ამოეჟღერა.

არავის ღიმილს არ ველოდები,
მე ამცდა ასეთ კვართის ტარება,
არც ვინმე მეღის ცეცხლის მოდებით,
ქვეყნად არსაით მიმეჩქარება.

და არაფერი მე არ მიტაცებს,
როგორც ჭენება ველურ ცხენების,
სხვა ვერაფერში დედამინაზე
სულმა ვერ ნახა მოსასვენები.





არ დამანახვო მაგ გულზე წყლული
ჩემი ოცნების ხმავე და ზღაპარო,
ცეცხლმოდებული ეს ჩემი სული
ელვარე თასებს რომ შევაფარო!

ვადრი რა ბნელში ანთებულ
კანდელს,
კანდელს მეომარს ქარის
ძერებთან...
დაფლეთილს ვხედავ ყველა იმ
მანდილს,
რომელიც ამ ქარს შეაჩერებდა.

და ამ სიზმრებში თვალის გახელით,
დღეს აღსასრულის როცა ვიჩქარი,
კრთება ხსოვნაში ერთი სახელი
ნარუშლელი და დაუვინყარი.

როს ჩამონვება ნისლეები ფიქრში
და მწუხრებს მიაქვთ ლანდები სახლის,
ნისლმეუხებლად დგას ერთი ნიში
და თავს ვარსკვლავი დაჰნათის მალლით.

ლამის ტბაზე როგორც გედი

ლამის ტბაზე, როგორც გედი,
ისე მინარნარობ,
ნეტავ, შენი მომცა ბედი
ავსებულო მთვარეო!

ველი, ველი, ისევ ველი,
მაგრამ ჩემზე ახია,
რა ხანია საყვარელი
ჩემი არ მინახია.

შენ ვარსკვლავებს აბნევ ტუბილად,
რაა დარდი, არ იცი,
სატრფო ყელზე, მოვა დილა,
მოგეხვევა ხალისით.

ღამე შენთვის სეირია,
გულის მოსაამებო,
ჩემთვის დარდის ზეიმია
და წუხილის სამეფო.

იქ, ქუჩის ბოლოს ქალი რომ მიდის

იქ, ქუჩის ბოლოს, ქალი რომ მიდის,
იქ, ქუჩის ბოლოს, რომ მიდის ქალი,
თან მიაქვს ჩემი ცხოვრება მშვიდი
და ჩემი სულიც მისდევს შემკრთალი.

ამომხდეს სული, რისათვის იყო,
დაფარონ იგი რომელ ვარდებმა?



თორნიკე კანდელაკი

გულს საგულეში გარემო ითხოვს,
გული, გული კი მისამარდება.

მიკვდება გული, რას შევადარო,
რა ნაღვლითაა ამოვსებული,
რა სიტყვა ვუთხრა ახლა სამყაროს,
რომ შევძრა მისი ქვასავით გული?

ან რას მიშველის, რომც
მომეფერონ,
ნუგეში მცენ, თუ იცვან თალხები,
მიდის, ის მიდის, არ იცის მე რომ
ცოცხლად ვილუპვი და ვიმარხები.

ქუჩის ბოლოსკენ მისი ნაბიჯი,
თითოეული ნაბიჯი მისი
ცივდება, როგორც ტყვია ძვალ-რბილში,
როგორც საფლავეში გორახი მიწის.

შეჩერდეს, ვინმემ უთხარით, სთხოვეთ,
კარგი არ მელის მისგან განკვეთილს,
უთხარით, სთხოვეთ ნუ მიმატოვებს
ამ უდაბნოში სასონარკვეთილს.

ნავიდა, მორჩა... რალასლა ვეძებ?
დაფერფლილია სული და ქარო
მალალო, მითხარ, ან ფერფლი ესე
რომელ ანგელოზთ დასს მივაბარო...

გულჩაკეცილობა

შენ ყველაფერი გულს ჩაიკალი,
ეულად გული შენი იწვოდა
და რო ბრუნავდა შენ თავს გრიგალი
არავინ ქვეყნად სხვამ არ იცოდა.

რატომ და რისთვის, — შენ ვერ ახსენი,
რა იდუმალი გქონდა მიზეზი,
ბევრჯერ კი ტანჯულს და გულგასენილს
ხმა გინატრია უგულთმისნესი.

ვით რელიქვია, ვით საგანძური
და საიდუმლო რამე წიგნები,
ისე დამალე შენი წარსული,
შენი გრძნობები, შენი ფიქრები.

და განამებდა შენ გამუდმებით
პირაკემსვა და ნაკემსარები,
მოგანდომებდნენ სიკვდილს წუთები
გულდათუთქვების და გამწარების.

მაგრამ მდუმარე იყო ზეცა და
მდუმარე იყო ხალხის მზერები,
იცოდი, რაც შენ პირს გიკემსავდა,
ეს საკუთარი იყო ხელები.



შენ არ გიშველის თავის ცოდებაც,
თავს თუ უშველი, ვით გიშველია,
რადგან მთელ ამ შენ წვას და გოდებას
თანასაგრძნობლად არსად ელიან.
ხანდახან ფიქრი ამ მძიმე ჯვარზე
ბევრად მძიმეა, ვიდრე თვით ჯვარი,
კაცის ცხოვრება ყოფილა ასე, –
ცოცხლობ და ჯვარიც საზიდი არი.

ხიდზე

ახლა, როდესაც ამ წერილს გინერ,
ღამეა, ირგვლივ არავინ არის,
ვდგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე –
ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.

თითქოს ომიდან მე დაგიბრუნდი,
ისევ წრეში ვარ სახემლიმართა,
დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდბუნდი,
როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.

რალაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან,
დიდი ხანია რასაც თვალეები
არ შეხვედრიან და თითქოს რუკა
მე მანვალედა გაფერმკრთალეებით.

შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა!
ვინ გადაურჩა სულის ობლობას?
მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ,
ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?

სულში რა ხდება მხოლოდ შენ განდობ,
მე შენთან ვხარობ თავისუფლებით,
არ გეკრძალება, ერთი შენ, მარტო
მიგლოვო, თუკი დავიღუპები.

ჯოჯოხეთში ვარ, თუ ვერ გიგონებ
და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ
და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს,
ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.

არ დამემდურო, გიცქერენ სადაც
ღალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით,
იქ გულგრილობა მშვიდი და სადა
მოგერეოდა შენც უნებური.

როდემდე უნდა ენთოს სანთელი?
როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?
როდემდე უნდა მან წინანდელი
გადაივინყოს გულმწყურვალეება?

მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს,
როდესაც ვხედავ რა ფიქრით სდუმან,
რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის,
შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უმალ.

თუ მიკავია მერნის სადავე,
თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვთიურობს,
ნეტავ, ვიცოდე შენთვის რადა ვარ
ასეთი უცხო გზავ მშობლიურო!

მე მახსოვს სითბო შენი თითების,
როცა ყველასთვის უცხო ვიყავი,
ძირს დაცვენილი მარგალიტები
და მოსროლილი სადღაც ნილაბი.

ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გწამდეს!
ჩემი ტკივილიც მოიძევს საფლავს
და ყველაფერი დასასრულამდე
მივა რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.

არაფერია, ჩემო ძვირფასო,
ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი,
ბევრი წარწერა ვნახე კვირბაზე,
მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი.

და ახლა, როცა ამ წერილს გინერ,
ვისმენ სიხარულს შორეულ ქერის,
კვლავ ჩვენს საოცარ ამოვედ ხიდზე
და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

უჩინარი ქალიშვილის წერილი ჰოეტს

შენ სულ ყოველთვის დაგყვებოდნენ ქალიშვილები
და გეხვეოდნენ თავზე ჩიტთა როგორც გუნდები,
მათი შემყურე მე შენს თვალში დავიჩრდილები,
არ მოიხედავ და მე აღარ მომიბრუნდები.

...თანაგრძნობისთვის ვერ დავინყებ გამათხოვრებას,
გული კი მწყდება, მწყდება ძლიერ, ძლიერ
ვღონდები,
წლები გაივლის, თვალს გაახელ, ნახავ ცხოვრებას
და სინანულით, სინანულით მოგაგონდები.

გაგახსენდები, მოაწყდება ხსოვნას კადრები,
სხვა სიხარულზე ფიქრს შესწირე ადამიანი,
მოგენატრები, უსაშველოდ მოგენატრები,
შენ კი იფიქრებ სავალალოდ არის გვიანი.

მაგრამ რა იცი, რომ ვიქნები როგორც ტირიფი,
ჩუმ სიხარულით, ჩუმი ტანჯვით, ჩუმი გოდებით,
მე შენს სიყვარულს დავიცავ და შევეწირები,
სიკვდილამდე და მის შემდეგაც დაგელოდები.

ჩემი სიცოცხლე მე შენს ფეხთქვეშ გამიფენია,
კვლავ ველი მე შენ მობრუნებას ფრთხილ
გულისცემით,
მთელი არსება, მთელი ჩემი გული შენია,
შენი კი ერთი გაღიმებაც არაა ჩემი.



როლანდ
პირობაძე

მღვივანე მივართვი ჩანთა გაჩერებამდე. მალე ტროლეებუ-
სიერ მოგრიბინდა. უკანა კარიდან ავედი. მონსვეტით დაიძრა.
წავედარბაჯდი, ხელით ჰაერს წავეპოტინე და ნონასნორობადა-
კარგული ზურგით სახელოურს შევენარჯე. სავარძლიდან ახ-
ალგაზრდა ზიჯი წამოხტა, არც უკითხავს ისე ჩამომართვა ჩან-
თა. ზოდიში მომიხადა, დროულად ვერ დაგეხმარეო. არაფერი
მიტეკვამს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. სახეზე წამომახსურა,
აღნაბი მთლად ნითელი ვიყავი. კარს მაღლორბა გადავუხადე
და ჩანთის ჩამოსწორებულად ხელი გავუწოდე. იუარა, ჩასვლამ-
დე ჩემთან იყოსო. რა მითქმოდა. სახეშეფაკლოვლმა თვალში
შევაველე. მოხდენილი, შავგვრემანი ახალგაზრდა იყო.
როლანდ გიორგაძე



ნითელი კაბა

გოგონა იდაყვებით ფანჯრის რა-
ფას დაყრდნობოდა და ეზოში იცქირებო-
და. ცელქი სიო მაღიმალ მიეაღერებოდა,
ანენილ თმებს თვალეზზე აფენდა და სამზერს
უკეტავდა. ძირს მაცქერალი თავის აქნე-
ვით ცდილობდა ჩამოშლილი თმა გაესწორე-
ბინა. უყვარდა ეზოში ცქერა. აქ მისთვის
ხომ ყველაფერი ნაცნობი იყო: ალუბალი,
ლელვი, ქლიავი, მოშორებით თხილი, კიდე
უფრო შორს თუთა. ნაწვიმარზე ალუბლის
ხეებს შესცქეროდა, წვიმის წვეთები კუნ-
წულეებს მარგალიტივით რომ ჩამოეკიდებო-
და დაუოკებელი სურვილი მოეძალებოდა და
თითოეულ წვეთს თითებით ეხებოდა. მამა
აფრთხილებდა: არ დაგინახო ნაწვიმარ ხეზე
ასულიო. ახლა თუთაზე გადაიტანა მზერა,
როგორ გაიზარდა, გამსხვილდა და გაიტო-
ტა. ადრე ადვილად აბობლდებოდა ხოლმე.
ახლა კი გააფრთხილეს, შენი ასაკის გოგოე-
ბი ხეებზე აღარ დაბლოტილობენო. რამდე-
ნი რამე არ შეიძლება თურმე დიდობისას.
ხასიათიც ცვალებადი გაუხდა, თვითონაც
არ იცოდა რა უნდოდა. ნიავი კი თავისას არ
იშლიდა და მომაბეზრებლად დანავარდობდა
თმებში. ფრთების ტკაცუნით მოფრინდნენ
მტრედები, ფრთხილად დაემვენენ თუთის
ძირას, მოუსვენრად, თავის ქიცინით დაღუ-
ლუნებდნენ და დათაფლულ ნაყოფს შეექ-
ცვოდნენ. საინტერესოა, ნეტავ ხეზე რა-
ტომ არ მიერთმევენ, გაიფიქრა და აბეზარი
ნიავისგან ჩამოშლილი თმა კიდე ერთხელ
შეისწორა. ეზო მზერით შემოირბინა, მერე
ფანჯარას მოწყდა და ფეხის წვერებზე შემდ-
გარი ცეკვა-ცეკვით გაემართა როიალისკენ.
თითები კლავიშებზე კალმანხვით დახტოდ-
ნენ და სრიალებდნენ. პატარა პაუზის შემ-

დეგ კი სასიამოვნო ხმით წამოიწყო – „გულს
რად მიკლავ“... არ ჩაუმათავრებია, წამოვარ-
და ფეხზე და ბეზიას ოთახში შევარდა. ბეზია
როგორც ყოველთვის ახლაც საკერავ მანქა-
ნასთან იჯდა, ამჯერად ქსოვდა.
– ბებო, რავა სულ ქსოვ და კერავ?
წამოწეი, დაისვენე, წიგნი წაიკითხე, სულ
ქსოვა და ქსოვა?
– რატომ შეწყვიტე სიმღერა? ჩემი ახალ-
გაზრდობა გამახსენა, – თითქოს შვილიშვი-
ლის ნათქვამი არც კი გაუგონია, ისე ჰკითხა
ბებომ.
– რა ვიცი ბებო, ამ ბოლო დროს გულს
ვერაფერს ვუდებ. რატომღაც აფორიაქებუ-
ლი ვარ, ბოლომდე ვერც ერთი საქმე ვერ
მიმყავს. ბედნიერი ქალი ხარ ბებო, შეგი-
ძლია წყნარად იჯდე და კერო ან ქსოვო.
– ასაკის ბრალია მაგ ყველაფერი, მალე
გაგივლის. დრო კი ღვთის ნაჩუქარი გან-
ძია, არ შეიძლება უყარათოდ გაფლანგო.
მოკლეა შვილო წუთისოფელი და ძილსა და
კოტრიალში არ უნდა გაატაროს კაცმა. იქ
რომ მივალ, ხომ შემეკითხებიან, ჩემი ნა-
ჩუქარი დრო ფუჭად რატომ გაფლანგეო.
გოგონა ბებოს მიუჩოჩდა, კალთაში ჩაუ-
ჯდა, ისე როგორც პატარაობისას ჭაღარა
თმები გადაუწია და შუბლზე ნახად ეამბო-
რა. მერე მაგრად ჩაეკონა და ცრემლი წასკ-
და.
– რა ხდება პატარავ, რა გაგჭირვე-
ბია? აბა, დანვრილებით მომიყევი! ოლონდ
მარწუხებისგან გამანთავისუფლე, ველარ
ვსუნთქავ.
გოგონა მუხლებიდან ჩამოსრილდა და
იატაკზე მოკალათდა.
– ბებო, რა არის სიყვარული? შენ რო-



გორ შეგიყვარდა?

ქალი დაიბნა, დუმილი ჩამონვა. გოგონა გაფაც-იცებით ელოდა პასუხს. ბებომ სათვალე შეისწორა, ისევ საქსოვს მისწვდა და თავი ჩალუნა. ერთი თვალი რომ ამოიყვანა გოგონას ამოხედა და ღიმილით წარმოთქვა:

– ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ ბავშვი ხარ, ისედაც უამრავი საზრუნავი გაქვს: სწავლა-განათლება, მუსიკა, უცხო ენა, – ბებო პასუხს თავს არიდებდა.

– კარგი რა ბებო, შემომხედე, ბავშვი ვარ ახლა მე?

ბებო თვალით მიეალერსა, თითქოს შვილიშვილს პირველად ხედავსო.

– ხო, აღნაგობით ბავშვს აღარ გავხარ, მაგრამ ასაკით ჯერ ისევ ბავშვი ხარ. ბავშვობა, შვილო, ოქროს ხანაა, სად გერქვარება, ზრდასრულობას მოესწრები.

გოგონამ ყურს მიღმა გაატარა ნათქვამი.

– შენ როგორ ფიქრობ, რომეო და ჯულიეტა ჩემზე უფროსები იყვნენ? შენთვის მე სულ ბავშვი ვიქნები, – ტურები გაბუსხა და გაბუტულმა წარბები მაღლა აზიდა.

გულზე შემოანვა ბებოს, ფეხზე წამოდგა. შვილიშვილმაც წამოინია.

– მოდი პატარავ, ყველაფერი დანვრილებით მიაბზე, – ბებომ შვილიშვილს ხელი გამოსდო და იქვე ტახტზე ჩამოსხდნენ, – აბა, პატარავ, თამამად.

– ბებო, არ ვიცი, რა ჰქვია ამას. ერთი ბიჭია, ჩემთან ერთად ცეკვავს, ჩემი მენყვილეა, ძალიან შემანუხა თავისი ყურადღებით, – შეყოვნდა, თავი გაიქნია, მერე თვალანთებულმა ემოციურად განაგრძო, – ჩემზე ორი წლით უფროსია. შეხედულიც არის, თავაზიანიც, კიდევაც მაფრთხობს მისი გადამეტებული ყურადღება და კიდევაც მსიამოვნებს. იქნებ მითხრა რა არის სიყვარული, რას გრძნობენ ამ დროს?

– აბა რა გითხრა, უამრავი რამ დანერ-ილა სიყვარულზე, სავსეა მსოფლიო ლიტერატურა სიყვარულზე შექმნილი ნაწარმოებებით, მაგრამ ზუსტი პასუხი კაცობრიობას მაინც არ აქვს, არ არსებობს სიყვარულის ფორმულა და რეცეპტი. ჩემი გადასახედიდან სიყვარულს თვალი არ აქვს, სიყვარული გულიდან იცქირება. არც ასაკი იცის,



როლანდ გიორბაძე

ზოგს ადრე ეწვევა, ზოგს გვიან, ბევრს კი გვერდზე ჩაუფლის. შესაბრაღისია ის ადამიანი ვის გულსაც სიყვარული არ სწვევია. იმასაც ამბობენ, სიყვარული სულის ნიჭიაო, რომელიც სადღაც გულთან ახლოს ივანებს. აბა რა გითხრა, ჩემი ისტორია არაფერში გამოგადგება. თუმცა, გულიდან მოწყენილობა რომ გადაიგდო, მოგიყვები.

ძალიან მიყვარს მაისი, ჩემი უსაყვარლესი თვეა. ბუნებაც სხვანაირად კისკასობს ამ თვეში, გრძნობებსაც აფორიაქებს. სწორედ მაისის თვეში დაიწყო ყველაფერი. იმ დღეს მზის პირველი სხივის შემოჭრისთანავე წამოვვარდი ლოგინიდან. უამრავი საქმე მქონდა გასაკეთებელი, აბაზანას მივაშურე, თავი მოვინესრიგე და საქმიანობას შევუდექი. გული სიხარულით მქონდა სავსე. როგორც იქნა შევიპირე ხელოსნები და ახალმიღებული ბინის კეთილმონყობას შეუდგენენ. გული საგულეში აღარ მეტეოდა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, საკუთარი ბინა მექნება. მართალია ერთოთახიანი, მაგრამ ჩემი. მეზობელი მიკეთებდა რემონტს და სათანადოდ უნდა მოვმზადებულიყავი. პურმარილიან ოჯახად გვიცნობდნენ და თავს ხომ არ შევირცხვენდი. კარგი სადილი უნდა გამეკეთებინა. ღილით ვაგრძელებდი საქმიანობას და ფუსფუსს. ხაჭაპური კი გამორჩეულად ჩემეული რეცეპტით გამოვაცხვე. პატარა გოგო აღარ ვიყავი და კულინარიაში კარგად ვერკვეოდი. ღვინოზე ვჭოჭმანობდი. ხელოსანი ღვინის მოყვარული იყო და ვიფიქრე, არ გამოთვრეს-მეთქი, მაგრამ ქართველი კაცისთვის სადილი ღვინის გარეშე რა სადილია. ყველა საქმე რომ მოვათავე მერე ვიგრძენი დაღლა. ცოტა ხანს წამოვწექი. თან ვფიქრობდი, თუ რა ჩამეცვა. ხელი ჩავიქნე, რა მნიშვნელობა აქვს, შენც ახლა პაემანზე არ მიდიოდე. ბებიაჩემის ნათქვამმა გამომაფხიზლა, უყვარდა ხოლმე თქმა – სახლიდან გასული ქალი ყოველთვის კოხტად უნდა გამოიყურებოდესო. როგორც იტყვიან, ათასი თვალია და ათასი ყურიო. კაბები გადავათვალიერე, რომელი? ბოლოს ჩემი მოქსოვილი წითელი კაბა ავირჩიე. მაკიაჟით თავი აღარ შემინუხებია. გულახდილად რომ გითხრა, არც ვგიჟდებოდი მაინცდამაინც, მხოლოდ თვალებს შევიფერადებდი ხოლმე.





მხატვარი სოფიო ქელიძე

საკმაოდ მოზრდილ ჩანთას წამოვავლე ხელი. მემძიმა, ერთი კი გავიფიქრე, ამას რა ჩაათრევს იქამდე-მეთქი, მაგრამ რაღას ვიზამდი. მამა წავედი, – შევუძახე მამას და საფეხურებზე მძიმედ დავეშვი. მეზობელ ქალს მივესალმე, რომელიც ყვავილებს დაჰფოფინებდა. ძალზე მხიარული ქალი იყო, უზომოდ უყვარდა ყვავილები, მარტოხელა ქალი იყო და სიყვარულს ყვავილებში აქსოვდა

– როდემდე უნდა იარო, გოგო, ეულად?
– შემომძახა თავნაკრულმა მეზობელმა, – მოგკლავს მაგ ჩანთების თრევა. სხვა თუ არაფერი, ჩანთის წაღებაში მაინც გამოგადგებოდა.

– გამირიგე მერე ვინმე, ციალა ბიცოლა, – გავიხუმრე მეც.

– ჩემი გარიგებული რად გინდა, ვარსკვლავებს ეთამაშები გოგო.

უზომოდ სათნო და კეთილმოსურნე ქალი იყო. ყველას ასე მიეყვავილებოდა ხოლმე.

– ბიჭი რომ მყოლოდა უკვე ჩემი რძალი იქნებოდი.

დავიმორცხვე.

– მოდის ციალა ბიცოლა, მოდის, ოღონდ ძალზე შორი გზიდან, – ვუპასუხე ღიმილით.

– ელოდე, ელოდე, – უკვე წასულს მომანია სიტყვა.

ძლივს მივართიე ჩანთა გაჩერებამდე. მალე ტროლეზუსიც მოგრიხინდა. უკანა კარიდან ავედი. მოწყვეტით დაიძრა. წავბარბაცდი, ხელით ჰაერს წავეპოტინე და წონასწორობადაკარგული ზურგით სახელურს შევეწარცხე. სავარძლიდან ახალგაზრდა ბიჭი წამოხტა, არც უკითხავს ისე ჩამომართვა ჩანთა. ბოდიში მომიხადა, დროულად ვერ დაგეხმარეო. არაფერი მითქვამს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. სახეზე წამომახურა, ალბათ მთლად წითელი ვიყავი. კაცს მადლობა გადავუხადე და ჩანთის ჩამოსართმევად ხელი გავუნოდე. იუარა, ჩასვლამდე ჩემთან იყოსო. რა მეთქმოდა. სახეშეფაკლულმა თვალი შევავლე. მოხდენილი, შავგვრემანი ახალგაზრდა იყო. გაჩერებამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი, როცა ბიჭმა თავისუფალი ხელით ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და გამოიმწოდა. ამ მისამართზე მივდივარ, იქნებ დამაკვლიანოთო. საუბარზე ეტყობოდა ადგილობრივი არ იყო. მისამართს დავხედე, გოცნება და ღიმილი ერთბაშად მომერია სახეზე. ფურცელზე ჩემი კორპუსის ნომერი იყო მითითებული. ვუპასუხე, რა თქმა უნდა დაგეხმარებით, მეც მაგ კორპუსში მივდივარ-მეთქი. ვაჟმა გაიღიმა, გამმართლებია და ეგ არისო. უხერხულობიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვსულიყავი, თავს ხან ძირს ვხრიდი და ხან ფანჯრის მიღმა მრქოლავ კორპუსებს გავაყოლებდი მზერას. ერთხელ მეტად არც შემიხედავს უცნობი ვაჟისთვის. ის კი თურმე შეფარვით მათვალეირებდა. ტროლეზუსი ნელ-ნელა იცლებოდა, ბოლო გაჩერებაზე მარტო ჩვენ ჩამოვედით. ჩანთა არ დამანება და კორპუსისკენ მიმავალ გზას დავადექით. უხმოდ მივდიოდით. ჩემ თავზე ვბრაზობდი, რანაირად წავეფორხილდი, ალბათ რა სასაცილოდ გამოვიყურებოდი, რას იფიქრებდა ეს კაცი, ეს რა მოუხერხებელი ვინმე ყოფილაო. გუნებაში გამეცინა. ახალი კორპუსი იყო და ლიფტი გამართულად ჯერ კიდევ არ მუშაობდა. ფეხით ავუყევით კიბეს. მეოთხე სართულზე შევჩერდი, მოვუბრუნდი და ვუთხარი, თქვენ მეხუთეზე უნდა ახვიდეთ. დახმარებისთვის დიდი მადლობა გადავუხადე. არაფერი უთქვამს, გამიღიმა და საფეხურები აიარა. გამიკვირდა, არც სახელი უთქვამს, არც ჩემი უკითხავს. პატარა ხანს დავყოვნდი. შემაფიქრიანა უცნაურმა და თავაზიანმა ახალგაზრდამ. მერე ჩემი ბინისკენ გადავდგი ნაბიჯი. ჩანთა ტყვიასავით გამხდარიყო, გავიფიქრე – რა მეშველებოდა



ეს ღვთისნიერი კაცი რომ არ გადაამყროდა.

ხელოსნები მოუთმენლად მელოდნენ. ძველ მაგიდაზე მორჩენილი შპალერი გადააფარეს, სახელდახელო სუფრა გაშალეს და მაღიანად შეექცნენ. მე ღია აივანზე გავედი და ეზოში დავინყე ცქერა. ისევ ჩემ მარცხზე ვფიქრობდი.

ბებო წამოინია, სათვალე მოიხსნა, ჩამოშლილი ქალარა თმები უკან გადაივარცხნა, მხრებში გასწორდა, საზურგეს მიესვენა, სადღაც შორს, საგნებს მიღმა იცქირებოდა. კარგა ხანს იყო ასე გარინდული. შვილიშვილმა დააბრუნა საამქვეყნოს.

– მერე ბებო. მერე რა მოხდა? გააგრძელე, მომკლა ცნობისმოყვარეობამ, ველარ ვითმენ.

– რა შვილო და ზოგიერთი შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს და მთლიანად ცვლის მის მომავალს. თავისით არაფერი ხდება, ამბობენ ყველაფერი ღვთის განგებულებას ემორჩილებაო. არ ვიცი, ალბათ ასეა.

ცოტა ხანში მეზობელმა დამიძახა, თუ არ დაგვეხმარე, ჩაგვეყრება წყალში დაგემილი დღე. სიგარეტი გაგვითავდა, ეგაა ჩვენი დოპინგი, მაგის გარეშე ვერ ვიმუშავებთო. ოღონდ თქვენ არ მოცდეთ და სიგარეტს ახლავე მოგიტანთ, ვუპასუხე, ხელჩანთა მხარზე გადავიკიდე და კიბეზე დავეშვი.

მივუყვებოდი გზას და მომავლის გეგმებს ვანყობდი. ათას რამეზე ვფიქრობდი, მაგრამ რაზეც არ უნდა მეფიქრა, ჩემდა გასაოცრად, ის ახალგაზრდა ამომესვეტებოდა ხოლმე. მიკვირდა, თითქოს და არაფერი უჩვეულო არ მომხდარა. მერე რა თუ ახლგაზრდა კაცი თავაზიანობას გამოიჩინს და დაგვეხმარება. ვინ მოთვლის რამდენი ასეთი შემთხვევაა დღეში. კაცმა რომ თქვას, წესიერად არც კი შემხედავს. ქუთაისში მაისი მაისობდა და ვარდის სურნელში გახვეულ ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა. დავდიოდი სამსახურში, ვსაქმიანობდი ოჯახში, რემონტიც ბოლოსკენ მიდიოდა. ყველაფერი თავის ადგილას დადგა, მაგრამ იმ ბიჭის ხატება გულიდან თუ გონებიდან ვერა და ვერ ამოვიღე.

ერთხელაც, სამსახურიდან გამოსულს, ის ახალგაზრდა ჭიშკართან ვარდების თაიგულით დამხვდა. ხრიგინა ტროლეიბუსი გა-

მასხენდა, ღიმილი მომერია. ნეტავ საიდან გაიგო ვარდები რომ მიყვარს, გამიელვა თავში. ბებო დადუმდა. თვალი გაუშტერდა, როგორც ჩანს ფიქრებით ისევ წარსულს ელაციცებოდა. შვილიშვილი მოთმინებით ელოდა. ბებო გამოერკვა და ისევ გააგრძელა თხრობა. წელან რომ გეუბნებოდი, ხელოსნებმა სიგარეტისთვის გამაგზავნეს-მეთქი, თურმე ჩემს იქ არყოფნაში, ეს ვაჭბატონი მუშებთან ჩამოსულა, მისალმებია, შეუქია ნახელავი, უთქვამს მეც დამჭირდება თქვენი დახმარებაო, ზემო სართულზე ჩემმა დამ მიიღო ბინა, მომეწონა თქვენი ნახელავი და მინდა გაარემონტოთო. ამასთან შეფარვით გამოუკითხავს ჩემს შესახებ, შეემლებოდა თუ რა, არც სახიერება აკლდა, არც ჭკუა და მოხერხებულობა იურისტ კაცს. მეზობელს ყველაფერი ჩამოუკაკლავს. ბებიას ღიმილი გადაეფინა სათნო სახეზე. დიდი ხნის მერე, როცა უკვე ოჯახი გვექონდა, ვკითხე, იმ ათ წუთში როგორ მოვახერხე შენი მოხიბვლა-მეთქი? არ იკითხავ, რა მიპასუხა? შენმა უსუსურობამ და დაბნეულობამ, შენმა დამფრთხალმა თვალებმა, შენმა კდემამ და უბრალოებამ, შენმა წითელმა კაბამ მომხიბლაო. წარმოგიდგენია, კაბისთვისაც კი მიუქცევია ყურადღება. ახლაც შენახული მაქვს, ხანდახან ჩაცმას მთხოვს, ძველი დრო გავიხსენოთო.

ხედავ, კუდრაჭა, ერთმა წაბორძიკებამ რა გააკეთა? რას გაუგებ კაცის გულს. ამიტომ გეუბნებოდი, სიყვარულის რეცეპტი არ არსებობს-მეთქი. შეიძლება ერთმა შეხედვამ გადანიყვიტოს ყველაფერი. იმ დღიდან მოყოლებული, ექვსი თვის განმავლობაში, ყოველ შაბათს, ერთსა და იმავე დროს ჩამოდიოდა თბილისიდან და ვარდების თაიგულით მხვდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მისმა თავაზიანობამ, ზნეკითილობამ და უაღრესად საინტერესო საუბრებმა, არა მარტო მე მომხიბლა და შემიყვარდა, არამედ ჩემ მშობლებსაც შეაყვარა თავი. ასეთია, ჩემო ლამაზო, ჩემი სიყვარულის ისტორია.

დაამთავრა ბებომ, ალერსიანად გადახედა ყმანვილ ქალს და თვალებზე ჩამოცურებული თმა გაუსწორა. ცრემლმორეული, სახელიმილიანი შვილიშვილი კი გულში ჩაეკრა და ჭკნობაშეპარული ლოყები დაუკოცნა.





მ
ლ
მ
ლ
მ
ლ
მ
ლ
მ
ლ
მ
ლ
მ
ლ
მ

ვიდრე დაჯდებოდა, სკამის მომრგვალებულ საზურგეს დამატყნარი ხელი გადაუსვა. მათ სახლში თითქმის მთელი ავეჯი მამამისის ნახელავი იყო, რომელიც თავის დროზე წინააღმდეგობრივად ელზასელი ფურგალი გახლდათ. მასთან ავეჯის შესაკეთად გერმანიიდან და შვეიცარიიდანაა კი ჩამოდიოდნენ. ყავარჯენი კედელს მიასყდა და მაგიდის კიდეს დაყრდნობილი ერთხანს გაირინდა. მისი ამქვეყნად ყოფნის მეოთხმოცე ნელინადი იწყებოდა. წყნარად და უშფოთველად გააჭარა წლები. აურზაურის და მნიშვნელოვანი წვლილებების გარეშე, გულში საიმედოდ გადაძაბულ, თითქოსდა მივინწყებულ ტკივილთან ერთად...

ლანა მანველი



Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი, „ოლე“ №1, 2, 3, 2022 წელი

Festival de Musique de Strasbourg*

ბიჭები ძალიან ღელავდნენ. დღეს ისინი პირველად უნდა წარმდგარიყვნენ საზოგადოების წინაშე, რამდენიმე სიმღერა სპეციალურად ფესტივალისთვის მოამზადეს. ტექსტებს და მუსიკას ძირითადად ლუი და დამიანი წერდნენ. ჯგუფის ყველა წევრმა თმა გაიზარდა და ერთმანეთის მსგავსი იმიჯი შეიქმნა.

სასცენო კოსტიუმების რაღაც დეტალები, ბლენის დახმარებით, თეატრის გარდერობიდან შეარჩიეს. მოსაცმელის დაჭმუჭვნის შიშით, კლოდი მთელი დღე არ დამჯდარა. ლუკასმა ისედაც ხვეული თმა კიდევ უფრო დაიხვია და წარამარა იმ პატარა სარკეში იყურებოდა, რომელსაც ყოველთვის ჯიბით ატარებდა. დამიანმა გულზე მეტალის მრგვალი ფირფიტა დაიკიდა. ფრანსუამ სპეციალურად კონცერტისთვის „რეი ბანის“ მარკის სათვალე შეიძინა. ლუიმ ვერცხლისბალთიანი ტყავის სქელი ქამარი და ტყავის მოკლე ქურთუკი მოირგო.

კლუბების მოედანი რკინის პატარ-პატარა კონსტრუქციებით შემოვლობათ. ხალხი თანდათანობით გროვდებოდა. სცენის წინ პატარა სკამები დაედგათ, რომლებიც ჯერ კიდევ დღისით დაეკავებინათ ილბლიანებს. დანარჩენი მაყურებელი ზოგი გენერლის ქანდაკებასთან, ზოგი ბეტონის ბარიერებზე, ზოგიც პირდაპირ ძირს ჯდებოდა.

მთავარი კონცერტი 9 საათზე იწყებოდა... მელანი და ნოემი გუტენბერგის მოედანზე ერთად წავიდნენ. შარლოტას დიდად არ უნდოდა მელანის გაშვება, მაგრამ რატომღაც უარი მაინც არ უთქვამს, მხოლოდ სახლში დროულად დაბრუნება მოსთხოვა. მელანის არ უყვარდა დედის გამუდმებული კონტროლი, ახსნა-განმარტებების საჭიროება და თავის გასამართლებელი ტყუილების მოგონება. შარლოტამ ახლაც მხოლოდ ის იცოდა, რომ გოგონებს ქალაქში უნდა გაესეირნათ და სხვადასხვა მუსიკალურ ღონისძიებებს დასწრებოდნენ. სიმართლის ცოდნის შემთხვევაში, რატომ უნდა, მელანის წასვლის უფლებას არ მისცემდა. ლუის კონცერტზე გამოსვლის შესახებაც არაფერი იცოდა.

ჯონათანი უკვე მოედანზე დახვდათ. ვიდრე აქ მოვიდოდა, მანამდე კლუბის მოედანზეც გაეგლო და ვინაიდან იქ გოგონები ვერ ენახა, აქეთ გამოეგრძელებინა გზა. ყველგან უამრავი ადამიანი ირეოდა. ირგვლივ მუსიკა, ხმაური და მხიარულება სუფევდა და სამივეს კარგ ხასიათზე აყენებდა, თუმცა მათ ისედაც უხაროდათ ერთად ყოფნა. ღია კაფეში დასხდნენ და კრეპები შეუკვეთეს. ჯონათანი ნოემს ესაუბრებოდა, მათ მაგიდასთან კაროლი რომ გამოჩნდა, მან მელანის უჩუმრად კალთაში ყაყაჩო ჩაუდო და სკამის მოსატანად კაფეში შევიდა.

ჯონათანს კაროლის ქცევაზე ღიმილი ტუჩებზე შეაშრა, ნოემისთან საუბარს უმაღლათავე მიანება და სკამიანად მელანის მხარეს გადაჯდა. უკან მობრუნებულ კაროლს თავის დასა და ჯონათანს შორის მოუწია დაჯდომა.



* სტრასბურგის მუსიკალური ფესტივალი – (თარგმნ. ფრანგულიდან).

მელანიმ ერთხანს უხერხულად ატრიალა ხელში ყაყაჩო, მერე ჩანთიდან ლექსების ბლოკნოტი ამოიღო და ფურცლებს შორის შეინახა...

იმ საღამოს კლუბელის მოედნიდან გვიანობამდე ისმოდა დამიანის მალალი, მყვირალა ვოკალი, გიტარების დასამახსოვრებელი რიფები და ლუის სოლოები.

* * *

იმ დღის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს მელანი და ჯონათანი. ნოემიცი მათთან ერთად იყო, რათა შარლოტას ეჭვი არ აელო და მელანი არ გაემწარებინა. ვითომ სასხვათაშორისოდ კაროლიც ხშირად ჩნდებოდა მათთან, მოტოებით ხომ ისედაც ყველანი ერთად სეირნობდნენ. ჯონათანმა მელანის ტყავის ქურთუკი, ტყავის ხელთათმანები და ჩაფხუტი აჩუქა, რათა მოტოციკლეტის სწრაფი სვლის დროს არ გაციებულიყო და თან მგზავრობის წესებიც არ დაერღვია.

თუმცა ეს ყველაფერი შარლოტას შიშით ისევ ჯონათანის სახლში ინახებოდა.

სიყვარულზე არასოდეს არაფერი უთქვამთ, თითქოს არც ერთ მათგანს არ სურდა დაერღვია სულთა ჰარმონიული მდგომარეობა. მხოლოდ გრძნობდნენ და უფროსილდებოდნენ. მელანისთვის ეს გრძნობა ნაცნობი იყო. ელიასის შემდეგ, ჯონათანი იყო ის სანდო ადამიანი, რომელთანაც საიმედო ნაცნაყუდელი ჰპოვა და სიმშვიდეში გაირინდა.

ანეტი

(ნივთები, რომლებიც ტკივილს გვაყენებენ)

ანეტმა აივანზე გამავალი ორივე კარი მჭიდროდ დახურა და ოდნავ ჩამობნელებულ, საუკუნეს მიტანებული სახლის კედლებში განმარტოვება სცადა.

სტრასბურგში ივლისის მზე აცხუნებდა. ლუი და მისი ჯგუფის წევრები სარეპეტიციოდ სარდაფში ჩასულიყვნენ. ბლეიზი თეატრში იყო.

მას შემდეგ, რაც აივანზე დაეცა და ფეხი მოიტეხა, ანეტს გადაადგილება უჭირდა. მარცხენა ხელით ყავარჯენს დაყრდნობილი, თავისუფალი ხელით ისევ ყოველდღიურ საქმეებს აკეთებდა. ხმაურიანი მუსიკა ანუხებდა, თუმცა არაფერს ამბობდა. ასევე არ წუნუნებდა სიგარეტის კვამლზეც, რომელიც ბლეიზის გამოისობით უწყვეტად ტრიალებდა სახლში.

ანეტი საძინებელ ოთახში შევიდა, ორი



მხატვარი სოფიო ქელიძე

სანოლი განცალკევებით იდგა. პასკალის სიცოცხლეშიც ასე იყო. ოთხ წვილ ფეხზე შემდგარ სარკიან მაგიდას მიუახლოვდა და ხმარებისგან გალეული, მოწეული სკამი გამოსწია. ვიდრე დაჯდებოდა, სკამის მომრგვალებულ საზურგეს დამჭკნარი ხელი გადაუსვა. მათ სახლში თითქმის მთელი ავეჯი მამამისის ნახელავი იყო, რომელიც თავის დროზე ცნობილი ელზასელი დურგალი გახლდათ. მასთან ავეჯის შესაკვეთად გერმანიიდან და შვეიცარიიდანაც კი ჩამოდიოდნენ. ყავარჯენი კედელს მიაყუდა და მაგიდის კიდეს დაყრდნობილი ერთხანს გაირინდა. მისი ამქვეყნად ყოფნის მეოთხმოცე წელიწადი იწურებოდა. წყნარად და უშფოთველად გაატარა წლები. აურზაურის და მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, გულში საიმედოდ გადამალულ, თითქოსდა მივიწყებულ ტკივილთან ერთად...

სარკეს შეხედა, მოჩუქურთმებული ჩარჩოდან მზერა საკუთარ გამოსახულებაზე გადაიტანა, მერე ხელები სახესთან მიიტანა და თითის წვერებით ჯიუტად შეეცადა ნაოჭების გასწორებას. ანეტს შეკრული თმა უცაბედად სპილენძის სამაჯურზე გამოედო, რომელიც მაჯაზე მალალი წნევის დასარეგულირებლად ეკეთა. დამატებითი სამაგრის ასაღებად მაგიდის პატარა უჯრა გამოსწია. უჯრამ გაიღრჩიალა. სამაგრები სპილოს ძვლისგან დამზადებულ პატარა, აქსესუარების ჩასალაგებელ





ექვსკუთხა პრიზმის მსგავს მოგრძო, ღია ყუთში ელაგა. ყუთის წინა მხარეს, ტევრიდან გამოსული, თავდახრილი ქუდიანი ქალი იყო ამოტვიფრული, უკანა მხარეს კი... ანეტს უცბად ყელში რაღაც გაეჭედა და ხველა აუტყდა. სული რომ მოითქვა, მისთვის ძვირფასი ნივთი სათუთად ამოატრიალა და ზედ ამოტვიფრული ასოები, ღმერთმა უწყის, წლების მანძილზე უკვე მერამდენედ დაათვალიერა:

„ჩემს ანეტს... მარად მომიგონებდე... 1928 წ. 1 ივლისი... Alessandro“

ალესანდრო გარიციომ ძმები გრიმების სახელობის პარკში აჩუქა ეს სუვენირი და ამ ბოლო შეხვედრის ყველა დეტალი სამუდამოდ აღებეჭდა გონებაში...

ჯარში წასული ალესანდრო უკან აღარ დაბრუნებულა. ანეტს მისგან ეს სუვენირი, სამი ღერი გამხმარი გვირილა და მიჩქმალული, უკვდავი სიყვარული დარჩა...

Bésame mucho

შარლოტამ ეტიენი ცხელი ზაფხულის შედარებით გრილ საღამოს გაიცნო.

სტრასბურგის მერია საზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ხანშიშესული ადამიანებისთვის ღია ცის ქვეშ ცეკვის საღამოებს აწყობდა.

იჯდა შარლოტა განმარტოებით, ხეების ქვეშ და შორიდან ადევნებდა თვალს სხვათა ახალი ურთიერთობების დაწყებას. თვითონაც არ იცოდა აქ რატომ მოვიდა. ეს იქნებ უზომო სიმარტოვის განცდის, ანაც გულშიჩამწვდომი მუსიკის ჰანგების ბრალი იყო?

ირგვლივ სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა. ჯერ ილიმებოდა, მერე კი დასევდიანდა მუდამ თანმდევი გაუნელელებელი სულის ტკივილის გამო.

ვინ იცის რამდენ ხანს გასტანს წყვილების თავაზიანი სიტყვა-პასუხის გაცვლა-გამოცვლა, რამდენჯერ გაახარებენ ერთმანეთს ყურადღებით, თბილი ღიმილით. რამდენჯერ წავლენ კინოში, საღამოობით რამდენჯერ დალევენ მხრებზე ერთმანეთის სამოსმოსხმულეები ელზასური ღვინით სავსე ბოკალ ღვინოს...

თავიდან უამრავ ფოტოს გადაიღებენ, ღიმილით, ბედნიერი გამომეტყველებით. ეგონებათ რომ სადღაც შორს დარჩა წარსულში დაღვრილი ცრემლები, წყენისგან გახევებული



ლანა მანველი

სხეულები...

და მერე, რამდენჯერ ატკენენ ერთმანეთს გულს, ასაკისთვის შეუფერებელი ღელვის, უსასოო ყოფის ფონზე ეცდებიან შერიგებას...

მერე? მერე კი მიხვდებიან, რომ ამქვეყნად არასოდეს არაფერი არ იცვლება. მნიშვნელობა არ აქვს რამდენი წლის ხარ, სად იარე, როგორ ადამიანებს შეხვდი ცხოვრების გზაზე... მაინც ვერასოდეს ვერ ისწავლიან ურთიერთობების, გრძნობების გაფრთხილებას;

მაინც ყოველ ჯერზე გაუტყდებათ გული, იმიტომ რომ მერე იტანჯონ, სხვა ან სულაც საკუთარი თავი დაიდანაშაულონ და კვლავ დაელოდონ იმ ერთადერთ ადამიანს, რომელიც არასოდეს არ გამოჩნდება...

შარლოტა სახლში დასაბრუნებლად წამოდგა.

„ბესამე მუჩო...“ შთამბეჭდავად მღეროდა სამოციოდე წლის ქალარათმიანი, სიმპათიური მამაკაცი, რომელიც მოულოდნელად სცენიდან გადმოიხარა და შარლოტას ხელი გამოუწოდა. შარლოტამ უარის თქმა დააპირა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა. მომღერალმა სცენაზე აიყვანა და მასზე ხელჩაკიდებულმა დაასრულა სიმღერა.

ეტიენს შარლოტასთვის ხელი აღარ გაუშვია. საღამოს დასრულების შემდეგ ერთად დალიეს თეთრი ღვინო და სტრასბურგის მოლუშულ ცას სერენადები უმღერეს...

შარლოტა, როგორც სჩვეოდა ძველი ურთიერთობებით მიყენებული ტკივილების მოშუშებას ისევ ახალი ურთიერთობებით ცდილობდა.

Au Pays de Jeanne*

მელანი და ნოემი მელანის სახლიდან ერთად გამოვიდნენ. მშვიდი და მზიანი დილა გათენებულყო. გოგონები თავს მხიარულად გრძნობდნენ და უმიზეზოდ იცინოდნენ. შარლოტას ჯერ კიდევ ეძინა, ბოლო დროს სულ ფიქრებში იყო ჩაძირული და მელანის დიდად არ ეკონტაქტებოდა. თუ სპექტაკლი არ ჰქონდა საათობით იჯდა სიბნელეში განმარტოებული.

ბიჭები სუპერმარკეტის წინ ელოდებოდნენ. ჯონათანს მელანისთვის, ხოლო ტომს ნოემისთვის ჩაფხუტები გაემზადებინათ. კაროლმა ყველას კოკა-კოლა და სენდვიჩი-

* ჟანას სამშობლოში – (თარგმნ. ფრანგულიდან)



ბი დაურიგა. მელანის გაელიმა, კაროლს ისევ უზომოდ ეპკურებინა „Bleu De CHANEL“ი.

სწრაფად ისაუზმეს. ჯონათანმა მელანის ტუჩზე შერჩენილი პურის ნამცეცი მოაცილა და პირში ჩაიდო. მელანიმ აკოცა და ჩაფხუტის დასახურებლად თავი მიუშვირა, ყელთან შესაკრავის შეკვრა ვერაფრით ვერ ისწავლა. იქნებ ესწავლა კიდევ, მაგრამ ძალიან მოსწონდა ჯონათანის ზრუნვა და ყოველ ჯერზე ნებიერად დგებოდა მის წინ, ისიც დიდი რუდუნებით ასრულებდა მისთვის ფრიად სასიამოვნო რიტუალს. ჯონათანს უეცრად თავისი ჩაფხუტი, რომელიც მკლავით ეჭირა გაეშვა და ძირს დავარდა. ყველა შეცბა. მან კი გაიღიმა, დაიხარა, ჩაფხუტი აიღო და ჯერ სავარძელზე, შემდეგ კი ავზზე დააკაკუნა...

ერთი წრის დარტყმის შემდეგ გეზი ლოტარინგიისკენ, ჟანა დარკის მშობლიური სოფლისკენ აიღეს. ყველაზე წინ ჯონათანი და მელანი იყვნენ, შემდეგ ტომი და ნოემი, სულ ბოლოს კი კაროლი, რომელიც გზად ხანდახან მათ უსწრებდა და გამარჯვების ნიშნად მარჯვენა ხელს თავს ზევით სწევდა.

მელანის ძალიან უყვარდა მოტოზე ჯდომა, განსაკუთრებით დიდ გზაზე წასვლა მოსწონდა. შემხვედრი ქარისგან თვალებს რომ ვეღარ ახელდა, ვიზორს ბოლომდე ხურავდა და ოცნებებში მიჰქროდა.

ჯონათანი ზოგჯერ მოტოს ხელს უშვებდა და მელანის ფეხზე ეხებოდა. ამ დროს მელანი გულში სამჯერ იმეორებდა: Je t'aime! Je t'aime! Je t'aime!

ჯონათანმა თავისი ჰარლი დავიდსონი „Galerie de la Tour“*-თან გააჩერა. დანარჩენებიც იქვე გაჩერდნენ. ხელთათმანები და ქურთუკები გაიხადეს, ჩაფხუტები მოიხსნეს და იქვე მდებარე კაფეში „Au Pays de Jeanne“ შევიდნენ. ყველამ ერთხმად Pâté en Croûte*** შეუკვეთა...

სალამომდე ჟანა დარკის სახლ-მუზეუმი, ეკლესია და წმინდა ბორცვი დაათვალიერეს. ბორცვზე, მინაში ჩამაგრებულ ქვებით და ბეტონით აშენებულ ფილებზე ლითონის ფირფიტები დაემაგრებინათ, სადაც ღვთისადმი სხვადასხვა სათხოვარი ეწერა. ფირფიტებზე ასევე მინიატურული ნახატები ამოეტიფრათ და მთლიან ზედაპირზე ლითონის დიდი ჯვრები მიეწებებინათ.

მელანი და ჯონათანი ხელიხელჩაკიდულები მივიდნენ იქ, სადაც „Qui cherchez vous?“**** ეწერა.

* მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!

** „კოშკის გაღერვა“

*** ხორციანი ღვეზელი, რომელსაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ამზადებდნენ საფრანგეთში.

**** „ვის ეძებ?“

კაროლი იქ გაჩერდა, სადაც „Que ta volonté soit faite“***** ეწერა.

ამასობაში ნოემმა მინდვრის ყვავილები მოკრიფა. ტომი შეკვეთილი ჰეროინის ჩასაბარებლად ქ. ტულში მარტო წავიდა.

Hôtel Jeanne D'Arc

მზისკან

ტომის დაბრუნების შემდეგ, სავანშმოდ სასტუმრო „ჟანა დარკის“ რესტორანში შევიდნენ. ტომმა გულის ჯიბეზე ხელი ორჯერ მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბაიკერთა კლუბის პრეზიდენტისთვის გადასაცემი თანხა სწორედ იქ ჰქონდა შენახული.

სუფრასთან ყველა მხიარულობდა, მხოლოდ მელანი ნუხდა, იცოდა სახლში მისვლა დააგვიანდებოდა და შარლოტას ჩხუბის ემინოდა. ცოტა ღვინო დალიეს. მელანიმ ნოემს ტუალეტში გაყოლა სთხოვა, მაგრამ მან რატომღაც გაყოლაზე უარი უთხრა. ჯონათანი წამოინია. მელანი შეეხვეწა დარჩენილიყო.

...გახურებული შუბლი ცივი წყლით დაიბანა და სასტუმროს უკან მდებარე ბაღში გავიდა. ცხელოდა, მზე თითქოს ცის კაბადონზე გადნოლილიყო. ჯერ ყვავილებთან მივიდა, მოეფერა, მერე ჩიტების ჭიკჭიკი მოესმა და მათ ხმას გაჰყვა. ხეების ქვეშ გრილოდა.

– ნეტავ, ჯონათანიც აქ იყოსო, – გაიფიქრა და ის იყო გაბრუნება დააპირა, რომ ვილაცამ ზურგიდან სახეზე ხელი ააფარა...

მელანი უძალიანდებოდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა, უკანაც ვერ ტრიალდებოდა, თითქოს რკინის სალტით იჭერდნენ. კისერთან ცხელ სუნთქვას და შანელის სუნამოს ნაცნობ სუნს გრძნობდა...

ჯონათანმა მელანი ტუალეტში რომ ვერ ნახა, მის მოსაძებნად სასტუმროდან გავიდა. იქ რამდენიმე უცხო ადამიანის გარდა არავინ იყო. უეცრად სწრაფად მომავალი კაროლი დაინახა, რომელმაც ჩაფხუტი ისე უცბად დაიხურა, თითქოს სახის დამალვა უნდოდა. ჯონათანმა დაუძახა, მან კი ხელი აუქნია და მოტოციკლეტი დაქოქა...

ნოემი და ტომიც გარეთ გამოსულიყვნენ, ყველა მიხვდა რომ რაღაც მოხდა.

შოკში ჩავარდნილი, გადაფითრებული მელანის დანახვაზე, ჯონათანმა ნაბიჯი ვეღარ გადადგა, თვალები ცრემლით ავესო და ამოიგმინა. მელანიმ ტირილი დაიწყო. ჯონათანმა მუშტები შეკრა და თავისი მოტოსკენ გაიქცა. ტომი გაეკიდა.

– შენ დარჩი! – დაუღრიალა.

***** „შესრულდეს შენი ნება“





გზაზე მანქანები ჩერდებოდნენ. ჯონათანი კაროლის სახელს ყვიროდა, თავზე ჩაფხუტი არ ეფარა. კაროლს ქალაქ სარებურგთან დაენია, გზა მოუჭრა, მოტოციკლეტიდან გადმოათრია და სახეში დაარტყა. კაროლი დაეცა, მაგრამ მალევე წამოდგა, დაიხარა და ჯონათანს ფეხებში ეცა. ჯონათანმა პისტოლეტი ამოიღო და სამი ტყვია ესროლა.

პოლიციის სირენების ხმაზე პისტოლეტი იქვე დააგდო. ისევ მოტოზე დაჯდა, ტიროდა. მზე ჩადიოდა, წითელ-ყვითელი ფერები ერთ-მანეთში ირეოდა. მაქსიმალური სიჩქარე აიღო და საჭეს ხელები გაუშვა...

Je suis un motard, je vais au soleil*

Je vais au soleil, je n'ai plus d'autre chemin ici.

Tu resteras dans mon cœur, au bord de la mémoire gelée.

J'ai goûté à la trahison, la plus amère.

La plus amère de toutes les trahisons est la trahison du frère.

Cette fille m'attend au loin, les yeux pleins de larmes...

Et je vais vers les rayons du soleil... C'est ma devise.

Ma maison et maintenant le cercueil, fidèle à jamais...

Comme je t'aimais ! Je le sais et Dieu le sait !

* (თარგმნ. ფრანგულიდან, ლექსის ავტორი და მთარგმნელი – ლანა მანველი).

Et comme je croyais à l'amitié ! Il ne sait probablement pas...

Je vais au soleil, je n'ai plus d'autre chemin ici...

Il y a une fille qui pleure, près de mon cœur et si loin...

მე გაიქარი, მივდივარ მზისკენ

მივდივარ მზისკენ, მე არ დამრჩა აქ სხვა სავალი.

დამრჩები გულში, გაყინული სსოვნის კიდეზე. მე გავუსინჯე გემო ლალატს, ყველაზე მწარეს. ყველა ლალატზე უმწარესი, მოძმის ლალატი.

ის გოგო შორით, ცრემლით სავსე თვალებით მელის...

მე კი მივდივარ ჩამავალი მზის

კურცხალისკენ...

ბოლომდე რჩება უღალატო ეს ჩემი მოტო.

ჩემი სახლი და ახლა კუბო, ერთგული მარად...

როგორ მიყვარდი! ეს მე ვიცი და იცის ღმერთმა!

და როგორ მწამდა მეგობრობის! არ იცის ალბათ!

მივდივარ მზისკენ, მე არ დამრჩა აქ სხვა სავალი...

იქ გოგო ტირის, გულთან ახლო და ასე შორით...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ჰოეზია

ჯემალ შაინიძე

მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა

არ მინდა სხვასთან გაყოფა გრძნობის,
მსურს დავიფერფლო შენთვის და შენად,
მე ვიერი, თოვლი დამიყდის ნლობით,
თუმც ვერ გავიგებ მე თოვლის ენას.
მე მინდა შენი ლამაზი ხელი
მეჭიროს, როგორც ფაქიზი გუნდა,
და მიყვარს, როცა სიტყვები მწველი
სწრაფადვე მიგაქვს რახნებით გულთან.
ხასიათს მიცვლის მაინც უდავოდ
შენზე ფიქრი და თოვლის ამინდი,
ქარი როდესაც გარეთ გუნდაობს
და იფარება თოვლით კრამიტი...

ჯემალ შაინიძე



წაზრას

მე შენს დაკარგვას ახლა ვგრძნობ მძაფრად,
განვიცდი, როგორც არასდროს ისე,
მძიმეა, როცა ოჯახის ძაფი
განწყდება და ვერ ამთელებ ისევ.

და თუკი ახლა გვხვდავ და გესმის,
იმქვეყნად თუკი არსებობ სადღაც,
შენა ხარ ჩვენი უფროსი მწყემსი
და შენით ავალთ სიკეთის აღმართს.

ზამთარი

ხასიათს მიცვლის მაინც უდავოდ
შენზე ფიქრი და თოვლის ამინდი.
გარეთ როდესაც ქარი გუნდაობს,
დაფარულია თოვლით კრამიტი.
როცა სახლშიაც აღწევს წვიმის ხმა,
ღრმა მოგონებებს ვმარცვლავ გონებით,
მიყვარს ხმაური სველი მიწისა,
ვზივარ და ვუსმენ სიამოვნებით.
გონება მაინც ვერასდროს წაშლის
რაც ადრე იყო, ძალიან ადრე,
და ახლა ჩემი ძვირფასი სახლიც
ამ მოგონებებს ბადებს და ბადებს.
არ მინდა სხვასთან გაყოფა გრძნობის,
მსურს დავიფერფლო შენთვის და შენად,
მე ვიცი, თოვლი დამიყდის ნლობით,
თუმც ვერ გავიგებ მე თოვლის ენას.
მე მინდა შენი ლამაზი ხელი
მეჭიროს, როგორც ფაქიზი გუნდა,
და მიყვარს, როცა სიტყვები მწველი
სწრაფადვე მიგაქვს ცახცახით გულთან.
ხასიათს მიცვლის მაინც უდავოდ
შენზე ფიქრი და თოვლის ამინდი,
ქარი როდესაც გარეთ გუნდაობს
და იფარება თოვლით კრამიტი...





* * *

შენ ისე კარგი ხარ და ისე თბილი ხარ
და ისე მაოცებ მაგ შენი ბუნებით,
მენდე და მერწმუნე, მე დღემდე ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერაფრით
ვერ დაგინუნებდი.

შენ ისე კარგი ხარ და სანატრელი ხარ.
ო, როგორ გიამბო, მიჭირს დარწმუნებით,
ამიტომ, ძვირფასო, მე დღემდე ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერ დაგინუნებდი.

ხოლო შენ, ჭკვიანო, მომთმენო, გამგებო,
მე გირჩევ არ აყვე ამ საშიშ ცდუნებას,
შენს გარდა მე ბევრი ჭკვიანი, ნასწავლი
გოგონა ნიხლს მკრავდა და დამინუნებდა.



**ჯემალ
შაინიძე**

ნარღვნის შემდეგ

გადაიარა შფოთმა და შიშმა,
მდინარის პირას გამოჩნდა სახლი
და სახლთან ახლოს დატოვილ ნიშანს
დავყურებ, როგორც უტყუარ სამხილს.

მხოლოდ ღმერთისლა გვჯეროდა ყველას,
ძლივს გადატანილ დღეების შემდგომ,
და, აი, უკვე გამოჩნდა შველა,
არადა როგორ გვიჭირდა ერთ დროს.

ვარდობის თვე

ვარდობის თვეს, მაისის თვეს მზე სიამეს ახლიდა,
მოდიოდი და მოგეონდა სიხარული სახლიდან.

არცა შური, არცა წყენა, ბოროტ გზებზე მავალი,
მიცემოდეს დავინყებას მრავალ, მრავალ, მრავალი...

მხოლოდ შენ ერთს გეუბნები, თუ ხარ ჩემი მსმენელი,
რომ გაივლის ბევრი წელი კვლავაც შეუსვენებლად.

შენ შერჩები მაღალ მწვერვალს ბუკებით და დაირით,
ვარდობის თვეს ვარდი იყოს, ვარდი მრავალნაირი...

* * *

ეს თებერვლის საღამო
შენს სახელსა მღერის,
სევდა არ შემაყარო
შენი თვალის ფერი.

გეტყვი გულის ნადებსა
სიყვარულის გამო,
მომკლავს შავი ადესა
თებერვლის საღამოს.



ანა
მანოშვილი

მ
ე
ი
ს
ე
ვ
მ
ი
ვ
ც
ე
ბ
ი
ტ
ყ
ე
ს
ა
და
ლ
ე
ლი
ან
ს
.

მე ისევ მივცევი ტყესა და ლელიანს,
მოჭქუსს და მოლელიავს გიუმჯო არაგვი,
უშენოდ სიწოვბლეს, აბა, რა ფასი აქვს?!..
მე არ მეძინია, იწოდე, არაფრის.
თუმჯა, მზე ანათებს და მთელი, სამყარო
ჩემს გულში ფიქრების, განრდების მინდია...
სიყვარულს რად უნდა მითი და არაკი?!..
როდესაჯ – დღეები, უშენოდ, მიდიან.
ნამოდი ნაგიყვან ჩემს ლამაზ ნალოკტში,
ნამოდი, ჩამოჭყე – არაგვის ნაპირებს,
სიყვარულს ავიხსნი და სახლში ნაგიყვან
და... ერთად შევხვდებით გაზაფხულს, აპრილს.

ანა მანოშვილი



საქართველოში რომ არ
მღეროდე

საქართველოში რომ არ მღეროდე,
და... რომ... არ წერდე – ლექსებს ფრთიანებს;
ვერ გავაჩერებთ გულს საგულეს,
დარდი ნაგვლეკავს ადამიანებს.
საქართველოში თუ არ იმღერე,
წინაპრების გზით თუ არ გივლია;
ყვარლის მთებს თუ არ მოეფერები,
ეფერებოდა, როგორც ილია.
კრძალვით ვაბიჯებთ იყალთოს მიწას,
მონასტრის კედლებს ვეამბორებით;
აქ ხომ სწავლობდა ქაბუკი შოთა,
ინვოდა ფიქრით და შთაგონებით.
ილიასა და შოთას მადლია,
რომ იბადება წყარო მუზების;
ვით, გაზაფხულზე შემონათება –
ატმებისა და ლამაზ ნუშების.
იმ წინაპართა ნაკვალევს მივდექთ,
ვერ შევედრებით, ნუთუ ვერავინ?!..
განცდით, ოცნებით მუდამ, დაფრინავს,
სიმღერისა და ლექსის მერანი.
საქართველოში რომ არ მღეროდე,
და... რომ... არ სწერდე ლექსებს ფრთიანებს,
ვერ გავაჩერებთ გულს საგულეს, –
დარდი ნაგვლეკავს ადამიანებს.

„სიყვარული გზად და ხიდად“

სიყვარული გადაგვარჩენს, –
ჩვენს გულში თუ კია,
„სიყვარული გზად და ხიდად“
დიდ რუსთაველს უთქვია.
სიკეთით და სიყვარულით,
ერთმანეთის გატანა,

მაშინ ველარ მოგვერევა,
ვერც მტერი, ვერც სატანა,
მხოლოდ, ასე გადავრჩებით, –
თუკი, ერთად ვიქნებით,
ჩვენს სამშობლოს სადიდებლად
საქმითა და ფიქრებით.
ერთმანეთის სიყვარულით
მომავალი ვამენოთ,
საქართველოს ძლიერება
მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ.
სიყვარული გადაგვარჩენს, –
ჩვენს გულში თუ კია,
„სიყვარული – გზად და ხიდად“, –
დიდ რუსთაველს უთქვია.

* * *

ლექსს ვუძღვნი ჩემს საყვარელ
შვილიშვილს ანის

ულამაზესი გოგო ხარ,
მსგავსი მზისა და მთვარისა;
ჩემი ოცნების წყარო ხარ,
სადარი ზურმუხტ-ლალისა.
მაისის ნაზი ვარდი ხარ, –
და... ცისკარი ხარ, – დილისა;
ლამაზი გაზაფხული ხარ,
და სიყვარულის თილისმა.
შენ, ჩემი გულის – ფეთქვა ხარ,
და.. მზე ხარ, – ამომავალი,
შენ, ჩემი ტკბილი ფიქრი ხარ,
წარსული და მომავალი.
ულამაზესი გოგო ხარ, –
მსგავსი, – მზისა და მთვარისა,
ჩემი ოცნების წყარო ხარ,
სადარი – ზურმუხტ – ლალისა!..





ქალავ

დიდი ხანია, ვფიქრობ,
და... გულში გრძნობას ვმაღავ,
მოდი, ამოდი, მთაში,
ჩემო, ლამაზო ქალავ.
სულ, შენ გეკუთვნის, კარგო,
ეს მთა და ტურფა ველი,
ლამე მიკრთება ძილი,
და... მოუთმენლად, გელი.
მინდა ჩამოვხსნა, – ციდან,
მთვარე დაგკიდო მკერდზე
და იჩახჩახოს, – ლამით,
ლექსმა ნათქვამმა შენზე.
დღისით მოგიერთავ კაბას,
ფერად-ფერადი მძივით,
ისე ბრწყინავდეს, მართლაც,
როგორც, მზის ოქროს სხივი.
დიდი ხანია ვფიქრობ
და გულში გრძნობას ვმაღავ,
მოდი, ამოდი, მთაში,
ჩემო ლამაზო ქალავ!




**ანა
მანოშვილი**

ძალიან, ძალიან, ძალიან

მიყვარხარ!..

თუ დამაკვირდები, მაშინვე, მიხვდები,
მე სადაც მივდივარ, შენც, მუდამ, იქა ხარ,
დამყვება მაგ თვალთა ლამაზი ნათელი,
ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ.
მე ისევ მიყვები ტყესა და ლელიანს,
მოჭეუხს და მოლეღავს გიჟმაჟი არაგვი,
უშენოდ სიცოცხლეს, აბა, რა ფასი აქვს?!..
მე არ მეშინია, იცოდე, არაფრის.
თუმცა, მზე ანათებს და მთელი, სამყარო
ჩემს გულში ფიქრების, განცდების მინდია...
სიყვარულს რად უნდა მითი და არაკი?!..
როდესაც – დღეები, უშენოდ, მიდიან.
წამოდი წაგიყვან ჩემს ლამაზ ნაღვალში,
წამოდი, ჩამოჰყე – არაგვის ნაპირებს,
სიყვარულს აგისხნი და სახლში წაგიყვან
და... ერთად შევხვდებით გაზაფხულს, აპრილებს.
თუ დამაკვირდები, მაშინვე, მიხვდები,
მე სადაც მივდივარ, შენც, მუდამ, იქა ხარ,
დამყვება მაგ თვალთა ლამაზი ნათელი,
ძალიან, ძალიან, ძალიან, მიყვარხარ!..



მაია
ღიაკონიძე

მ
ს
ა
ნ
ა
მ
ს
ა
ნ
ა
მ
ს
ა
ნ
ა
მ
ს
ა
ნ
ა

ჩაფიქრებული მივედი სამსახურში, სავარძელში ჩავ-
ჯექი და ამ ისტორიას ჩავუყვირდი. უერრად კარი გაიღო,
მამაკარი შემოვიდა, ლამაზი, მაღალი, მომნუსხველი ლი-
მილით და ვარდების თაიგულით. ხელზე ხელი მოჰკიდა,
ნაზად მქაშორა. ურყანტელმა დაძაბრა ცანში, – როლად
გამოძყვებით ქალბატონო თეა? – მკითხა. ხმაზე ვიყვანი,
გიგო იყო, გავოგნდი, მაგრამ უარის თქმა ჩემს ძალეებს
აღემატებოდა... ფავთანხმდი, როტა ხანი ხომ მაინც ვი-
ბრწყინებ-მეტქი აღმასივით. გამელიმა, ისეც შევხედე ჩემს
ნინ მდგომ მამაკარს, ხელმკლავი გამოვდე და გარეთ
გამოვდედით.

მაია ღიაკონიძე



პირობა

ლამაზი ქალი იყო სოფია, დიდი მწვანე
თვალეებითა და ქერა თმებით, ტანიც კარგი ჰქონ-
და და ღიმილიც. მომაჯადოებელი გამოხედვის
გამო გულგრილად ვერც ერთი კაცი გვერდს ვერ
აუვლიდა, ყველას მონუსხულს და შეყვარებულს
ტოვებდა. ნამდვილი ჯადოქარიაო, – იტყოდა
ხოლმე ბებიაჩემი, როცა დაინახავდა ბერძნის
ქალს, – ალბათ, რამე საიდუმლოება იცის, კაცებს
თავი როგორ შეყვაროს, თორემ აგერ შენ, ლა-
მაზიც ხარ, ჭკვიანიც, მაგრამ დამიბერდი ბებო
სახლში, – მეტყოდა და თანაგრძნობით გად-
მომხედავდა ხოლმე.

ქმარი კი შეუხედავი ჰყავდა სოფიას, ჯმუხი,
დაბალი, გამხდარი მამაკაცი, უზარმაზარი ულ-
ვაშებით და თავით, მაგრამ თქვენ წარმოიდგ-
ინეთ, იმის გარდა ქალს არავინ უნდოდა. ინვოდა
და იდაგებოდა ქმრისთვის, ეჭვიანობდა კიდევ.
აყალმაცალიც ხშირად მოუნყვია, მაღაზიაში გამე-
იდველ ქალს, რუს ოქსანას, რამდენი ხანი ელაპა-
რაკებოდიო, – ეტყოდა. უმტკიცებდა გიგო, –
არაფერი საქმე არ მაქვს, თევაზი ძველი ხომ არ
არის, იმას ვამონებდიო, – მაგრამ არაფერი ეს-
მოდა სოფიას, აგრძელებდა ვაი-ვუშველებელს.
მგონი ამდენი სკანდალებისგან დაიღალა გიგო და
მართლაც მიატოვა ჩვენი ლამაზი ბერძნის ქალი
და ოქსანა შეირთო ცოლად. უცებ დაჭკნა თვალ-
დახელშუა. ასეთმა გარდასახვამ ყველა გააოგნა,
სოფია უცებ მობერდა, სახე ნაოჭებით დაეფარა,
– ასე იცის სიყვარულმა და გულგატეხილობამო,
– მიხსნიდა ბებია, ვითომ მე არ ვიცოდი არაფერი
ამის შესახებ.

თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა ოქსანა გაბრწყ-
ინდა მზესავით. გალამაზდა, ბროლივით ანათებ-
და მისი თეთრი კანი, რომ გაიცინებდა თითქოს
ვარდები ცვიოდა პირიდან, მოდით ამკრიფეთ,
დამყნოსეთ, რა სურნელი მიდისო. მაღაზია, სად-
აც ქალი მუშაობდა კლიენტებით გაივსო, რიგები
დადგა, მაინცდამაინც ამ მაღაზიაში უნდოდათ
ხორცის, მწვანილის თუ კიდევ სხვა რამის შეძენა.



მხატვარი სოფიო ქელიძე

გავიდა ორი წელიწადი, ახლა ოქსანასა და
გიგოს შორის დაიძაბა ურთიერთობა. ოქსანამ
თურმე ჩემზე დაინყო ეჭვიანობა, იურიდიულ
კონსულტაციებს ვუწვევდი გიგოს სოფიასთან
ქონებრივი დავის თაობაზე. მიკვირდა ეს ყვე-
ლაფერი, ჩვენ შორის ხომ არაფერი არ იყო, მა-
გრამ ერთ დღესაც სოფია შემომხვდა გზაზე, –
შენ ხარ ახლა მისი რჩეულიო?! – მკითხა და დაც-
ინვით გამომაცოლა თვალი.

ჩაფიქრებული მივედი სამსახურში, სავარ-
ძელში ჩავჯექი და ამ ისტორიას ჩავუყვირდი. უე-
ცრად კარი გაიღო, მამაკაცი შემოვიდა, ლამაზი,
მაღალი, მომნუსხველი ღიმილით და ვარდების





თავიგულით. ხელზე ხელი მომკიდა, ნაზად მემამბორა. ჟრუანტელმა დამიარა ტანში, – ცოლად გამომყვებით ქალბატონო თეა? – მკითხა. ხმაზე ვიცანი, გიგო იყო, გავოგნდი, მაგრამ უარის თქმა ჩემს ძალებს აღემატებოდა... დავთანხმდი, ცოტა ხანი ხომ მაინც ვიბრწყინებ-მეთქი აღმასივით. გამეღიმა, ისევ შევხედე ჩემს წინ მდგომ მამაკაცს, ხელმკლავი გამოვდე და გარეთ გამოვედი. თითზე ნიშნობის ბეჭედი მეკეთა, ამაყად მივაბიჯებდი ქუჩაში და ვგრძნობდი აღტაცებულ მზერას, რომელიც მანამდე არასოდეს მღირსებია, მეც ნამდვილი ჯადოქარი ვიყავი... გვერდს კი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მამაკაცი მიმშვენებდა.

ქალბატონის საფულოზე

გზაზე ხელიხელჩაკიდებული მივდივართ მე და ჩემი ბიძაშვილები. ერთს ზეინაბი ჰქვია, მეორეს – მაყვალა. ჩემს გამო წაიჩხუბნენ. ხანდახან გზისპირაზე გადაბარდნილ მაყვალის ბურქებს გადასწვდებიან, თან ცდილობენ ხელი არ გამიშვან, იქით-აქით მექაჩებიან, მაგრამ რომელიღაცამ აუცილებლად უნდა დამთმოს, ისე ხილს ვერ მოკრეფენ. გულდანყვევით მცილდებიან ხან ერთი, ხან მეორე, მუჭებს აივსებენ და ისევ ჩემთან მორბიან, მაყვალს პირში მატენიან, – ხომ გემრიელიაო, – მეკითხებიან და თან თვალებში მიყურებენ, უნდათ კმაყოფილი დავრჩე. ერთმანეთს ეჯობებინან, ვინ მეტ მაყვალს მაჭმევს, თვითონ ერთსაც არ გასინჯავენ. მეც მოშიასავით ვალებ პირს და ვიტკბარუნებ გემრიელ ნაყოფს. ისიც მომწონს, რომ ჩემი გულისთვის ასეთი დაკა-დაკა აქვთ.

კმაყოფილი მივდივარ გზაზე. იქაური მზეც მომწონს, თავზე კი მაცხუნებს, მაგრამ არ ვიმჩნევ. გოგონებს ჩემთვის ქუდის დახურება დაავინწყდათ, დედამ კი დაავალათ, აუცილებლად შენიშვნას მიიღებენ! შუადღის მზე თავს მატკივებს ხოლმე, ცხვირიდან სისხლს მადენს. ერთხელ, მახსოვს, სისხლისდენას ვერაფრით მიჩერებდნენ, ბევრი სისხლი ვლვარე, ლამისაა ვარცლი გაივსო. ამიტომ დედას უქუდოდ არასოდეს გავყავარ სახლიდან.

ნელა-ნელა მივუყვებით სოფლის შარას, გზა თანდათან ვინროვდება. კლდის ბილიკებს დავადექით, ზევით და ზევით ავდივართ. აქა-იქ ფერდობებზე შეფენილი საქონელი მოჩანს. ზოგს შავი ზურგი აქვს, ზოგსაც – თეთრი, ზოგს – მონითალო, ადამიანის თმის ფერივითაა. გაღმა ფერდობზე თხები დაკუნკულებენ, კარგად ჩანან, რადგან ფერდობი შიშველია, მხოლოდ მწვანე ბალახითა



**მაია
დიკონია**

და ყვავილებითაა დაფარული. ჩვენი თხაც იქაა, თავისი ციკნებით. იმათ ვცნობ, იმიტომ რომ შუბლზე უზარმაზარი შავი ნიშანი აქვთ სუყველას, სამკუთხედის ფორმის. მართალია დიდი ხნის ნაცნობები არა ვართ, სულ ერთი კვირის ჩამოსულები ვართ მე და დედა თბილისიდან, მაგრამ მათი ქცევებიც მალე შევისწავლე და გარეგნობაც, ძალიან მიყვარს ციკნებთან თამაში. რომ არაფერი დამიშავოს დედა თხამ, ხან პური მიმაქვს იმისთვის, ხან ხაჭაპურის ნაჭერსაც წავუღებ ხოლმე. ბევრს გადმომიღებს ბიცოლაჩემი ვენერა თევშზე, გამხდარი ხარ, უნდა გაგასუქოო.

ბილიკს ახლა ქვევით ჩავუყვებით, ისეთი ვინროა, თითო-თითო მივდივართ, წინ ზეინაბი მიდის, მერე მე, უკან მაყვალა მომყვება, ეტყობა ჩემს დაზღვევას ცდილობს, ფეხი თუ დამიცდა, წამომეშველება. ზეინაბი, როგორც უფროსი გზას მიკვალავს, გაფაციცებულია, წინ რამე არ შემოგვეფეთოს და არ შემამინოს. მალე მდინარის პირას აღმოვჩნდით, ბიცოლამ შორიდან დაგვინახა, დროზე წამოდითო, ხელით გვანიშნა. სარეცხის რეცხვას ქალები უკვე მორჩენილიყვნენ, უზარმაზარ ქვებზე გადაფინათ ლოგინის თეთრეული გასაშრობად, აქა-იქ ტანსაცმელიც მოჩანს. ფერადი ლილებივით ჩამწკრივებულან ზეინაბის და მაყვალას კაბები, მარტო ჩემი ზეინაბის და მაყვალასი კი არა, სხვა მათი მოსახელე გოგოებისაც, იმიტომ რომ იმერეთის ამ მთიან სოფელში კიდევ ბევრს აქვს ასეთივე სახელი. მდინარისპირას ბურქებზე შარვლები გადაუფენიათ, ქმრების და ვაჟების, მათ შორის ბიძაჩემი ბონდოსი და ჩემი ბიძაშვილი ფრიდონისაც. ახლოს მივედით, დედა ქალებს შუაში ჩაუჯვინათ და გაფაციცებით უსმენენ მის დამტვრეულ ქართულს. ყვება თავის უკრაინულ სოფელზე.

ახალმისულებს შეძახილებით შეგვხვდნენ, – რუსის გოგო მოვიდაო, – მომადახეს აქეთ-იქიდან და მზერა ისევ დედასკენ გადაიტანეს. გოგოებმა დედაჩემისგან ჩურჩულით აიღეს ჩემი ბანაობის ნებართვა. გამხადეს, დაგუბებულ წყალში ჩამაყენეს. ცივი წყალია, მაგრამ ხმას არ ვიღებ, ვაცლი ჩემზე ზრუნვას. გამსაპნეს, ხან ჯამით, ხან პეშვებით წყალს მასხამენ. უხარიათ, ჩემს გაზრდაში წვლილი რომ შეაქვთ, – გაიზარდე, გასუქდიო, – იძახის ზეინაბი და სიყვარულით მისმევს თავზე ხელს. – იხვის ჭუჭულს არა ჰგავსო, – ბუტბუტებს მაყვალა და ისიც გამალებით მასხამს ზურგზე წყალს. თან, იქვე, წყალში მოცურავე ლიფსიტებზე მითითებს, – შეხედე, რა ლამაზებიაო! – მეც ვუყურებ მზეზე ოქროსფრად მოლივლივებს. ჩვენი რაზე არ ეშინიათ-მეთქი,



ჩემს თავს ვეკითხები. თან სხვა ქალებს ვუყურებ, მათ თეთრ ქუნქულა ტანებს, მზეუნახავებს, აქ საბანაოდ ჩამოსულებს. მიკვირს, სახლში რატომ არ ბანაობენ-მეთქი. ისინიც წყლის ჭავლის ქვეშ მოლივლივე თევზებს ჰგვანან, მათაც არავისი ეშინიათ. იციან მამაკაცები აქ არ მოვლენ, ეს ქალების სამფლობელოა.

გოგობმა პირსახოცშემოსხმული დიდ სიძველეზე დამსვეს, გამაფრთხილეს, არ ადგე, ფეხი არ დაგიცდესო. მეც დავმორჩილდი. ახლა თვითონ ბანაობენ. ცალ მხარეს კლდე დაგვეცქერის, იქიდანაც წყალი მოედინება, მდინარეში მოყოლავს, – რა წყალია-მეთქი, – ვკითხულობ, – წყაროსიაო, – მპასუხობენ. მერე გოგოები ზევით ადიან, თიხის დოქებს ავსებენ, სახლში გავიყოლოთ, ასეთი წყალი ჩვენთან არ არის, ჭის წყალი ამას რას შეედრებაო. დამალევიწეს, გულ-მუცელი ჩამეყინა, მესიამოვნა მზის ქვეშ მჯდარს. დედაჩემსაც უმასპინძლებიან, – რა ცივია, მადლობაო, – ამბობს დედა დამტვრეული ქართულით, – ჩემს საშობლოში ასეთ ცივ წყალს ვერ დალევ, დაილოცოს საქართველოო, – ღიმილიანი დგება ფეხზე, ჩემი გოგო წყალმა არ დაცადოს, არ გამიცვიდესო. მაცმევს ტანსაცმელს და გზას მიუყვება უკვე გამშრალი თეთრეულით სავსე კალათით, სხვა ქალებიც წამოიშალნენ და უკან მიჰყვებიან, სტუმარს წინ ხომ არ გადაუსწრებენ.

ისევ ატყდა ჩხუბი ზეინაბს და მაყვალას შორის, არა მე მოვკიდებ ხელს მაიას, არა – მეო! მე კი მათ აღარ ვუსმენ, იქვე ახლოს, ბუჩქებს შორის შველი შევნიშნე. დაკვირვებით გვიყურებს, ჰაერს იყნოსავს, არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი არსება. ცოტა ხანი იყურა, მერე გაიქცა. ჩვენ სამივე ხელიხელჩაკიდებული დავადექით სახლის გზას, ალბათ, მანამდე, სანამ სათითაოდ არ მოგვიწევს კლდოვან ბილიკებზე სიარული.

უსახლკარო

ცხოვრებაში ყველაფერი ხდებაო, ამაზე არის ნათქვამი.

პლენხანოვზე გაიზარდა, ახლა აღმაშენებელს რომ ეძახიან. იქაურობას ვერ სცილდება, თუმცა სახლი აღარ აქვს – ყოფილმა ცოლმა დაისაკუთრა. აქირავებს, შვილს რჩენა სჭირდებაო. ცერებრალური დამბლა აქვს გოგონას, რალა გოგონა, უკვე ქალია. კაცი კი გარეთ გამოაგდო, დადის ახლა აღმა-დაღმა, ხან სად ათენებს ღამეს, ხან სად. ძირითადად ქუჩაშია, სასმელს მიეძალა, უბნელ ბიჭებთან ერთად იყიდის ერთ-ორ ჭიქა არაყს, გადახუხავს. ილაპარაკებენ ბიზნესზე, ეს გავაკეთოთ, ის გავაკეთოთო, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, არაფრის თავი რომ არა აქვთ?!

იყიდება იქაურობა, – მიმდებარე ქუჩებზე

სახლები. უყურებენ ძველბიჭები, როგორ იცვლება ფასადები. ახალი მეპატრონეები ყოჩაღები არიან, მიაშენებენ, მოაშენებენ, ძველ ნანგრევებს აილებენ, სადაც მერია ამის ნებას დართავს, ახალს დადგამენ, სასახლეს, მერე ოთახებს აქირავენ, სასტუმროდ აქციეს იქაურობა. ამათ კი უკვე დათრობის თავიც აღარა აქვთ, თანაც რომ დათვრე და აყალმაყალი ატეხო, თუნდაც იმღერო ძველებურად „მრავალჟამიერი“, ეგეც არ გამოდის. ხალხს „ბიზნესი“ აქვს, უცხოელები დარბიან ტარაკნებივით, ვერ შეანუხებ, ხელს ვერ შეუშლი მეზობელს.

რამდენ ქვეყანაშია ნამყოფი, ხან მანქანები ჩამოჰყავდა გერმანიიდან, ხან ავსტრიაში ლტოლვილად ჩაჰბარდა, ხან ამერიკაში წავიდა, მაგრამ ჩასვლისთანავე მამა გარდაეცვალა და უკან დაბრუნდა. ისრაელშიც იცხოვრა, ელექტრიკოსად მუშაობდა. ნასასვლელ ფულს ყოველთვის ყოფილი ცოლი აძლევდა. ალბათ, ფიქრობდა, წავიდეს და აღარ დაბრუნდესო. მოუსავლეთშიც დიდი სიამოვნებით გააგზავნიდა. რაც მისგან უსიამოვნებები ჰქონდა ნანუნევი, მაგრამ რა ქნას, ვერსად რომ ვერ გაძლო?!

ახლა ტუალეტს ეძებს. რომელიმე მეგობრის სახლში შევა, არაა პრობლემა. მათი ცოლები კი უბღვერენ, მაგრამ არა უშავს, აიტანს.

სალამო ხანს სვანეთის უბნის გზას ფეხით აუყვავს. ერთმა ღვთისნიერმა კაცმა, კერძო სახლში, სარდაფი დაუთმო. ნასვამი უფრო მხიარულად ივლის, მივა, აანთებს ფანარს, დადგამს, გაინათებს სოროს...

თომას საჩუქარი

თომას სკოლაში ეჩქარებოდა, მაგრამ ჯერ მეგობართან უნდა შეეველო, იმასთან ჰქონდა დატოვებული საჩუქარი – პატარა ხის ყუთი, ქართული ჩუქურთმებით, ნინოსთვის რომ შეაფუთინა. სკოლაში ჩუმად უნდა გადასცეს, მაგრამ ეგრეც რომ არ გამოვა?! იმხელა ქალაქში შეახვიეს, ზედ ბაფთაც გაუკეთეს! კიდევ კარგი, ქალაქის პარკი მაინც შეარჩია სადა. „მაგათ რა ვუთხარი“, – ფიქრობდა ბიჭი, ეს ზედმეტი საზეიმო განწყობა რალა საჭიროაო, მაგრამ თვითონაც სიხარულით დაფრინავდა. თხუთმეტი წლის გახდა ნინო, მის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდიოდა, ნეტავ, ასეთი რამე სხვასაც სჭირს, რა თქმა უნდა, შეყვარებულებს გულისხმობდა, თუ მარტო მეო, – გაოგნებული ფიქრობდა ბიჭი.

– ალექსი! – შესძახა მეგობარს და ჭიშკართან გაჩერდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

გამოვიდა ალექსი, ერთ ხელში ქალაქის პარკითა და ზურგზე ჩანთით. პარკი ხელში შეაჩერა მეგობარს, თანაც ისე გაუღიმა, ცალი ყბით, თითქოს რალაცა დიდ საიდუმლოს ინახავ-





სო. გვერდი გაჰკრა თომამ:

– შენებს ხომ არაფერი უთხარი?

– არა, სახლში ისე შევიტანე, ვერავინ შეამჩნია, – იყო პასუხი.

– ჩემთან ხომ იცი, ბებიჩემი ყველაფერს თვალყურს ადევნებს, მალულად ვერ შევიტანდი, – თითქოს მოუბოდიშა თომამ.

– არაფერია, – მხარზე ხელი მოუთათუნა ალექსიმ.

მეგობრებმა რაღაცა დიდის მოლოდინში გზა განაგრძეს.

– გაკვეთილიდან შენ გამოიყვანე, – სთხოვა თომამ მეგობარს. იმან უხმოდ დაუქნია თავი.

სკოლაში მისულებს კლასელები შემოეხვივნენ, ყველამ იცოდა თომას რომ პარალელულკლასელი ნინო უყვარდა. აინტერესებდათ, რა იყო პარკში. განსაკუთრებით გოგოები არ აცილებდნენ თვალს საჩუქარს. ზოგიერთს შურიც აღძვროდა ნინოს მიმართ, თომა ხომ სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გინდა სწავლითა და გინდა შესახედაობით, გინდა ზრდილობითა და გინდა ვაჟკაცობით, მაგრამ ახლა რატომღაც დაემორცხვებინა და გოგოებისთვის თვალეში შეხედვისა რცხვენოდა. სკოლის ზარი დაირეკა და გაკვეთილებიც დაიწყო. პირველი მათემატიკა ჰქონდათ.

– ჯიგარი ქალია, მაგას ვთხოვოთ, გაკვეთილიდან გაგვიშვას, ნინო გამოვიყვანოთ, – უთხრა თომამ გვერდზე მჯდარ ალექსისს. ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ოთახიდან გასულები პარალელური კლასის ოთახს მიადგნენ. კედლები თითქოს ირყეოდა, გადი-გამოდიოდა, თომას ჩურჩული ესმოდა:

– თომას ნინო უყვარს, – ეს ხმა სულ უფრო ცხადი ხდებოდა.

საიდან ისმისო, ფიქრობდა თომა. იქნებ ნინოს საკლასო ოთახიდან, იქნებ სამასწავლებლოდან, იქნებ დირექტორის ოთახიდან. მგონი იცინიან კიდეც, ეგ რა ნინოს შესაფერისია, ღარიბია, ცალ-ცალი კალოშით დადის, ანდა, რა საჩუქარი უნდა მოუტანოს, რომ გააკვიროს, მთელი ოჯახი რომ გაყიდოს, ისეთს ვერაფერს შეიძენსო. ჭოჭმანებს ბიჭი, ღირს კი ნინოს გამოყვანა?! მართლა არაფერია ქვეყანაზე ნინოს შესაფერისი, ის რომ გაახაროს, ის რომ გააკვიროს. ალექსი ატყობს მეგობარს, რომ აღარ უნდა საქმის გაგრძელება:

– რას შვრები ბიჭო, გაგიჟდი? მთელმა სკოლამ რომ გაიგო ამ საჩუქრის ამბავი, ახლა იხევ უკან? – ეუბნება და ჯიქურ ალებს საკლასოს კარს. გაკვეთილიდან გამოჰყავს ნინო.

გოგონა ნათელი თვალეებით შეჰყურებს ბიჭებს, ელოდება, რას ეტყვიან. პარკსაც ხედავს, თომას რომ მორიდებით უჭირავს ხელში. რომ არ გამოართვას უზრდელობა იქნება, უხმოდ ჩამოართვა და გაკვეთილზე დაბრუნდა. შვებით ამოისუნთქა სკოლამ, კედლებიც აღარ ქანაო-



მზატვარი სოფიო ქელიძე

ბენ, უბრალოდ ერთმანეთს ეჩურჩულებიან: აილო საჩუქარი, ესეც კარგიაო.

გაკვეთილების შემდეგ მთელი სკოლა გაიკრიფა, მხოლოდ ორნი დარჩნენ თავთავიანთ მერხებზე, თომა და ნინო. ნინომ, როგორც იქნა, გახსნა საჩუქარი, შიგნით წერილებია, მამამისის, დიდი ხნის წინ დალუპულის, თომას დედისთვის მინანური. მაშინ ისინიც თხუთმეტი წლისები იქნებოდნენ, ჩუმად ატირდა გოგონა, წერილები ცრემლის წვეთებით დაიფარა. არ გაავაფუჭო, ხელი გადაუსვა ქალაღებს, გულდასმით დააწყო ერთიმეორზე. კედლები ალელდნენ, გაინ-გამოინიეს, გოგონას დაწყნარება უნდოდათ, იმ სიყვარულის მოწმე ესენიც იყვნენ. მდიდარ ბიჭს ღარიბი გოგონა ცოლად არ მოაყვანიხეს, ეგ რა ჩვენი ოჯახის შესაფერისიაო. ნინო ადგა, ფრთხილად გაიარა დერეფანი და თომას კლასში შევიდა. იცოდა, იქ იქნებოდა.

– დიდი მადლობა, – ნაზად მოჰხვია ხელი მხრებზე და შუბლზე აკოცა.

ხელისხელჩაკიდებული გამოვიდნენ სკოლიდან ბიჭი და გოგო. ახლა აივნებმა და ფანჯრებმა მორთეს ზრიალი, თითქოს ტაშს უკრავდნენ, ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ, ტურ-კბილიც წინ წამოინიეს, საკოცნელად ემზადებოდნენ. ყველაზე ძალიან კი ის აინტერესებდათ, ნეტავ, როგორ დამთავრდება ამათი სიყვარულის ისტორიაო?!



ზოია
ქამსაშვილი-ცერცვაძე

ქ
ე
მ
ო
ლ
ა
მ
ა
შ
ო
ს
ა
მ
შ
ი
რ
ლ
ო
ს
ს
ი
ყ
ვ
ა
რ
უ
ლ
ი
თ
გ
ვ
ა
ჭ
ა
რ
ე
რ
ნ
მ
ენ
ა
ა
რ
ო
დ
ეს
ნ
ა
გ
ვე
რ
თ
ო
ს
წ
ი
თ
ა
ნ
გ
ე
ლო
ზ
ნი
გ
ა
ღ
ო
ბ
ენ
წ
რ
ო
ლი
ს
მ
ი
თ
ე
ბ
ო
და
ე
ღ
ე
მ
ო
ვ
არ
დ
ის
კ
ო
კ
რ
ე
ბ
ი
თ
შ
ე
კ
რ
უ
ლო

ჩემო ლამაზო სამშობლო,
მინდვრის ყვავილთა სამეფო,
სულო სიყვარულით გვაჭარე,
რწმენა აროდეს ნაგვერთოს.
წით ანგელოზნი გაღობენ,
წროლის მთებო და ეღემო,
ვარდის კოკრებით შეკრულო

და... დასახატო ხეღებო.
შენ, გმირთა გმირო ქვეყანავ,
უფლის ზვარო და ზინათო,
ყოველი დილის აისი –
სულო სიხარულით ინათო...

ზოია ქამსაშვილი-ცერცვაძე



ღმერთო, მართალი გზებით მატარე

ღმერთო, მართალი გზებით მატარე, –
ნუ მიმატოვებ ცოდვილს...
შენ ყვავილოვან ბაღში შემეშვი,
ნაკადული რომ მოდის.
ყვავილებს, ფოთლებს ნამი ვაპკურო,
უკვდავების აქეთ აზრი;
ცას ცისარტყელა მიძვად შევენოდეს, –
შვიდფერადი და ნაზი.
პეპლების ცეკვას მაყურებინე
ფუტკრების შრომა-გარჯას,
ყველა სიკეთე მხესავით გვათბობს, –
თუ ავი სული არ ჩანს.
სანთელს, ყოველთვის, კრძალვით აგინებ,
ბინდი არ გაჩნდეს უცებ...
რა დიადია, თუ ყველას გული –
სიყვარულისთვის უცემს.

შვილებს

მიყვარხართ ისე,
მიყვარხართ ისე,
როგორც არასდროს,
ახლა, ამ წუთას...
ვიგონებ წარსულს, –
დროთა ქაოსში,
იმედით, რწმენით
გატანილ გუთანს.
ჩემი ფიქრების
ლამაზ ლაშქარში –
ანწყო, მომავლის
შუქი მატულობს,
ჩემო შვილებო,
იმედით სავსე
დედ-მამისათვის
მუდამ ნატრულო.
მერე, სურათებს –
ფერადს გამოვშლი,
როს დრო შეჩერდა, –
სულ, ერთი წამით:
მშობლები თქვენზე
ზრუნავდნენ მუდამ,

ყოველ წუთს და
ნამს, –
დღითა, თუ ღამით.
დიდი მეუფე პაპის
გვერდით რომ –
ცას ენეოდნენ:
გიორგი, ნინო,
ბებო უცხოზდა
ტკბილ თაფლის
კვერებს, –
შვილიშვილებმა
რომ მოილხინონ.
დედუღეთიდან,
ბებო-პაპა რომ...
გვესტუმრებოდნენ,
– სავსე კალათით,
კალათი ნუგბარს
ველარ იტევდა, –
ღმერთო, ვიაროთ,
მუდამ ბარაქით.
მოგონებების ტალღა სავსეა –
ოცნებებით და ტკბილი სიამით,
წუთისოფელი მოგვეცი ღმერთო,
სიკეთით სავსე, – დიდი დღიანი...



ზოია
ქამსაშვილი-
ცერცვაძე

შვილიშვილებს

ქრისტეს რჯულის გქონდეთ რწმენა
და იყავით ერთგულნი;
შეგადარებთ ფრთათეთრ მტრედებს, –
ბინა რომ გაქვს ჩემს გულში.
სილამაზის, სიყვარულის
მოციქულნი თქვენა ხართ...
გვსურს, რომ – გაბრწყინებული
საქართველო გვენახა.
თქვენ მეუფე გყავდათ პაპა, –
დიდი გრიგოლ ცერცვაძე,
მრევლზე ზრუნვის, ერთგულების
მანტია რომ ეცვა ზედ!...
როცა მღერით საგალობლებს,
გიბრწყინდებთ გულები...
საქართველოს სიყვარული
მუდამ, გქონდეთ უღევი.



ნათია
ბოტკოველი



ნათია ბოტკოველი

ავტობუსში

პასუხი არ არის

სიგარეტი სასწრაფოდ ჩააქრო და ავტობუსში ავიდა. ეჰ, ჩემო თავო, გხედავდეს ახლა შენი დედამთილი, ხომ გაგხდიდა ქვეყნის სალაპარაკოს – გაიფიქრა თავისთვის. აქ კი ვის უნდა დაენახა, იტალიის ამ მიყრუებულ ქალაქში. ბებოს სახლამდე რვა გაჩერებაა, უაზროდ იყურება ავტობუსის ფანჯრიდან, ვერაფერს ხედავს, მთელი გონებით სამშობლოშია.

ნინუცა კარგი გოგოა, ფრიადოსანი, თერთმეტი წლისაა, კაცმა რომ თქვას, ახლა ფულზე მეტად დედა სჭირდება, მაგრამ მაინც ახალ აიფონს ითხოვს.

მერაბიკოზე უკვე ხელი ჩაიქნია, კომპიუტერის სკამიდან ვერ აძრობენ. ნინუცა ამბობს, რამდენჯერმე თამაშში დაათენდაო – დედა მოგიკვდათ შვილო, – ჩაიბუტბუტა. ნანყენია დედამთილზე, მაგრამ რას იზამს, ხმას ვერ იღებს, საჭმელს ის ამზადებს, ის ურეცხავს ბავშვებს, ქმარს...

ქმარი? ჰო, ეგ კინალამ დამავინყდა. ქმარიც ჰყავს, რომელიც წესით, ბავშვებს უნდა ზრდიდეს, საყვარელთან კი არ უნდა დაძვრებოდეს. ეს არ გაიგოს, ამ ბოლო დროს ისედაც გულში სულ საშინელ ჩხვლეტას გრძნობს. თითქოს ხელი მოუჭირესო: ბავშვების პატარა მომთხოვნი ხელეები, დედამთილის დანაოჭებული, გამხმარი ხელი, ქმრის უხეში, ბოტოტა თითებიანი ხელი და მერე ველარ სუნთქავს, თითქოს იგუდება...

– tutto bene signora? acqua, acqua, per favore!

არა, როგორმე უნდა გაახილოს თვალი, ნინუცას ძალიან უნდა ის ახალი აიფონი...

ნინუცა კარგი გოგოა, ფრიადოსანი, თერთმეტი წლისაა, კარმა რომ თქვას, ახლა ფულზე მეტად დედა სჭირდება, მაგრამ მაინც ახალ აიფონს ითხოვს.

მერაბიკოზე უკვე ხელი ჩაიქნია, კომპიუტერის სკამიდან ვერ აძრობენ. ნინუცა ამბობს, რამდენჯერმე თამაშში დაათენდაო – დედა მოგიკვდათ შვილო, – ჩაიბუტბუტა. ნანყენია დედამთილზე, მაგრამ რას იზამს, ხმას ვერ იღებს, საჭმელს ის ამზადებს, ის ურეცხავს ბავშვებს, ქმარს...

მე ის კითხვები დავსვი, თქვენ რომ ვერასოდეს გაბედეთ

როგორ არ გესმოდა იმ დედის ღალადი, თვალწინ რომ უკლავდნენ შვილს, და თუ მაშინ ვერ გაიგონე, გაგრამი, ახლა როგორღა გამოგჩა მარიუპოლში?

მაშინ სად იყავი და რას აკეთებდი თოთხმეტი წლის გოგონა ხუთმა მხეცმა რომ გააუპატიურა? ამბობენ, ფეხმძიმედააო, ალბათ, იმედი გაქვს შენი რომელიმე მეგობრის სახელს დაარქმევს შვილს...

იმ უკრაინელი სამშობლოს მცველის ტკივილი თუ იგრძენი რუსებმა კასტრაცია რომ ჩაუტარეს, ან ჩვენი ანწუხელიძის ძვლების მტვრევის ხმა როგორ არ შემოგესმა?

სად იყავი მაშინ მე და კიდევ ბევრმა, თვალები რომ ამოვიღამეთ ტირილით, ცრემლი რომ გაგვიშრა და მაინც ვერ ვჩერდებოდით, რომ გეძახდით და შენ წაგვიყრუე, ნუთუ მტირალ დედებს უსმენდი და ამიტომ ვერ მოიცალე ჩვენთვის, და თუკი, როგორ ანუგეშე ისინი?

არ ვიცი, ალბათ გამოგეპარა როგორ გოდებდა სამყარო, ალბათ, შვებულებაში გახვედი, როგორც იმ სულელურ კომედიაშია.

რალაც ვერ ლაგდება ლოგიკურად, რანაირადაა, რომ აქ ხალხი მომავალს კარგავდა და ოკეანის გადაღმა კარდაშიანები მდიდრდებოდნენ? რანაირადაა, რომ შენი მსახურები მუდამ დღე გვარცხვენენ და განგვსჯიან, როგორც კი სიტყვის შესაბრუნებლად პირს გავაღებთ, გვაჩუმებენ, ნუ განიკითხავთო. არ გჯერა. აი, ნახავ, როგორც კი ამ ტექსტს გამოვაქვეყნებ...



და მაინც, თუკი მაინც ყოვლისშემძლე ხარ, რანაირადაა პუტინი კვლავაც ცოცხალი? შენ რა თქმა უნდა არ მიპასუხებ, ან აქამდე როდის გიპასუხია...

როგორ მოვკლათ ხელოვნება

მოგესალმებით! დიდი მადლობა ჩვენს საჯარო ლექციაზე მობრძანებისთვის. დღევანდელი ლექციის თემა ერთობ აქტუალური და მოთხოვნადია. დღეს ჩვენ გასწავლით, თუ როგორ მოვკლათ ხელოვნება.

მოდით, დავიწყოთ მხატვრობით.

მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ჩვენ უკვე გადავდგით რამდენიმე წარმატებული ნაბიჯი. მაგალითად, თქვენ თუ ჩაბრძანდებით პარიზში და ესტუმრებით ლუვრს, ნახავთ ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტს, ჩვენ მოვახერხეთ და ერთი პანაწინა პორტრეტით მთელი ლუვრი მოვკალით.

ქორეოგრაფიის მიმართულებითაც სასიკეთო ცვლილებები გვაქვს: ეროვნულ დონეზე ხალხი დავარწმუნეთ, რომ თურმე ცეკვას სექსუალური ორიენტაცია გააჩნია. ვიცი, ვიცი, მეც მეცინება, საერთაშორისო დონეზე კი წარმატებით ვკლავთ ბალეტს, შედეგებისთვის შეგიძლიათ დაგუგლოთ **bal-let core**.

ოჰ, ლიტერატურის მოკვლას რა უნდა, შეიტანეთ ლიტერატურის თეორია უნივერსიტეტში და დახურულია საქმე. არც საერთაშორისო დონეზე დაგვიკლია მცდელობა, მაგალითად, Netflix-მა ახლახანს ჯეინ ოს-



ნათია ზოტკოვალი

ტინის „დარწმუნება“ გადაიღო და მთავარ როლში, არც მეტი, არც ნაკლები, დაკოტა ჯონსონია. აი, ასე უნდა მოკლათ კლასიკური ლიტერატურა.

პოეზიას რაც შეეხება, კი, დაგეთანხმებით, ეს უკანასკნელი თავნება და ჯიუტია, თან მოკლეა და ხელიდან ადვილად გვისხლტება. უცებ წაეკითხინება მკითხველს და მერე ჩვენ თვეები გვჭირდება, რომ როგორმე თავიდან ამოვუგდოთ ადამიანს ამ ლექსით მიღებული ემოციები. რა თქმა უნდა, ტელევიზია, ინსტაგრამი და ტიკტოკი ამ საქმეში ჩვენი მთავარი ხელსაწყოები არიან. და მაინც, ყველა კარგ პოეტს მოეძებნება პრემიერ-მინისტრის, ოლიგარქის თუ პატრიარქისადმი მიძღვნილი ოდა, ჰოდა, ჩვენც ამ ხავსს ვებლაუჭებით.

დაბოლოს, თუ მაინც ვერ გაიგეთ როგორ მოკლათ ხელოვნება, ნუ ინერვიულებთ, ამ ყველაფრის ფონზე ერთ დღესაც თავად მოიკლავს თავს.



გვირილების შუკრულ კონას
ძლივს იკავენს ლალი,
სახლისაკენ მიიჩქარის
დედას ნაცვრისფვალი.

ღღეს ღღის ღღეს აღნიშნავენ
გაზაფხულის დარის,
დედა მუდამ საფიქრნი
და მზის სხივი არის.

ივეტა პავლიაშვილი

ივეტა პავლიაშვილი

46



ეს ჩემი საქართველოა

გოგონა ხატავს ფირუზ ცას,
ცაზე მზეს – სხივთა ჯავართ,
ზურმუხტ მინაზე ყვავილებს
ხასხასა ნაირფერებით.

ქალს წყლით პირსავსე სუროთი,
კაცს ცელით თივის ველობზე,
იქვე ვენახიც დახატა –
ბავშვები მწვანე მდელოზე.

გოგონა ირგვლივ ყველაფერს
ხატავდა ლალის ფერებში,
აალიმილა მთა-ბარი
ბალები მონაფერები.

მერე მთის წვერზე ნისლები
მთას ლეჩაქივით ახადა,
თავის ბავშვური ოცნებით
მან საქართველო დახატა.

მინდა ისევ
აშრიალდეს
ტყე-ტყე ის
ნამუხარო!..

...რომ საზღვარი
საქართველოს
იყოს შეულახავი
და მისი მთა, მისი
ბარი
იყოს გაუყოფელი.

საქართველო მინდა
იყოს

ისე... ისე...
ძლიერი!...
მტერი გოჯსაც ვერ
გვართმევდეს,
ქართველია მზის ერი!!



ივეტა
პავლიაშვილი

ქართველია მზის ერი!

მე მინდა, რომ საქართველო
იყოს მუდამ მზიანი,
მინდა იყოს მზიანი და
კეთილ შარაგზიანი...

მზეც მსურს იყოს მზისფერი!
ცა კი... მუდამ ცისფერი,
ვარსკვლავები – ოქროსფერი,
მინა – ზურმუხტისფერი!
ველი – ნარინჯისფერი!
მთები – ფირუზისფერი!

...მინდა მინას ასდიოდეს
პურის ყანის სურნელი,
მთებში წყარო რაკაკებდეს,
ჩემი მისვლის მსურველი...

ჩემს ქვეყანას წინაპართა
დარაჯობს ნამუხლარი!..

ჩემი თბილისი

ვერ დაუმსხვრიეს ფარ-ხმალი
ვერ დაუმსხვრიეს – აბჯარი,
მთებშია, მტერო! მთებშია,
ჩემი თბილისი ჩამგდარი! –

მეტეხი უდგას დარაჯად!
მთანმინდა უდგას – დარაჯად!..
მუდამ ეცმევა ერეკლეს
ჯაჭვის პერანგი ფარაჯად.

მიფრინავენ მერცხლები

შემოდგომა მიინურა,
დაათოვა უკვე მთაზე,
კუდმაკრატელა მერცხლები
ჭიკჭიკებენ დაბალ ხმაზე.

შეხეთ, როგორ ისწრაფიან
სამხრეთისკენ ერთად, გუნდად,
თუმცა გული პანანინა
სამშობლოში რჩებათ მუდამ.



რეზო
აღაპია

მწერალი და მხატვარი

ფიას, უწყური და უტეხი კანონებით კოსმოსში პლანეტებზე არ პატიობენ ერთმანეთს ვარსკვლავეთურ არეულობით დანაშაულებრივ უზენიანას. მაგ უდიდეს პლანეტარულ ძალთა ფსიქოლოგიური მოძრაობა მარად გამოუყრნიან ჩვენი დროის და დონის ადამიანებისთვის. ასე მგონია, მრავალმა რუსმა შეეფიქრა ეკლესია მიატოვას და ეშმაკის გომურში სკლამახინჯი დაიარება, სადა გველის ზუფესავით აქოთებულნი ყარს ყველაფერი...

რეზო აღაპია



ქვედაბითი გარდაუვალობა გუმბირანგისა

მინიერ-ზესივრცობრივ-ვარსკვლავეთურ დისციპლინა ბუმერანგი, თვით სამყაროს უმაღლეს მრავალ თვისებებსაც რომ უსწრებს; საოცარ-საკვირველი კანონიკურ-კანონია, მიუკარება ხილულ-უხილავი, მტკიცედ გაცხადებული, შეკუმშულ მართალი, ალალ-ქმედებითი ხმა და ძალა ქვეყნიერებისა...

ვარსკვლავეთის, კერძოდ, ჩვენი მინა პლანეტის ყოველთა უტყუარი კანონ ურთიერთობა პირდაპირი გამხელა ბუმერანგია, რომლის სამართლიანი მოქმედება კოსმიურ-სისტემურია.

დამოუკიდებელი სიმართლე ბუმერანგი სიკვდილ-სიცოცხლეში უთუოდ არსებობს და, რა თქმა უნდა, ომსა და მშვიდობაშიც გამიჯნულად დაჰქრის. ბუმერანგისა, სამართლიან ადამიანებსაც ერიდებათ.

ყოველგვარი ბარბაროსული ომი, კოსმიურ იდუმალებითი აგრესიაა, რომელსაც ახლავს დიდი უარყოფითი ძალა. მისი შეკავება? მას მხოლოდ სამყაროსეული მარადიული სიკეთე თუ გასცემს საკადრის პასუხს. დღევანდელი რუსეთის ამდაგვარი უღმერთობა დედამიწის ურთულესი ცეცხლოვანი მარადიული პრობლემაა, რომელიც სივრცესა, ბუნებასა და ჩვენ შორის არსებული უმძიმესი ავთვისებიანი დაავადებაა, რასაც თავის დროზე უხილავი ბუმერანგი დაუპირისპირდება. ადამიანებო! გახსოვდეთ ბუმერანგის დროულ გარდუვალობისა!.. მის იდუმალ ძალას და ქმედებას უფლის სიდიადეც ვერ შეცვლის...

მუდმივ მიუწვდომელი კანონიკური ბუმერანგი! ის არანაკლებია ათი მცნებისა, მეტი თუ არა; ის ნმიდათანმიდა სამყაროსეულ-გლობალური უცნაურ ანარეკლ სარკისმიერი უკუმხედ თვისებებისა.

ყოველივე და ყველაფერი შენგან გასული ამ ქვეყნიურ თუ იმ ქვეყნიურში თავადვე უკლებლივ უკან გიბრუნდება. ამ შემთხვევაში არც ღვთის მოქმედებაა და ასევე სხვა რომელიმე მრავალ ადამიანურ თვისება სახისაც. ამდაგვარი მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნიერების მეცნიერულ ღრმა საიდუმლო თვისებებიდანაა მომდინარე.

მომლოდინე ადამიანო! ყოვლად შეუძლებელია შენგან ქმნილი სიკეთე სიკეთითვე არ დაგიბრუნდეს; ბოროტება — მისივე სახითვე, მოგება ნმიდანური კეთილშობილება? უმოკლეს დროში თავადვე მოგივა: თითქოსდა უბრალო კეთილი ღიმილი სრულიად იგივე ფორმა გამამხნეველი სითბოთი გახდება. შენგან მრისხანებას წამოსულს ხომ უფრო უარეს უმძიმეს აგრესიული სახით მიიღებ. სიყვარულს? წარმოუდგენელია, რომ სიყვარულითვე არ შეხვდნენ.

გძულს ახლობლები? მეგობრები, ნათესავები, საზოგადოება? უმაღლესავით იგივე საპირისპირო სულიერი უარყოფითი მოძრაობა შენთანაა მისჯილ-ანთებული. ახლა კი ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მაგალითს შევეხოთ: ძმაცაცს, სამ-ხუთჯერ ლომოს, დაუძახებ და მეექვსე შეხვედრაზე იგივე უკუსითბოთი ვალდებულებით ლომოთი მოგმართავს. ანდა დამამცირებელ სახელს შეჰკადრებ? უახლეს დროში უხილავი ძალა მისგან იმავე მწარე განაცხადს გარგუნებს. ყოველივე ეს უცნაურ უტეხ-უცვლელი მუდმივი კანონია ჩვენს ირგვლივ თავისებურად მკაცრი წრიულ მბრუნავი ბუნებისა, რომელიც მტკიცე კანონიკურ ვარსკვლავეთურს წარმოადგენს. ბუმერანგს ლებულობენ უკლებლივ ყოველი უბრალო ადამიანები, დიდი და გენიოსებიც. ამ უცნაურობის ქმედება გარდაუვალი იყო სახელმწიფოებისა, იმპერიების და აღზევებულ, გაბოროტებულ დამპყრობი სარდლების მიმართ. მათგან ვერავინ გადარჩენია მას და დღეს თუ ხვალ არც არავინ გადაურჩება. ამ განჩინებაში არ მოვეყვები მრავალ დამპყრობთა ჩაუამულ ბედს, თუ როგორ ეკვეთა მათ იგივე თვისებებ ფუნქციები, რაც პირადად გააჩნდათ ეშმაკულის დონეზე, ზნეობრივად მაღალთ, თავიანთი ღირსებითი საამო უტყუარი ბუმერანგი გააჩნიათ: ნებისმიერ მაგ გარდაუვალობას ვერავინ გაქცევია და ვერ გადაურჩება მის მზის სხივებ სისტემურ შემოჭრას. მაშინ ვეცადოთ, ზოგიერთი ისტორიული მაგალითები მოვიყვანოთ. ალექსანდრე მაკედონელს, ხალხთა სისხლში მოცურავს, სრულიად ახალგაზრდას, როგორი





საშინელი ბედი ენია. რატომღაც ზოგთა სიამაყე ნაპოლონს, შუმერების და ხეთების სიცოცხლის სამუდამოდ ჩამქრობთ. სიკვდილთან მიმართებაში ფარაონებსაც ვერ უშველა პირამიდებმა და დიდმა ლეთიურმა ხელოვნებამ; ტროას მიწაზე გამასწორებელ დამსამარებლებს. დიდება სიმართლემ ქართველთა მტერ სატანა შაჰ-აბასს განგება ბუმერანგმა თავისი ბინძური შიგნეულ-ნაწლავები სიკვდილად მოასაქმია. არ დაკლებია ბუმერანგის სამართალი უძველეს კოლხთა წამშლელებს, კაცობრიობის უპირველეს სანყისი ცივილიზაციისა. საშინელება მტარვალ ჰიტლერს და მის თანამოაზრეებს, უსასტიკესი და სამარცხვინო სიკვდილით რომ ეკვეთა. როგორი უმიძიმესი ბედი შესთავაზა თავადვე მისმა ხალხმა, რუსეთის იმპერიის მეფეს ნიკოლოზს და მრავალრიცხოვან ოჯახს, უკანასკნელი დამნაშავეების დონეზე რომ გამოასალმეს წუთისოფელს და იქვე, მათ ირგვლივ, უდრეკი ბუმერანგი ცისფერ დროშას აფრიალებდა. ბრძენთაგან ნათქვამია კაცის მკვლელს ბუმერანგ პიროვნება კლავსო და სრულიად სამართლიანია.

როდესაც უბოროტესი პიროვნება ამ ქვეყნიდან გაბუნძულდება, იტყვიან, სამართლიანად ჩაძალდა-აო. რატომ აყენებენ შეურაცხყოფას მაგ კეთილცხოველს და ადამიანის უღალატო მეგობარს? ამ შემთხვევაში უფრო მიესადაგება გამოითქვას ჩაგველდა, ჩამორიელდა, უკუნეთად ჩაშავდა ან

უნდა ითქვას, შხამმა მოუსავლეთისამ ჩაყლაპაო. საკადრისად დაისაჯა გველი, ჯალალედინი — ის ხომ უფრო და უარესის ღირსიც იყოო სამყაროს სამართლიანი განაჩენისაგან?

საერთოდ ქვეყნიურ ბუმერანგს, ვერც ერთი რელიგიურ-სულიერ გონებრივი თუ მეცნიერული იურიდიული უმაღლესი მიმართება ვერ გაუტოლდება, ყოველგვარი ლეთიურ-ადამიანური გადანყვეტილებები მასთან ხომ უძღურია როგორც სინამდვილე წარმოსახვის წინაშე.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი სახე-ფორმის ბუმერანგი ბერძნების შორეული წარსულის ისტორიაშია ჩაკირული. ერთ დროს ბერძნები თავიანთი მერყევი უნაყოფო ბუდიდან აყრილნი მოზღვადნენ და ბარბაროსულად შეესივნენ კოლხური უძველესი ცივილიზაციის ტომებს, კერძოდ, პელაზგებს-ეტრუსკებს და მათ მიწა-ნოციერ მამულებს კაჭკაჭებოვით დაეპატრონნენ და სამუდამოდ დასახლდნენ, თითქმის ჩაყლაპეს ადგილობრივი ხალხი და მათთვის უცხო კულტურა, მენტალიტეტი, ხელოვნება გაითავისეს. აქ კი თავის დროზე უფრო მტკიცედ და მძაფრად ამოქმედდა კანონ-სიმტკიცე და როგორ? შუა აზიიდან დაიძრა თურქმენული მომთაბარე ერი და ველური სკვითებივით შეესივნენ უკვე აღზევებულ ბერძნებს, საუბედუროდ, არ დაინდეს ანტიკური ხელოვნების ფილოსოფიისა და მეცნიერების ნიმუშ-მედევრებიც, წალეკეს



*მხატვარი რეზო ადამია.
SOS! ატომური წარღვნის წინ!*



და აყვავებულ ქვეყანას გადაუარეს ადიდებულ-ატალახებულ მიწ-არესავით. თურმე არ არსებობს განურჩევლად მიუკარება მართალ თვისებით — პატიება ბუმერანგისა, ამდაგვარია მისი ვარსკვლავითური უდრეკი მისია, მზესავით მარადიულ გაუცვეთავისა...

დამჭირდა და მერამდენედ უნდა ვთქვა, ყოველივე ხომ სამყაროს ზნეობრივ ურღვევი კანონმდებლობაა და ვერავითარი ძალა, მოქმედება წინ ვერ უდგას. თუგინდ რომ შეიკრიბნენ უმაღლეს აღმსარებელნი სერობად, იესო ქრისტე, ბუდა, იუდა, ალაჰი და მრავალი რელიგიური სექტა დამოუკიდებელნი, მათ ზეციურ საჩივარ-განკითხვას ყურთანაც არ მიიკარებს. ასეთია ზნეურყევი ბუმერანგის სივრცობრივ კანონიკური მოქმედებათა გარდაუვალობა. ამ ფორმის მოვლენები ჩვენს პლანეტაზე მრავალია უხსოვარ დროიდან დღემდე, მართალი ბუმერანგი არავის ისტორიათ გამომსწორებელია და ჭკუის მასწავლებელია, ის მხოლოდ უკიდურესად საკადრისის მაგიერის მომხდელია, რასაც ვერცერთი ღვთიურ-ადამიანური კანონმდებლობა შეაჩერებს და ახლოსაც ვერ მიუახლოვდება; ამიტომ ბუმერანგის სრული დიდება-ალიარება ცამდე მწვდომი სიმართლეა, კაცობრიობის სამივე დროის მარადიულ ისტორიაში. ძალა დიდი, ჩვენგან შეცნობილი უძველესი და უმტკიცესი ნებისმიერ რელიგიაზე, უცვლელ ურყევ ნაღდი მაღალზნეობრივ შემსრულებელ (ყოველგვარი ლოცვის და თხოვნის გარეშე) უსაზღვრო ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ...

განა ნამცეც-მისხალიც აპატია პლანეტის და კაცობრიობის ოდითგან დღემდე და მომავლის სამუდამოდ უპირველეს ქალს, მედიცინის საწყის დაუსრულებლობას? ასევე ქურდ-თვალთმაქც მიმტაცებელ-მატყუარა და მოღალატე უზნეო იაზონს?! უსაზღვრო ბუმერანგმა მათში ჩვეული და ორგანული წესებით ყველაფერი კანონიერად აღასრულა. იაზონს დაუხოცა შვილები და მედეამ თავის თავსაც მიუზღო კოსმიური მიუკარება განაჩენი, რითაც დასაჯა თავისი საშო. მედეამ ხომ იაზონს და თავის თავს მოუკლა შვილები, შედეგად სიბნელიდან გამოსული უზნეობის სანსალიდან. არაადამიანურობიდან გამოფუჭებული ღალატით მისი შემცვლელი, მკაცრ-უჯიუტესი მეფის ასულიც, რომელსაც სიკვდილის სამოსი ჩააცვა. ასევე არ აპატია ბედკრულმა სამშობლომ და მედეა ხანგრძლივ სიკვდილამდე (ფიზიკური) სულიერად ენამა. უცხო მინაზე, კოლხთა მოპირისპირე ხალხთან, რისგანაც იშვა ბიბლიური კაენისეული უზნეობა: მათ ირგვლივ დღე და ღამე შეუსვენებლივ არეგულირებდა ზნეობა-უზნეობის საკითხების ბუმერანგი და არავის არ პატიობდა შეცდომას, უზნეობას თუ შემთხვევითობებსაც. კოლხ მედეას ვერ უშველა კოსმიურმა უმაღლესმა ნმიდა სიყვარულმაც, რათა ჩვეულებრივზე დაბალ



რეზო აღამია

ზნედაცემულ ბარბაროს იაზონს რომ არგუნა... უხსოვარ დროიდან მოყოლებული, მაღალი ზნეობით თუ დაბალით, განვლილი ყოველგვარი ქმედებანი კანონმდებელმა უკონტროლოდ არ დაუტოვა და კაცობრიობას შემოუნახა ყოველთა სისასტიკის მოგონებანი. ქურდ და მიმტაცებელ ბერძნებს, კერძოდ იაზონს სისხლიან რომანტიკოსს, ვერ უშველა ლეგენდარულმა გმირმა — ზეადამიანური სიძლიერის ჰერკულესმა. შედარებისთვის დღევანდელი უძლიერესი იარაღის ტოლმა, სისხლისმღვრელ-მსმელმა ადამიან-არსებამ. ისიც უკვალოდ გაქრა იდუმალი ძალისგან, კოლხეთის საოცრება ლეგენდარულ მინაზე. ასე და ამგვარად, შავმა ძალებმა დროებით გაანადგურეს მეფე აიეტის მედეა და კოლხეთის უპირველესი ცივილიზაცია. დიახ, მეგობრებო, უცილოდ ყოველ ადამიან-პიროვნებას ერს და უძლველ გმირს, მუდმივ-განუყრელად დაჰყვება, სიკვდილისა არ იყოს, საკუთარი ქმედებისმიერობით საკადრისი მზესავით მიუკარება ბუმერანგი, რითაც სუფთავდება პლანეტა უსაშინლესი ჭუჭყისაგან...

ჩვენს ეპოქაში ისევ თუ გაიღვიძა საშინელმა სიავემ და სწრაფვამ მსოფლიოს ხალხთა ბატონობისკენ. მცდართა ხროვამ საღად იფიქროს, რათა ისტორიის მრავალ ათასწლეულებში ვერავის მიუღწევია მაგ უსასტიკეს შედეგამდე ველური თვისებით უმძიმესი სენით და სასტიკი ბოროტებით. თუმცა ზოგიერთ ატარტაროზებულ იმპერიას ჰქონდა გარკვეული სატანისტური მიღწევები; ერების და ქვეყნების დამონება-განადგურების ფონზე, ყოველივე ხომ სიკვდილითაც ამოუძირკვავი და უმახინჯესი ფსიქოლოგიაა ადამის მოდგმისა, რომელსაც წინ უძღვის კაენის ძმათა მკვლელის მახინჯ-უზნეობა. ეტყობა კაცობრიული ჰუმანიზმი სუსტია ამ შემთხვევაში, ნებისმიერი რელიგიებისა არ იყოს. მაგრამ მაღალ ზნეობრივი ჭეშმარიტება საბოლოოდ ყველაფერს და ყოველივეს ანესრიგებ-ანონასნორებს ურყევ სამართლიანი უკუბუმერანგის მეოხებით.

შოკირებული „კაცობრიობა დღეს გაოგნებულა“. ნუთუ რუსეთის ბოროტ გზაზე დამყენებელს, რომელმაც 2008 წელს უდანაშაულო დამოუკიდებელ ქართველთა ქრისტესმიერ სისხლში დოპინგირებული სპორტული ყინით რომ იცურავა, შერჩებოდა მას? არა! და კიდევაც მან შეიმზადა უმკაცრესი მომავლის ბუმერანგი, უკრაინაში სამარცხვინო გალაშქრებით. ყველაზე უსასტიკეს მტერს ისე არ მოექცევიან, როგორც რუსეთის პრეზიდენტი და მისი კაცთ მგუდავი ჯალათები მოქმედებენ კეთილშობილ უკრაინაში.

„ჩვენს თავს ერთი და იგივე განაჩენი უნდა გამოვუტანოთ, ბოროტები ვართ, ბოროტები ვიყავით და ბოროტები ვიქნებით“ — ლაციუს-ანეუს სენეკა (რომაელი).





„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“ — მორგენშტეინი.

ყოველთვის მიკვირდა, ამ აზრების დამწერ ფილოსოფოსებმა თუ მწერლებმა ნეტავ რა იხილეს ადამიანებში ისეთი გამოგნებელი საშინელება-მეთქი, მაგრამ ამჟამად რაც ხდება უკრაინაში, თუ როგორ სპობენ უდანაშაულო, მშვიდობისმოყვარე გაოგნებულ ხალხს, უკვე არ მაკვირვებს, რათა ჩვენი, მესამე ათასწლეულის გამანადგურებელი საშინელება რომ ენახათ მაგ ღრმად მოაზროვნეებს, უთუოდ მკაცრ შეფასებას უფრო მძაფრად დაწერდნენ, ხოლო თავად მე არ ვიცი, როგორ დახატულ აზრებს მოგვანვდიდნენ. თავად ვერ ვპოულობ შემადარ აზრთ სიტყვებს, მაგ უმიძმესი სურათი მათსავით სრულყოფილად რომ გამოვხატო. წარმოუდგენელი ყოველთ ამაზრზენ ამღვზნებია რუსული დღევანდელი უაზრო აგრესია, მოძმე ხალხის, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მიმართ. ულამაზესი ქვეყნის ქალაქები და სოფლები ხომ დაანახშირეს და მიწასთან გაასწორეს, ეს უკვე კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული ნაწილის უკიდურესი დაუნდობლობა და განადგურებაა. მაგრე სასტიკად ქვენარმავლებსაც არ გასრისავს ნებისმიერი აღმსარებლობის თუ ბუნებით ათეისტისც.

„ადამიანს რომ შეექმნა ადამიანი, განა სირცხვილი არ დასწავდა?“ — ამბობს მარკ ტვენი.

ყოველთვის შემდეგ მართლაც რომ სიძულვილი ჩემი თავის მიმართაც მწვავედ მენწყება, ადამიანად რომ გაეჩნდი ამ ქვეყნად...

კოსმიურად აღელვებული „პლანეტა მიწა, შინაგანად ყოველმხრივ ემზადება მცირე ერების გადასარჩენად“. აქ უკვე ეჭვსგარეშეა, უსასრულობის გადანყვეტილება მიღებულია და პრეზიდენტი პუტინი ვარსკვლავური ჯიუტი სასჯელგარდუვალობის წინაშე დგას, როგორც დუჩე მუსოლინი და მრავალი სხვა.

ყოველგვარი ბოროტება უფრო დიდ სამაგიერო სიავეს შობს დედა ბუმერანგის მიუკარება კანონებით. ნუთუ ბატონ პუტინს არ ესმის სამყაროსეულ-კანონიკური უკუძმლე გარდუვალობისა.

„ძმათა ომში უზნეო ჯილდოებს არ იძლევიან, რათა ის სამარცხვინო ორმხრივი მასობრივი უბედურებაა“. ვფიქრობ და ვიტყვი, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში და ბევრგან მრავალ არიან ფილოსოფოსნი, ღრმად მოაზროვნე წინასწარმეტყველნი, ფსიქოლოგები, ხელოვანნი. ალბათ ვერ შეძლეს მოშხამული უკვე საცოდავი პიროვნების დარწმუნება, რომ ხოცავს უახლოეს სლავიან უკრაინელებს, დიდიან-პატარაიანად და როგორ ულამაზეს ერს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უფიქრია დამპყრობ სარდალს, ამდაგვარ სისასტიკეს არ შეარჩენს კაცობრიობა და არაფრით არ აპატიებს ზეძალა, რომელსაც გააჩნია უძლიერესი თვისებები, ხმები და კანონები. მართალია, ქვეყნის უპირველესი მოქცეულია შხამიანი ვარსკვლავთ დამაავადებელ გამჭოლი სხივების მარწმუნებში, რითაც მოურჩენელი ფსიქოლოგიური ზნე ჭირითაა დაავადებული (უნია ქართველთა ცოდვამ). მაგრამ როგორც შედარებით მაინც ძლიერ პიროვნებას შეუძლია მაგ ბოროტებას

თავი გამოსტაცოს თავადვე ან დააღწიოს კეთილ გარემოთა გავლენით (თუკი თანდაყოლილი არაა), რათა ამ საზიზღარ ომში არცერთი მხარე იქნება გამარჯვებული, რათა სამყაროსეული წმიდათაწმიდა მორალი მიუდგომელ უმკაცრესია და ზე-ზნეობრივი.

ამჟამინდელი რუსეთ-უკრაინის ომი მხოლოდ და მხოლოდ გველ-სატანური უკიდურესი მოვლენაა... ფრთხილად, დამნაშავე ადამიანებო, ზოგიერთი სივრცობრივი ბუმერანგი უტყუარ მომაკვდინებელია...

ბუმერანგის მეოხებით საერთაშორისო ბოროტმოქმედთა მომავლის ბედი გადაწყვეტილია. ამ შემთხვევაში ცეცხლის ალში მენვის გულ-ღვიძლი და უძლიერესი მართალი ვაჟკაცური უკრაინელები საკუთარი ძმებივით მეცოდება და, რა თქა უნდა, მოშხამული ზნეობისგან ჩათრეული რუსი ნორმალური ხალხიც. ცოდვილიანი ძლიერთა არაკაცობით მომავლის ახალგაზრდობა ილუპება, ძმათა შხამით გარეცხილ ომში ყოველთვის პირშავი წინმავალი კენი მოქმედებს, მაგრამ უკიდურეს დამნაშავეებმა უნდა შეიგნონ, კენი არასოდეს არ იმარჯვებს, რათა ის ყოველმხრივ ბოროტმოქმედებაა ჯოჯოხეთური, ზნედაცემულობა და ადამიანთა სამარცხვინო პირსისხლიანი ხასიათ-გამოვლინებაა, სატანური დანაშაულით; სრულ-მართალი პასუხი მხოლოდ მარადიულ მართალ და მიუკარება ბუმერანგს აბარია და მაინც ჩვენთვის სამწუხაროა...

დიახ, უცნაური და უტყუარი კანონებით კოსმოსში პლანეტებიც არ პატიობენ ერთმანეთს ვარსკვლავეთურ არეულობით დანაშაულებრივ უზნეობას. მაგ უდიდეს პლანეტარულ ძალთა ფსიქოლოგიური მოძრაობა მარად გამოუცნობია ჩვენი დროის და დონის ადამიანებისთვის. ასე მგონია, მრავალმა რუსმა შეცდომილმა ეკლესია მიატოვა და ეშმაკის გომურში სულმახინჯი დაიარება, სადაც გველის ბუდესავით აქოთებული ყარს ყველაფერი...

საკვირველია მაგ უბოროტესი ვარსკვლავისგან მოურჩენლად როგორ მოინამლა ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი, თავის თავში ძირფესვიანად ადამიანური სიკეთე რომ დაკარგა და, საუბედუროდ, რუსეთში სხვა მრავალსაც გადაედო ეს ყოვლის მომსპობი შხამ-სენი. კაცობრიობის წარსულის ისტორიიდან ყველა უბოროტესი მოლაშქრე სარდლები, რომელნიც შემდგომში კენისტებმა გენიოსებად რომ მონათლეს, ყოველი მათგანიც უცილოდ ეშმაკის მსახურია და მათთან ერთობლივი გონებრივ-კეთილ-აზროვნებით მოქმედება ბრძოლაა საჭირო. დღეს ყოველი მხრიდან ევედრებიან, ნუ ღუპავ, რუსო ბატონო! კეთილშობილ ულამაზესს და ღვთისმიერ უკრაინელებს (ერთ დროს მათ ბევრი ქართველიც რომ გაისტუმრეს), თქვენს მოძმე ხალხს ასევე მომავალში, რუსეთის მრავალ უდანაშაულო მშრომელ საზოგადოებას. ამიტომ ჯერჯერობით კეთილგონივრულად თხოვნიათც მოგიწოდებენ კენის ზნეობით შეპყრობილთ, იცხოვროთ ამ ქვეყნად ზნემართალ, მხოლოდ მზეებრ ნათელ ქრისტიანულადო...



**ზაალ
ზოტკოველი**

ს
ე
კ
უ
ლ
ი
ე
ფ
ე
ს
ი

დედის ლანდი მისი მარადიული თანამგზავრია, ტკივილიანი თანამგზავრი. ამ ტკივილითაა სავსე მათი ძველი უძვირფასესი სახლი – ზუხარში წყნელი კი არა, დედის ხელისგულებით გამთბარი დარდი ანთია, ლამფა რომ ლამფაა, ისიც კი ოხრავს ზუხარის თავზე და ოთახს იხფერი სევდით ავსებს. საერთოდარ, რა საოწრარი ანდამატი იზიდავს მშობლიური სოფელი ფარცხნალი, კორღებგადავარცხნილი სამოთხე, მთვარე რომ უზის ინახავ.

ზაალ ზოტკოველი



ცეცხლივით მოგიზგიზა

ლექსი – სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი.

ასე განმარტავს დიდი სულხან-საბა ლექსის რაობას.

რა საოცრად ზუსტი და, ამავე დროს, ლაკონური განმარტებაა იმ ცნებისა, რომელიც მირიადი საუკუნეა, რაც სულს გვიფორიაქებს და მოსვენებას არ გვაძლევს, გვაკეთილშობილებს და შეგვახსენებს, რომ ჩვენ – ადამიანები ბედნიერებისთვის, სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, რაინდობისთვის ვართ შექმნილი და არა ეშმასა და სატანის მსახურებისთვის.



ზუზარ კობარიკა

ახლა, ამ სტრიქონების წერისას, მეორე განმარტებაც ამომიტივტივდა გონებაში. ნახეთ, რა საინტერესო მოსაზრებაა:

– როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს ნავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულებაა, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს...

უნდა დამეთანხმოთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ აღსრულებული გურამ დოჩანაშვილის ეს იუმორნარევი ოპუსი არაფრით ჩამოუვარდება პოეზიის არცერთ კანონიკურ განმარტებას და სრული უფლება აქვს ლეგიტიმური არსებობისა.

ახლა კი ერთი ლექსი მინდა მოვუყვანო ნიმუშად მკითხველს.

ქარი სამოსელს იხევს,
არც თოვამ გადაიღო,
დედი, მჭედლანთ მიხა
მკვდარიც ლამაზი იყო.

თითქოს ალუბლებს მიჰყავთ, ცეცხლივით მოგიზგიზე, დედი, მჭედლანთ მიხა რად მესიზმრება ისეც. მთვარე ნაიძრობს ნიღაბს, გადმოკიდული გორით, დედი, მჭედლანთ მიხამ თან ნამიყვანა, მგონი.

თქვენი არ ვიცი, ბატონებო, მაგრამ მე, თქვენს მონა-მორჩილს, დამბურძგლა კი არა, ვეება გორგალი მომანვა ყელზე და კინალამ დამახრჩო, თან შვება და სიხარულიც მომგვარა, იმავდროულად. ამ პატარა, სულ რაღაც სამსტროფიან ლექსში დიდი, ვეება ადამიანური ვნებები ბობოქრობს, ვულკანური ლავასავით მოედინება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ყველას იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სიყვარულის, ოღონდ ნამდვილი და ყოვლის ნამლეკავი სიყვარულის დაკარგვის შემთხვევაში ამქვეყნიური არსებობა აზრს კარგავს და უკვე აღარაფერი გაკავებს ამ ცოდვითდაცემულ დედამინაზე.

ამ ლექსის ლიტერატურული გმირი – ერთი უბრალო გლეხის გოგო ისე მისტიჩის გულისსწორს – ცეცხლივით მოგიზგიზე მჭედლანთ მიხას, რომ ძალაუნებურად პარალელის გავლება მოგინდება ვერონელი კაპულეტების ერთადერთ ქალიშვილთან, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვება არყოფნის მორევში, როგორც კი გულისსწორი ლეთას გადაცურავს.

მეტისმეტად მალალ ნოტზე დავინყე ამ წერილის წერა, მაგრამ ვეცდები დაგარწმუნოთ, რომ ამ ლექსის ავტორი მართლაც ჩინებული პოეტია და სალიტერატურო კრი-





ტიკის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

არა, არ იფიქროთ, რომ საქმე უცნობ პოეტს ეხება. არა, მასზე წერდნენ ქართული მწერლობის ისეთი აღიარებული კორიფეები, როგორიც იყვნენ ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, აკაკი ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ დოჩანაშვილი, დავით წერეთლიანი, ნოდარ წულუისკირი... წერდნენ, რომ მისი პოეზია ქართული პოეზიის მიღწევათა რიგს განეკუთვნება: რომ მისი შემოქმედების მთავარი ღირსება მაინც ის არის, რომ პოეტს საკუთარ სამყაროში, ემოციურად მდიდარ, აზრობრივად საინტერესო პოეტურ სამყაროში შევყავართ, რომელიც შემოქმედებით და ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია, რომ მისი პოეტური კრებულები მისივე სტილისტიკის ინდივიდუალურობისა და თავისთავადობის დასტურია...

და მაინც უკმარობის გრძნობა არ მტოვებს, რადგან პოეტის შემოქმედება გამონვლილვით „განჩხრეკვას“ საჭიროებს.

ეს პოეტი ნუგზარ კობერიძე გახლავთ, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც ცდილობს თავადაც დაგვარწმუნოს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ლექსი მშვენიერების, სიკეთის უკვდავების, სათნოების დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს, რომ ლექსი უკვდავი სულის ღვთაებრივი გამოვლინებაა, რომ...

ნუგზარ კობერიძე ის პოეტია, რომელსაც ბედისწერასთან არაერთი ომი გადაუტანია და ახლა ამ ომებით გადაღლილი თავშესაფარს ეძებს, ეძებს კი არა, უკვე შეგულებულიც აქვს – ჭიანჭველების სამეფოში სურს დამკვიდრება, ამ სამართლიანი და მშრომელი მწერების საუფლოში... ალბათ იმიტომ, რომ იქ, სადაც უწევს ცხოვრება, ფარისეველთა და მედროვეთა კასტა გამეფებულა, რომელთაც არც სამშობლო, არც ხალხი და არც მისი სატკივარი ჩირადაც არ უღირთ...

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები შესევინან ცოფიანი ძაღლებივით და მოსვენებას არ აძლევენ, იმასაც კი პირდებიან, სამარეშიც არ მოგასვენებთო, ისიც ებრძვის სიტყვებს, წერს, წერს და ეფერება ყველას და ყველაფერს, იმ ხესაც კი, რომლიდანაც მისი განსასვენებელი უნდა შეიკრას.

ნეტა მაჩვენა

ახლა ის ხე –

ჩემს კუბოდ რომ უნდა შეიკრას,

წყალი დაეუსხა

და გარშემო შემოვუბარო.

გასალანძლად მტვერიც კი ენანება და

მას შარავზის პეპლებად მოიხსენიებს... აზია მისთვის შემლილი დედაა, ევროპა კი – ტურფა დედინაცვალი...

ჭეშმარიტი ქრისტიანია, წერს ქრისტეზე ისე, რომ მას არც კი ახსენებს, თითქოს იმ მოლალურისა შურს, გეთსიმანიის ბალისკენ რომ მიფრინავს და შეუძლია იმ მისტერიის მონმე გახდეს, კაცობრიობის ისტორია რომ შეცვალა ძირფესვიანად...

მარადიული მარტოობით შელონებულს ისიც კი შეუძლია ინამოს, რომ წვიმებმა გამოიგონეს.

ისე მარტო ვარ,

თითქოს არ ვიყო,

თითქოს წვიმებმა გამომიგონეს

და მეშინია, არ გადაიღოს.

საოცარი თვალი აქვს და იმის დანახვა შეუძლია, თუ როგორ ლოცულობს ანწლი მიძინებულ ფრესკებთან, როგორ მიფრინავს მტრედი მაცნედ მენამული ცის ლაჟვარდებისკენ...

დედის ლანდი მისი მარადიული თანამგზავრია, ტკივილიანი თანამგზავრი. ამ ტკივილითაა სავსე მათი ძველი უძვირფასესი სახლი – ბუხარში ცეცხლი კი არა, დედის ხელისგულებით გამთბარი დარდი ანთია, ლამფა რომ ლამფაა, ისიც კი ოხრავს ბუხრის თავზე და ოთახს იისფერი სევდით ავსებს. საერთოდაც, რა საოცარი ანდამატი იზიდავს მშობლიური სოფელი ფარცხნალი, კორდებგადავარცხნილი სამოთხე, მთვარე რომ უზის ინახად

რაც ქვეყანაზე ვარსკვლავია,

ჩემი სოფლის ცაზე ჰკიდია,

აქ თავს ვერაფრით ვერ ირჩენს კაცი,

აქედან წასულთ

ვარსკვლავების საგზალი მიაქვთ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავური საგზალი ნუგზარ კობერიძემაც გამოიყოლა მშობლიური სოფლიდან, დაახლოებით რომ სწორედ ამ ვარსკვლავების მირონი და ბრწყინვალეობა განუმეორებელ ელფერს აძლევს მის ლექსს, სიყვარულით და სიკეთის ქმნის დაუოკებელი ჟინით ავსებს მის სულს.

ვცნოსავ ჩემი სოფლის ქონდარს,

ვერცხლი მიჩხრიალებს თმაში,

როცა არაფერი მქონდა,

ყველაფერი მქონდა მაშინ.

ეფერება თავის ბავშვობას, თუნდაც იმ ბებერ კაკლის ხეს, რომლის ტოტებზე ხშირად უწევდა ღამისთევა ამ ცელქსა და ონავარ ბიჭუნას. როცა ძალიან, ძალიან გაუჭირდება ხოლმე, მაშინვე იმ კაკლის ხისკენ მიიჩქარის



და მიილტვის იმ ხისკენ, რომელიც... დიდი ხნის წინ მოჭრეს.

სწორედ მისი ბავშვობის-დროინდელი მოგონებითაა შთაგონებული თუნდაც ის ლალი და სიყვარულით გამთბარი სტრიქონები, ნუთით რომ გავიწყებს ამაოებას ამაოთა და სოფლურ იდილიაში ამოგაყოფინებს თავს.

დღე გატრუნულა,
ღელე ჩურჩულებს,
მზეს ბუმბულივით
სცვივა აღმასი,
აგვისტოს ხვატით გამოსაშრულ
სოფლის შარაზე
მიფრატუნობს ბატის ჭუჭული.

მაგრამ იმავე სოფელში დიდი ტრაგედიებიც ტრიალებს. პოეტი კალმის ერთი მოსმით შემორკალავს მსგავსი უბედურების სამანს და სულ რამდენიმე სტრიქონში ატევს სათქმელს:

ემოდენი ობლები,
შენ კიდენა
გალოთდი...
სევდიანი სოფლები
სერზე სასაფლაოთი.


კითხულობ ამ წყევლა-კრულვიან ლექსს და მყისვე გახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმირთ“. იგივე სიმძაფრე, იგივე ტრაგიზმი, იგივე დრამატიზმი... ოღონდ მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალიზმით და თავისთავადობით დაღდასმული კვილი განწირული სულისა. სასაფლაოს თემა კიდევ რამდენჯერმე შემოიჭრება ნუგზარ კობერიძის შემოქმედებაში, სიკვდილის – სიცოცხლის ნაირსახეობის თემა. იქ, სასაფლაოზე, კვიპაროსთან თეთრი კვართი გამოკრთება და ალავერდს იასამანთან გადადის:

საფლავიდან საფლავზე
დადის,
გააქვს სამანი,
ბრმა და მიუსაფარი,
თეთრი იასამანი.

დადის და ცხოვრებაზე აღრენილ ნუთისოფლის მგზავრებს ბაგეზე მომწყდარ ყვავილებს ატანს...

ნუგზარ კობერიძე – სიყვარულისა და სიკეთის აპოლოგეტი კი ღმერთსაა მინდობილი და ევედრება სიკვდილამდე ნუ მომკლავ, რწმენაში განმამტკიცე, რომ უფალს, სამშობლოს და მშობელ ხალხს ვემსახურო.

სიკვდილს ნუ მომანდომებ,



ზაალ კოტკოველი

მე შენ სიმწრით გეძიე,
ღმერთო,
ნუ მიმატოვებ,
ღმერთო,
შენ შემენიე!

პოეტმა იცის, რომ თუ რამ აფრთხობს სიკვდილს, ეს გარიჟრაჟისას მამლის ყვილია, ზეცისკენ თავანული მამლის ყვილი, ღვთისმშობლის წილხვედომილი ქვეყნის გადარჩენას რომ შესთხოვს არსთაგამრიგეს, იმ ქვეყნისა, გამარგლულ მსოფლიო რუკას ქრისტეს ცრემლივით რომ დაეპკურა.

ის კი არადა, მზე რომ მზეა, საქართველოს ცაზე რომ მოგორავს, ისიც უფლის ცრემლად იღვენთება, რადგან ისე ვქრებით და ისე ვილევით, როგორც დევების ნანადირევი. ნატვრის ხე გაგვხმობია, კომბლეს მისი კომბლები აღარ სჭირდება, რადგანაც მისი ნასათუთევი ცხვრები დარევიან და ცოცხლად სჭამენ ერთმანეთს, ნიქარასთვის რქები დაუძვრიათ, ცისკარას კი, რა ხანია, საღათას ძილით სძინავს. პოეტის საკუთარ დანაშაულადაც მიაჩნია, რომ ვერ შეძლო ხელი შეეშალა ქვეყნის გაპარტახებაში, ამდენი ნასოფლარისა და ნაქალაქარის გაჩენაში ხელგანაფული ნაძირალებისთვის. უცხო სოფელში მოხვედრილი მიტოვებული კარმიდამოს ნამოსახლარზე ნაანყდება გულისმომკვლელ სურათს – გაუდაბურებულ, ჯაგებად ქცეულ ეზოში რა თავგადაკლულად ჰყვავის ატამი და მაცხოვარს სამართალს შესთხოვს. ხმალ-ხანჯალილა დარჩენილა საქართველოდ საქართველოში. გაქცევა მოგინდება, მაგრამ სად გაექცევი საკუთარ თავს, საკუთარ სინდისს. მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსითაა დამუხტული ლექსი, რომელიც იმ გონებადაბინდულ ქართველებს ამხელს, ვინაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველო კიდევ ერთხელ აცვა ჯვარს, რაც გააჩნდა შვილებისთვის გადანახული უკანასკნელ ლუკმად, ისიც კი წაართვა და ღამის დედიშობილა გაუყენა არყოფნის გზას. როგორ შეეგუოს პოეტი ამას, როგორ დაუხაროს თავი სატანის ნაშიერებს, მუშლებივით რომ შესევიან ქართულ მუხებს და ძირიანად ჭრიან.

ლეკვი მგლისა
გადმოდგება ალგეთს,
მინას ტორავს
და გაძლევა უჭირს.

რა გასაკვირია, თუ ასეთ ჟამს, წვიმა რომ წვიმავ, ისიც ცრემლებად ეღვრება დიდი და-





ვითის ერთ დროს თავმომწონე ერს და ყველაფერს ასველებს – თვალს, სულს, წარსულსა თუ აწმყოს, ყველაფერს ნისლის ფერი დასდებია ნისლის სასახლეში, რომლის კარი მთვარით გადაურაზავთ სამუდამოდ.

თორ-აბჯრიანი საუკუნენი
სადლაც შორეთში
მიღიმდამულან
და ჩემი მრავალტანჯული გენი
ჰკიდია ღამეს, როგორც ღამურა.

ასე გულგასენილი პოეტი ცაში აიხედავს და საოცარ სურათს მოჰკრავს თვალს – როგორ მისდევს ლაჟვარდებში ხარებს მეხრე – ეს ჩვენი დიდი წინაპარი და სახრეს გვიღერებს, თან ვაჟკაცობას, სამშობლოსათვის თავდადებას გვიწუნებს და თან ცოდვების მონანიებისკენ, გამოფხიზლებისკენ მოგვიწოდებს, რათა მომხდურმა ჩვენი უგერგილობით არ ისარგებლოს და ჩვენს მარჩენალ ნიქარებს რქები არ გადაუმტვრიოს, ყელი არ გამოლადროს.

პოეტი კი გაუქმებულ ხიდზე წერს და მასზე გადავლის ჟინი მოსვენებას არ აძლევს. თავადაც იმ ხიდად ქცეულა, თამარის ხიდად და მტკიცედ სწამს, რომ ამ ხიდის იავარქმინა და განადგურება მეტისმეტად უმადური საქმეა, რადგანაც ამ ხიდში საქართველოს უკვდავი სულია დაუნჯებული.

თავად კი ის შეუძლია უთხრას მშობელ მინას, რომ ისე უახლოვდება, როგორც მსუყე ბელტს პურის მარცვალი, რათა მერე ისევე ამოიწვეროს და განაგრძოს სიცოცხლე...

ასე მართლად, ასე ალაღად, გინა თავგანწირულად მხოლოდ იმას შეუძლია მშობელ მინასთან შერწყმა, ვისაც სიყვარულის ნიჭი აქვს, ვინც ამ მართლაცდა დიად გრძნობას საკუთარი სხეულით ატარებს. ნუგზარ კობერიძე რომ სიყვარულის ტრუბადურია, ამის დამტკიცება წერილის დასაწყისშივე ვცადე. მისი პოეზიის ლირიკული გმირი, უპირველესად, სწორედ რუსთველური მიჯნურობის ნიჭით გამოირჩევა.

ციცინათელამ
გათანგული ღამე ღელის წყალს
ამოარიდა.
ასე მიცურავს შავი კაბა
შენი ტანიდან.

წერს პოეტი და მართლაც გინდა დაიჯერო, რომ მისი ნანდაური ულამაზესი ზღაპრიდან გამოგომანდა და მშვენიერებით, სიყვარულით აუფსო სული. ყველაფერი უყვარს გულისწორისა, მის თლილ თითებში გამოპარული ნისლიც კი და, საერთოდაც,

როცა უყვარს, მაშინ ყველაფერი უყვარს, ყველაფერს შესტრფის. მინიატურების დიდოსტატია. შარადებს ქმნის, რომელთა ამოხსნა არც ისე ძნელია.

ბალახ-ბულახში მივალ,
ჩამიჩუმია ნიყვის.
ის ჭორიკანა თივა
იტყვის,
ყველაფერს იტყვის.

ამ სტრიქონებში ეტევა გატაცებაც, თავდავინყებაც და ის გრიგალებიც, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი სიყვარულის წარმოდგენა შეუძლებელია. ამ დროს პოეტს ბენვის ხიდზე უწევს სიარული, რათა არ გასცდეს იმ ზღვარს, რასაც სიყვარული ჰქვია და არა სიძვა თუ მრუშობა. ნუგზარ კობერიძე კი ამას ახერხებს. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ თავადაც სიყვარულის ხნის არის და მზადაა მარგალიტის მაძიებელივით ჩაიძიროს სიყვარულში, პურის ყანაში მზის სხივები დაუკრიფოს სატრფოს, ვნებით ააფოფინოს საკუთარი მარტოობა. იმის იმედად ცოცხლობს, რომ თუნდაც წელიწადში ერთხელ მისი დანყველილი ქონის კარი ანგელოზმა შეაღოს და იქაურობა სამოთხედ აქციოს. ნახეთ, რა სრულყოფილი სტრიქონებია:

სულ ორიოდე სიტყვით
და სამიოდე მძიმით,
მიმოგიქარგე მკერდი
ამაოების მძივით.

ავისტოს ხვატით გათანგულ ჭალაში შეჰყურებს ფეხშიშველა ბიჭებს, ფართოდ დაღებული თვალებით რომ შეჰყურებენ საოცრებას:

ავისტოა, შავი ლეღვი მნიფს,
კაკალივით იკროლება მზე,
ჭაბუკები სულს ითქვამენ ძლივს
შენი კაბის გაქროლებაზე.

სიყვარულით გათანგულს შეუძლია დიდხანს, ძალიან დიდხანს უტკიროს ძელსკამზე მთვლემარე მოხუც ცოლ-ქმარს, ძილბურანში კრიალოსანივით რომ ითვლიან ერთმანეთის სუნთქვას...

მისთვის, სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის მოვლენილი არსებისთვის, ყველაზე საშინელი უგაზაფხულო ყვავილები და უყვავილო გაზაფხულებია. შეუძლია, ღირსეულად დაემშვიდობოს სიყვარულს.

ალარ ვუსტვენ,
ალარც ცრემლი მომდის,
გინატრე
და...
ალარ მომაგონდი.



თითზე კი მაინც მოჩანს თეთრი რკალი – ხსოვნის ბეჭედი.

შავი ღვინო ვითხოვე,
თეთრი ღვინო მასვეს,
თეთრი ქალი მიყვარდა,
შავის გვერდით დამსვეს.
ღმერთო, რას მემართლები,
რად დამცინი ასე?!

ეს სტრიქონები სიმღერად იქცა, მშვენიერ სიმღერად სიყვარულის ტრუბადურისა.

რა საოცრად გულწრფელი, ტკივილიანი სტრიქონები უძღვნა გზაგამრუდებულ მეგობარს, რომელსაც ცხოვრებაში, ალბათ, არაერთი შეცდომა დაუშვია, არაერთი დანაშაული ჩაუდენია... აუგის სათქმელად მაინც არ ემეტება, რადგანაც იცის, მისი გულის ერთი კუნჭული მაინც უფალს უკავია... ორი ობოლი ბიჭის მეგობრობა კი უკვდავია.

ნუგზარ კობერიძის პოეზიაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, თუ როგორია მისი ლექსის ფონიკა, მეტრიკა, რიტმიკა, პროსოდი თუ სტროფიკა. ყოველივე ამის განჩხრეკა ნაფიც კრიტიკოსებს მივანდოთ, მე კი მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ნუგზარი დიდებული პოეტი რომ არ იყოს, ნამდვილად დამწყდებოდა გული, რომ მან კალამი არჩია ყალამს. ნამდვილი მხატვრის თვალი აქვს და იმიტომ. ნახეთ, რა საოცარი ხედვით გამოირჩევა:

მოიკირწყლება გზა კონახურით,
მიჭირს გაძლება...
წითელში იწვის უსაყვარლესი
და ინაცრება.

ისე მოგვითხრობს ზამთარზე, რომ მართლაც შეგეცოდება ეს წელში ოთხად მოხრილი ჩაჩაჩული წინდებით მოფრატუნე ბინდების ჯადოქარი. ხანჯლებზე მოცეკვავე მზე იზიდავს. მზე მისთვის ხან კოჭლი ავაზაა და ხანაც გველის გორგალი. ჰოდა, როცა მისი უდიდებულესობა – მნათობი გადაიშორეთებს, გამოჩნდება გზაზე უპატრონო მკვდარივით მიგდებული ქალაქი. იმის დანახვაც შეუძლია, თუ როგორ დააგორებენ კატები სახურავზე აღმა-დაღმა მთვარეს, რომელიც ხან შროშანების კარაველაა, ხანაც ცისფერ იასამნებად ჩამოღვრილი საოცრება, ძალზე რომ უხდება ღამეულ ზღვას. თეთრი ასკილი ჯვრისწერიდან გამოქცეულ პატარ-

ძალს აგონებს, ჭიამაია – სისხლის წვეთს. ნისქვილები თითქოს ბედისწერას ფქვავენ, წლები კი სწორედ ამ ბედისწერის მტრედებად ქცეულან.

ატმის აყვავებულ ბაგეს
დააკვდება ღამე – მავრის ტური
და შენც ძალაუნებურად ამ მისტერიის
მომსწრე ხდები, როდესაც ღამეული ზმანება-
ნი, ვნებანი, ლტოლვა სასურველი არსებისაკ-
ენ, მართლაც, ვეება მავრის ტურად იქცევა
და იპყრობს სამყაროს.

ან კიდევ, ტოკავს შავი კლავიში, ჩიტი ბროლისფეხებაო, აცხადებს პოეტი და მკითხველიც იჯერებს, რომ ამ მშვენიერ კლავიშებს ბრამსისა თუ შოპენის ოპუსების ჯადოსნურ ჰანგებად აჟღერების შემდეგ ძალუძთ მერცხლებად გადაქცევა და...

აქ უნდა დავსვა წერტილი. ერთი რამის თქმა კი აუცილებლად მიმაჩნია. ნუგზარ კობერიძე თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და კოლორიტული წარმომადგენელია. მის უმთავრეს ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ პოეტის შემოქმედებითი ღვწი და რუდუნება მისი ცხოვრებისეული გზის ორგანულ გაგრძელებას და ნაყოფს წარმოადგენს. მას არასოდეს უცხოვრია მშობელი ქვეყნის ინტერესების გარეშე და მუდამ იმედით და ოპტიმიზმით, შეიძლება ითქვას, ბავშვური ოპტიმიზმით გამოირჩეოდა. მართალია, ერთმა ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა თქვა, იმედი მღვიძართა სიზმარიაო, მაგრამ ხომ შეიძლება ერთხელ მაინც ახდეს ეს სიზმარი, სიზმარი საქართველოს გაბრწყინებისა...

ნუგზარ კობერიძისთვის მკვდრადშობილი ლექსი პეპელას ნააგავს. წიგნის ფურცელზე ნემსით მიკრულ პეპელას. ამიტომაც ებრძვის სიტყვას, ებრძვის და მეტწილად გამარჯვებული გამოდის.

მეც ისღა დამრჩენია წარმატებები ვუსურვო ამ მშვენიერ პოეტს, რომელიც თავისი ღირსებებით იმ მდინარეს ემსგავსება, რომელიც რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს და ცეცხლივით გიზგიზებს ქართული ლექსის ჭიაკოკონაში, ჩვენი ცოდვილი სულებიდან ჭინკებისა და ეშმაკების განსაადევნად რომ დაინთო მირიადი წლის წინ.



ზაირა მინდელი

მ
ე
ნ
უ
მ
ო
ა
კ
ლ
ე
ბ
ს
ე
ნ
ს
შ
ვ
ი
ლ
ე
მ
ს
ყ
ვე
ლ
ა
ზე
ქ
ვი
რ
ფა
ს
ს
და
მ
თა
ვა
რ
ს

ნუ მოაკლებ შენს შვილებს ყველაზე ძვირფასს და მთავარს – დედასამშობლოს სიყვარულს.

ეს გაჭირვება დროებითია, რამდენი უძიძმესი დრო გადაუტანიათ ჩვენს წინაპრებს. დაიჭოვე გზა უკან დაბრუნების, თორემ, მერე, გვიან იქნება. გაიზოდენიან შენი შვილები სამშობლოს ფესვებამოძირკვეულები, უსამშობლო შთამომავლები და.. ამაში მხოლოდ, საკუთარი მშობლები, თქვენ და თქვენი ქართველი მეუღლე იქნებით დამნაშავე. დაფიქრდით! იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან?!

ზაირა მინდელი



იქნებ, ჯერ კიდევ, არ არის გვიან?!

დილიდანვე ცხელა. იწურება ზაფხული, ბოლო დღეებს ითვლის, მაგრამ, მაინც, საშინელი სიცხეა, იწვის ყველაფერი.

პირადობის მოწმობის ასაღებად მივიჩქარი, სიცხისაგან და გრძელი გზის ფეხით გავლის შემდეგ, ცოტა დაღლა ვიგრძენი. ახლა, ვინანე, რატომ ტრანსპორტით არ წამოვედი, ალბათ, იმ რამოდენიმე თეთრს გავუფრთხილდი, რომელიც მგზავრობის დროს უნდა გადამეხადა.

ადგილზე მისულს დიდი რიგი დამხვდა. რიგში ბოლო რომ ვიკითხე, ვინ იყო, ახალგაზრდა ბიჭმა მიპასუხა: მე და დედა ვართო. მადლობა მოვეუხადე და დაველოდე ჩემს რიგს.

ლოდინმა ცოტა დამლალა, ჩემს წინ მდგომი დედა-შვილის საუბარმა, უნებურად, მიიპყრო ყურადღება.

ვიცი, არ გენყინება დედა, სიმართლეს გეტყვი, უცხოეთში ისე კარგად ვგრძნობ თავს, არავითარი სურვილი არა მაქვს უკან დაბრუნების, ვერც ჩემს შვილებს ჩამოვიყვან, რა უნდა ნახონ აქ?... რა ვაჩვენო?.. რით გავაკვირვო?.. მე რა მოვიგე, ოცდახუთი წელი აქ რომ ვიცხოვრე?!

ვგრძნობ, გარკვეული განცდით, როგორ მიფართოვდება თვალები. ღმერთო ჩემო, რას არ გაიგებს კაცი? რით გავაკვირვო?

დედამ შვილს მხარზე ხელი დაადო, გაულიმა, მოეფერა. შენი ნებაა, შვილო... მართალია, ჩემს ათი-თორმეტი წლის შვილიშვილებს, მხოლოდ სურათებით ვიცნობ, მაგრამ იცოდე, როგორ მეამაყება და თავი მომწონს, რომ მათ ქართულზე კარ-

გად, უცხო ენები იციან. თანაც, კარგად გვეხმარები იქიდან. ჩვენთვის ხომ, მთავარი, ეს არის?.. აგერ, მეზობლებმა შური ვერ დაფარეს, მთლიან სახლს აივნები რომ შემოვარტყით.

ახლა უკვე ვიგრძენი ნერვიულობისაგან როგორ წავბარბაცდი. ჩემს გვერდით მდგომმა ქალმა ხელი შემამშველა და იქვე, სკამზე მჯდომმა ქალმა კი ადგილი დამითმო.

ცოტა რომ მოვგონდი, სასწრაფოდ, აზრების დალაგება დავინწყე. მინდოდა მომესწრო და ერთი-ორი სიტყვით დედა-შვილური რჩევა მიმეცა იმ უცნობი ბიჭისათვის, რომელსაც თავისი სათავყვანებელი, საფიცარი სამშობლო ასე მოზეზრებია. მესმის, ჭირს აქ, ჩვენთან ცხოვრება, ადამიანი შეიძლება დროებით ყველგან წავიდეს სამუშაოდ, – ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ასე, ხელაღებით, სამშობლოს უარყოფა მე ჯერ არსად მომისმენია. სამწუხაროა, რომ მათთვის, დედა-შვილისთვის ფასეული, მხოლოდ, მატერიალური მდგომარეობა ყოფილა.

მე მისი ტოლი შვილი მყავს და თითქმის ფეხით აქვს შემოვლილი თავისი სამშობლოს მიწა-წყალი. როგორ ეამაყება თავისი უძველესი, მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე, ჩვენი პატარა ქალაქი, რომელზეც ვკითხულობთ, რომ „მის ტერიტორიაზე პირველი დასახლება, გვიან, ბრინჯაოს ხანაში გაჩენილა, ელინისტურ ხანაში განვითარებულა, ხოლო, გვიან, ანტიკურ ხანაში, ქალაქის ტიპის დასახლება წარმოქმნილა“.



როგორი ისტორია აქვს იმ ქვეყანას, ჩემო თანაქალაქელო, სადაც ახლა შენ ცხოვრობ?... რითაც ჩვენ ასე თავს ვინონებთ?... ორ საუკუნეზე მეტი ისტორია, მარტო, შენი ქალაქის თეატრს აქვს. აქ რა უნდა ნახონ ჩემმა შვილებმაო? დამცინავად ამბობ. ჩამოიყვანე შენი შვილები ჩვენს – შენს ქალაქში და... ნახავ – რამდენი რამ არის აქ სანახავი, საამაყო და გასაოცარი.



ზაირა მინდელი

აიყვანე ნადიკვარზე, იქიდან დაანახვე ულამაზესი ალაზნის ველი და ამ გადასახედიდან, უნებურად, რამდენი ლექსის სტრიქონი შეგახსენებს თავს, რომლებიც შედევერებად ქცეულა. აჩვენე იყალთოში „პოეზიის დღესასწაული“ – „შოთაობა“, აგრეთვე „ალავერდობა“, „შუამთობა“, დაატკბე ცივგომბორის, კავკასიონის ქედის ულამაზესი პეიზაჟებით, რომელთა ნახვისას უცხო ქვეყნის სტუმრები გაოცებას ვერ ფარავენ. როგორ შეიძლება დაივიწყო ჩვენი ეროვნული სიამაყე ჯვარი და სვეტიცხოველი, შიომღვიმე, ზედაზენი, უფლისციხე, ვარძია და კიდევ რამდენი რამ. ესაუბრე ჩვენს გმირ წმინდანად შერაცხულ მამულიშვილებზე. გაა-

ცანი: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?... გააცანი ქართული კულტურა, ხელოვნება, აჩვენე მთანმინდა და შენი შვილები არსად აღარ მოისურვებენ წასვლას, – ჩემო უცნობო თანაქალაქელო.


ნუ მოაკლებ შენს შვილებს ყველაზე ძვირფასს და მთავარს – დედასამშობლოს სიყვარულს.

ეს გაჭირვება დროებითაა, რამდენი უმძიმესი დრო გადაუტანიათ ჩვენს წინაპრებს. დაიტოვე გზა უკან დაბრუნების, თორემ, მერე, გვიან იქნება. გაიზრდებიან შენი შვილები სამშობლოს ფესვებამოძირკვეულები, უსამშობლო შთამომავლები და.. ამაში მხოლოდ, საკუთარი მშობლები, თქვენ და თქვენი ქართველი მეუღლე იქნებით დამნაშავე.

დაფიქრდით! იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან?!

ყველა ქართველს გულისფიცარს უნდა ჰქონდეს ამოკვეთილი ჩვენი სულმნათი რაფიელ ერისთავის ეს, – მარად უკვდავი სიტყვები:

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.



თელავის ძველი უბანი
(გვირაბის ქუჩა)
მხატვარი ვანო გოციროძე



სოფიკო
გვრიტიშვილი

მ
ე
გ
ო
ბ
რ
უ
ლ
ი
ს
ურ
თი
ერ
თო
ბ
ა

ართანელ თავად გიგლო ყარალაშვილს ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ვაჟა-ფშაველასთან. პოეტი მისი ხშირი სტუმარი ყოფილა. ართანაში ვაჟა-ფშაველას დიდი ვენახის ზვარიერ ჰქონია. იმ ადგილს ართანელი ძველი ხალხი დღესაერ „ვაჟასეულა“ ზვარს ეძახის. თავადი გიგლო ყარალაშვილი ყოფილა მეტად თავმდაბალი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ჰყოლია ყუთიღოშობიღესი, შესანიშნავი მესლეე მარამ ზანადიში.

სოფიკო გვრიტიშვილი



ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა
ო
ლ
ა

„დედულეთო სიყვარულო ჩემო“



ვაჟა-ფშაველას ალბომზე მუშაობის დროს შევხვდი ასეთ ცნობას, რომ ვაჟა-ფშაველას მამას თელავის რაიონში, სოფელ ართანაში ჰქონია ვენახის ზვრები, რომლებსაც შემდგომ ვაჟა-ფშაველა პატრონობდა.

ართანაში ვაჟა-ფშაველას ჰყოლია ძალიან ახლო მეგობარი, თავადი გიგლო ყარალაშვილი, მამა შესანიშნავი ქართველი პიროვნებისა და მსახიობის კობტა ყარალაშვილისა.

ყარალაშვილებზე და სოფელ ართანის ისტორიულ წარსულზე ცოტა რამ ვიცოდი. გამიჩნდა დიდი სურვილი, რომ უფრო ფართოდ გავცნობოდი, რადგან ართანა ჩემი დედულეთია და ძალიან მიყვარს. ზაფხულს ხშირად იქ ვატარებ დეიდასთან, მეამაყება რომ ამ სოფელს ასეთი მდიდარი ისტორიული წარსული აქვს.

აი, რას სწერს ქალბატონი ნუნუ ბეჟანიშვილი თავის წიგნში „ართანის წარსული და აწმყო“

„ართანა – ალაზნის ნაპირზე, უღამაზეს დაცემულ მინდორზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთით ზვიადი კავკასიონის მთავარი ქედი საზღვრავს, აღმოსავლეთიდან მდინარე ლოპოტა, დასავლეთიდან მდინარე ჭიჭაკვი, ხოლო სამხრეთიდან სოფელი სანიორე აკრავს.

ართანა კავკასიონის მთის კალთების ძირშია გაშენებული, უძველესი სოფლების ნაფუძვარზე – ართანის როგორც სოფლის დასახლება ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო. ართანა დიდი ისტორიული წარსულის მქონეა, აქ არის V-VI საუკუნის ძეგლები ე.წ. „ჟუჟურაულის ღვთაება“, სანიორე-ართანის საზღვარზე მდებარე ბაზილიკა – „სამება“, „წმინდა გიორგისა“ და „თევდორეს“ ეკლესიები. X-XI საუკუნეებისა „ორმოცის ეკლესია“, „ცხრაკარა“, წმინდა აბრამის ეკლესია და მის ახლო-მახლო ტერიტორიაზე გაბნეული სხვა პატარ-პატარა ეკლესიები და ნიშები. ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, საინტერესო ნაგებობები, ციხე-კოშკები, რომლებიც თავის დროზე დიდ როლს თამაშობდნენ. ჟამთა სიავისაგან ისინი, რასაკვირველია, გაცვენენ, დაკარგეს თავიანთი პირვანდელი სახე, მაგრამ დღესაც მეტყველებენ ართანის მდიდარ ისტორიულ წარსულზე.

იქნებ, ამიტომაც უყვარდა ძალიან ჩვენ გენიოს პოეტს – ვაჟა-ფშაველას სოფელი ართანა და იქ მცხოვრები უსაყვარლესი მეგობარი თავადი გიგლო ყარალაშვილი. (ს.გ.)

თვალს ჭრიდა, – მნახველს ატყვევებდა ყარალაანთ დიდ და დაბურულ ხეხილის ბალის სიღრმეში ჩადგმული ქვიტიკირის დიდი სახლი, რომელიც ჩაფლული იყო მთლიანად კვიპაროსების, იასამნებისა და ვარდების ხეივანში.

გიგლო ყარალაშვილი შესანიშნავი ხმისა და უზადო არტისტული ნიჭის პატრონი ყოფილა. ყარალაშვილები გამოირჩეოდნენ საოცარი



მუსიკალობით – ისინი უკრავდნენ ყველა საკრავზე. ართანის მცხოვრებით ბევრი საინტერესო ცნობა შემოუნახავთ გიგლო ყარალაშვილის შესახებ. მას ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია. მისი თაოსნობით გახსნილა სოფელ ართანაში ორწლიანი სკოლა, სადაც გლეხის შვილებს თვითონ ყარალაშვილები ასწავლიდნენ უსასყიდლოდ.

გიგლო ყარალაშვილი ყოფილა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, მას ახლო ურთიერთობა და მინერ-მონერა ჰქონია იმდროინდელ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

აკაკი წერეთელი ისე ახლოს ყოფილა გიგლო ყარალაშვილთან, რომ ერთ-ერთ წერილში თავის ოჯახურ უსიამოვნებებზეც კი წერდა.

გიგლო ყარალაშვილის ბებია ჭავჭავაძიანთ ქალი ყოფილა. მას ხშირი მინერ-მონერა ჰქონია ილია ჭავჭავაძესთან. იგი არაერთხელ სტუმრებია მას ართანაში.

გიგლო ყარალაშვილი ახლო ნათესავი ყოფილა დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის, ისინი მკვიდრი დეიდაშვილები იყვნენ.

სოფელ ართანაში ხშირად სტუმრობდა ქართველი პოეტი ტიცციან ტაბიძე. ართანელები მას თავის საყვარელ სიძედ თვლიდნენ. ტიცციან ტაბიძე გიგლო ყარალაშვილის ბიძაშვილის – ვარო მიხეილის ასულ ყარალაშვილ-მაცაშვილის ქალიშვილის – ნინოს მეუღლე იყო. ტიცციანი დიდად აღფრთოვანებული იყო ყარალაშვილებით, გიგლოს მოსწრებული სიტყვა-პასუხით, კარგი ქართულით და რაც მთავარია, მისი შესანიშნავი ხმით, ამან დაანერინა ტიცციან ტაბიძეს თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „კახეთი“

ასე მეძახის ალაზნის ველი;
მოდით სტუმრებო, ხართ სასურველი
მოდით და ნახეთ ყვარელის ღვინო
მოდით კახურად რომ მოვილხინოთ.
ნეტა სხვა ხალხიც წამოგვეყვანა,
გელით პოეტებს სუფრა გაშლილი,
შილდაში მღერის დედას – ლევანა
და ართანაში ყარალაშვილი.

დედამ ეს ლექსი წამიმღერა კიდევ, შესანიშნავი მელოდია აქვს. ართანაში დღესაც ბევრი მღერის: სიმამრები, ჩახუტაშვილები და ბევრი სხვა. ბატონი ანდრო სიმამრები, შესანიშნავი ლოტბარი დედას მასწავლებელი ყოფილა, ყოველთვის დიდი სიყვარულით ჰყვება მასზე. (ს.გ.)

ერთხელ თბილისში მყოფ გიგლო ყარალ-



სოფიკო პერიტიშვილი

ამვილს გაუგია, რომ ალექსანდრე ყაზბეგი აქ გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა. გიგლოს სასწრაფოდ უყიდა ქალაქი, მელანი, კალმისტარი, ზედ ფულიც დაუმატებია. ლაქიისთვის უთხოვია არ უთხრა თუ ვინ გაუგზავნაო, ფიქრობდა, რომ შეიძლება მის თავმოყვარეობაზე ემოქმედა. სოფელში დაბრუნებულს გიგლოს ყაზბეგის წერილი მიუღია.

ყაზბეგი წერდა:

„ბატონო გიგლო! დავინტერესდი თქვენი ვინაობით, მივაგენი თქვენს კვალს, გაგიცანით შორიდან. ბევრი რამ მოვისმინე

თქვენს კაცთმოყვარეობაზე. თქვენს კეთილ გულში სხვებთან ერთად მეც ჩამტიეთ“!

გიგლო ყარალაშვილს განსაკუთრებით ჰყვარებია ვაჟა-ფშაველა. მათი მეგობრობა დიდხანს გრძელდებოდა. გიგლოსთვის დიდი სიხარული იყო მისი ართანაში სტუმრობა. გიგლო ყარალაშვილი ნაცადი მეზობელი ყოფილა, ყარალაშვილის გმირად არის ცნობილი.

გიგლო ყარალაშვილმა მემკვიდრეობით მიღებულ ხალხურ მელოდიებზე აღზარდა თავისი შვილებიც: ნატალია (ტალა), ვახტანგი, ფარნაოზი და კობტა ყარალაშვილები, რომლებიც შემდგომ კახური სიმღერების უბადლო შემსრულებლებად იყვნენ ცნობილები. მისი შვილებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართველი ხალხის საყვარელი კინომსახიობი კობტა ყარალაშვილი. იგი დაიბადა და გაიზარდა სოფელ ართანაში. განათლება თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიუღია. მას თავის ლამაზი, ვაჟკაცური გარეგნობით მოუხიბლია ცნობილი რეჟისორები ალექსანდრე წუნუნავა, ივანე ბერესტიანი, მიხეილ ჭიაურელი და სხვა. მას მრავალი როლი შეუსრულებია კინოფილმებში: „ელისო“ (რეჟ. ნიკ. შენგელია) „ვაჟიას სახე“, „საკანი №79“. სომხურ ფილმში „ზამალუ“, „ქეთო და კოტე“ (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი) „არსენაში“ (რეჟ. მიხ. ჭიაურელი), „გიორგი სააკაძეში“ შექმნა აზნაურ ქვლივიძის სახე. შემდგომ „დავით გურამიშვილში“.

კიდევ გადაღებული ყოფილა ცალკე ნაწილად „ქაჯეთის ციხის აღება“ სადაც მას ერთ-ერთი მთავარი როლი შეუსრულებია, ამას დედა მომიყვა, თავისი ახლობლებისაგან მოუსმენია დიდი ხნის წინ. (ს.გ.)

ყველასათვის მოულოდნელად 49 წლის ასაკში, კახეთის გზაზე ავტოკატასტროფის დროს სასიკვდილოდ დაშავდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოეთხოვა სიცოცხლეს“.





* * *

დედაჩემის გამზრდელ პაპა-ბებიას თავიანთი უმცროსი შვილისთვის კობტა დაურქმევიანო, კობტა ყარალაშვილის დიდი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად. კობტა ჩემი პაპაა, სოფელ ართანთან. მისი მშობლები – ჩემი დიდი პაპა და ბებია, თამარი და გიორგი, დიდი სიბოთი და სიყვარულით იგონებდნენ თურმე ყოველთვის ართანელ თავად ყარალაშვილებს, განსაკუთრებით გიგლოს, კობტას, რეზოს.

ართანაში მცხოვრები სანდრო გაგნიძე (გორელი) თბილისში სტუმრად ჩასულა თავის ახლო მეგობართან კობტა ყარალაშვილთან. კობტას თავისი მეგობარი რესტორანში დაუპატიჟებია. ბატონ კობტას მაგიდაზე გადმობრუნებული თეფშები დაულაგებია და მასზე შესანიშნავად უცეკვია, ისე რომ არც ერთი თეფში არა თუ გაუტეხია, არც კი გაბზარულა.

ერთხელ კობტა ყარალაშვილს ართანთან შილდაში კამეჩების ურმით მიჰქონებია დიდი ქვევრი. ქვევრში ჩამსხდარან ართანელი ზურნისა და დოლის დამკვრელები. მთელი ეს გზა მუხიკითა და ქეიფით მიდიოდნენ თურმე. ასე მხიარული განწყობით მისულა შილდაში კობტა ყარალაშვილი თავისი მეგობრის სახლში.

* * *

ართანელ თავად გიგლო ყარალაშვილს ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ვაჟა-ფშაველასთან. პოეტი მისი ხშირი სტუმარი ყოფილა. ართანაში ვაჟა-ფშაველას დიდი ვენახის ზვარიც ჰქონია. იმ ადგილს ართანელი ძველი ხალხი დღესაც „ვაჟასეულა“ ზვარს ეძახის. თავადი გიგლო ყარალაშვილი ყოფილა მეტად თავმდაბალი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ჰყოლია უკეთილშობილესი, შესანიშნავი მეუღლე მარიამ ბაბადიში.

თავად გიგლო ყარალაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შეხვედრა ყოველთვის დიდ ლხინად იქცეოდა ხოლმე, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს ლექსი გამოუთქვამს ვაჟა-ფშაველას მეგობრისათვის.

ბევრჯერ მასმევედი ღვინოსა,
როცა მწყუროდა წყალია
თავადიშვილის ხელშია
ფშაველი დაჩაგრულია.

კობტა პაპა ძალიან განათლებული ადამიანია, მასთან ყველა თემაზე ისაუბრებ, განსაკუთრებით უყვარს ხელოვნება და ლიტერატურა. ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ქალაქ თელავისთვის და სოფელ ართანისთვის. ხელმძღვანელობდა ბევრ საპასუხისმგებლო მშენებლობას.

როზა ბებიას ნაამბობი

ართანაში ყოფნის დროს გავიგე, რომ როზა ბებია (დეიდას დედამთილი) გიგლო ყარალაშვილის შვილის ნატალიას (ტალიას) ქალიშვილის, ქალბატონ ტურფას ნახევარდა ყოფილა. გაოცება და სიხარული ვერ დავფარე, და რა თქმა უნდა, ვისარგებლე ამ შემთხვევით. ბევრ საინტერესო ამბებზე მესაუბრა როზა ბებია. მასთან საუბარმა ხალისთან ერთად, სევდაც მომგვარა. ახლა მხოლოდ რამოდენიმე სიტყვით, რაც მე ყველაზე ძალიან მაინტერესებდა, ვაჟა-ფშაველას და ბატონ გიგლო ყარალაშვილის ურთიერთობის შესახებ. და კიდევ ძალიან დამაინტერესა კობტა ყარალაშვილის პიროვნებამ.

ვაჟა-ფშაველას და გიგლო ყარალაშვილს განუყრელი მეგობრობა აკავშირებდათ. მათ ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი. დიდი პოეტი ხშირი სტუმარი იყო ბატონ გიგლოსი. შვილებსაც ერთნაირი სახელები დაარქვეს – ლევანი. სამწუხაროდ გიგლო ყარალაშვილის შვილი ლევანი, რომელიც მას პირველი მეუღლისგან ჰყოლია, ახალგაზრდა 22-23 წლის ასაკში გარდაიცვალა ტუბერკულოზით. მისი დიდი სურათი, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, დღესაც ინახება ჩემი დის სახლში.

რაც შეეხება კობტა ყარალაშვილს, მასზე ბევრი რამ მიაბო. პირადად ვიცნობდი და ძალიან მიყვარდაო. მღეროდა შესანიშნავად, ყოფილა ასევე კარგი გარეგნობის, ჰქონდა განიერი მხარ-ბეჭი, წელი წვრილი, დარბაისლური მიმობზრა. იყო ვაჟკაცური ბუნების, ახლობლების, მეგობრების და საერთოდ ადამიანების მოყვარული და თავდადებული. ყოფილა ძალიან თავმდაბალი. მისი ერთ-ერთი და როცა ცოლად გაჰყოლია გლეხის შვილს, ყველა ძალიან გაბრაზებულა, მხოლოდ კობტა იყო დის მანუგემებელი.

მის ერთ დას ქ-ნ ლიზას უცხოეთში უცხოვრია, ყოფილა კონსტანტინის მეუღლე. უცხოვრია დიდ ფუფუნებაში. ადრე ასეთი თავისუფალი ურთიერთობა არ ყოფილა უცხოეთთან და ძმის კობტა ყარალაშვილის დალუპვის ამბავი მას გაუგია უცხოეთში წასული ქართველი მოცეკვავეთა ანსამბლის წევრებისაგან. იქვე გადაუხდია მისთვის პანაშვიდი. ქ-ნი ლიზა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჩამოსულა საქართველოში. ყოფილა ძალიან ლამაზი, მაგრამ ერთ წელიწადში ღრმად მოხუცს დაემსგავსაო. სულ იმას გაიძახოდა ისე არ მოვკვდე რომ ჩემი ართანა არ მაჩვენოთო.

კობტა ყარალაშვილის პირველი მეუღლე იყო ლეჟავების ქალი მარია, რომელიც ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მასთან შვილები არ ჰყოლია.



მეორე ცოლი იყო იყალთოდან – მარიამი. მათ ჰყოლიათ ოთხი ქალიშვილი.

სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ ყარაღამ-ვილები, ყოფილა დიდი ორსართულიანი შენობა. 1924 წელს ეს სახლი ჩამოურთმევიათ. წლების განმავლობაში ამ შენობაში ყოფილა ართანის რვანლიანი სკოლა. დღეისათვის აღარ არსებობს, სიძველის გამო დაუნგრევიათ.

* * *

ახლა ვისაუბრებ ფშაველი მოლექსე ალექსანდრე (ფრუშკა) წვეროშვილისა და ვაჟა-ფშაველას შეხვედრის ამბავს ჩარგალში, რომელიც ჩემმა კარის მეზობელმა, კარგმა პიროვნებამ და შესანიშნავმა ექიმმა ალიკა (ალექსანდრე) ძიამ მიაბო. იგი ბატონ ალექსანდრე (ფრუშკა) წვეროშვილის შვილიშვილია.

ალიკა ძიას თითქმის უკვე მზადა აქვს გამოსაცემად წიგნი თავის პაპაზე – „მე უბრალო მოლექსე ვარ“.

პაპაჩემი ალექსანდრე (ფრუშკა) წვეროშვილი შესანიშნავი მოლექსე ყოფილა. დაბადებულია 1878 წელს თიანეთის რაიონის სოფელ სოფლიონში. წერა-კითხვა ოჯახში შეუსწავლია. პოეტური ნიჭი და ლექსის გამოთქმის უნარი ბავშვობიდანვე გამოუმჟღავნებია. მამა ადრე გარდაეცვალა და ცამეტი წლის ბიჭს დანოლია ოჯახის მძიმე ტვირთი.

ერთხელ, როდესაც მისი ოჯახის წევრები გარდაცვლილ ახლობლის ოჯახში მიდიოდნენ სამძიმრის სათქმელად, ალექსანდრესაც მოუნდომებია იქ წასვლა და უთქვია: მე სამძიმარ

სიტყვას ლექსით ვიტყვიო და თოთხმეტი წლის ბიჭს ეს ლექსი გამოუთქვამს.

მოგიკვდათ უქშერებელი
ჭირ შეხვდა უშველებელი,
ან კი სხვა ვინა ყოფილა
უკვდავი – უბერებელი?!

მისი ბევრი ლექსი, თურმე, ხალხურად მონათლეს. სინამდვილეში ეს ლექსები ყოფილა ალექსანდრე წვეროშვილისა. იგი ახალგაზრდობიდანვე მონანილეობას ლებულობდა ფშაურ ლექსობაში და ამ პოეტურ შეჯიბრში უმეტესწილად გამარჯვებული გამოდიოდა. იგი თურმე გამართულად მეტყველებდა გერმანულ და რუსულ ენებზე.

ბატონი ალექსანდრე კარგად იცნობდა ჩვენს გენიოს პოეტს ვაჟა-ფშაველას. მას და ნინო ჰყოლია ჩარგალში მის მეზობლად გათხოვილი. ჩარგალში მყოფ ალექსანდრეს (ფრუშკას) ვაჟა-ფშაველა შეხვედრია, სახლში მიუპატიჟია და გამასპინძლებია. ცოტა ხნის შემდეგ, ვაჟა-ფშაველა ფრუშკას შელექსებია. მას კარგად სცოდნია თუ ვინ იყო ვაჟა-ფშაველა. მიუხედავად ამისა, მან პასუხი დაუბრუნა და მოწინებით ჰკადრა, მე პოეტებთან ლექსობას ვერ შევძლებ, მე ხომ უბრალო მოლექსე ვარო.

ვაჟა-ფშაველა:
ჩემთან მოდი სოფლივნელო,
ვაჟამ გითხრას არაკები
ფრუშკა:
ჩარგალს იმიტომ გადმოველ
არტანს მოვსპე არაყები
მე უბრალო მოლექსე ვარ,



სოფელი ართანა





პოეტებთან რას გავხდები?!
ქვემოთ დაწერილი ლექსები ეკუთვნის ბატონ ალექსანდრე (ფრუშკა) წვეროშვილს.

* * *

რაც კი ახალ ამბავია,
გამაგონეთ მე საითა,
ეგ კი აღარ გამიგონავ
ცოლის ცემა ხვედაითა
ჯერ კამბეჩებ ინურთნება
შე ურჯულოვ, ნკებლაითა,
მაგას გინდა დაჯერება,
კარგს მოიყვან ვერსაითა.

* * *

სამჭედლოში მომიტანეს
ხვთისო შენი მონაწერი,
ისე ძან გამიხარდა
რკინას ველარ დავკარ კვერი
ეგრე როგორ აგისრულდა,
ღვთისთვის რა გაქვს შენაძღვენი?
თიანეთში ვადღეგრძელებ
შენი მაუზერის წვერი.

* * *

გაგიცვდა შუშან ქალაო,
ნითელ კაბაის ბრიალი,
კოჭამდე თეთრი ჩიქილა.
ბოლომდე ხობბის თვლიანი,
ლხინ-ქორნილებში სირბილი,
თითის წვერებზე ტრიალი.
ალექსანდრე (ფრუშკა) წვეროშვილი გარდა-
იცვალა 1942 წელს. 64 წლის ასაკში. დაკრძალუ-
ლია თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში.

* * *

ახლა რამოდენიმე სიტყვით გიამბობთ ჩემი
თანაკლასელი ფშაველი ბიჭის ვაჟა ნადირაშვი-
ლის ნაამბობს.
მისი წინაპრები, დიდი ხნის წინ, ფშავ-
იდან, სოფელ ჭიჩოდან ყოფილან ჩამოსულე-
ბი. მას ბევრი ნათესავები ჰყოლია იქ. ხშირად
ჩადის ჩარგალში. მან ბევრი რამ მიაგებო თავ-
ის სახელოვან წინაპრებზე. ფეხი ჩარგალში
აუდგამს, დიდი ვაჟა-ფშაველას ეზოში. ვაჟა
საინტერესოდ მიყვებოდა თუ როგორ თევზაობ-
და ვაჟა-ფშაველას შვილიშვილთან ლუკასთან
მდინარე ჩარგულაზე. მას ძალიან ჰყვარებია

მასთან ყოფნა.

ვაჟას დედას, დალი დეიდას, რომელიც ჩემი
საყვარელი მასწავლებელი იყო ბაღში, ახლო
ურთიერთობა ჰქონია ვაჟა-ფშაველას ქალიშვი-
ლთან, ღრმად მოხუცებულ გულქანთან.

ვაჟამ ფშავიდან ბევრი ფოტომასალა
ჩამოიტანა, მათ შორის იყო ბატონ მიხა ხელაშ-
ვილის საფლავის ქვის სურათი. მე მის შესახებ
არაფერი ვიცოდი.

აი, რა მიაგებო ვაჟამ მის შესახებ: მიხა ხე-
ლაშვილი მამაჩემის ბებიის ძმა არისო დედის
მხრიდან. ყოფილა სახალხო მთქმელი, საქართ-
ველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა)
ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი. არის ასეთი
აზრი, რომ შესანიშნავი ხალხური ლექსი „ვეფხ-
ისა და მოყმისა“ ეკუთვნის მიხა ხელაშვილსო.

ლექსი „ლექსო ამოგთქომ“ ყველას ხალხ-
ური გვეგონა, სინამდვილეში ბატონ მიხა ხელ-
აშვილის ყოფილა. აი, ის მასალაც გაზეთიდან,
რომელიც ვაჟას ოჯახში ინახება (ალმანახ
უქიმერიონის ბიბლიოთეკა) „ლექსო ამოგთქომ,
ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“ შემოსულია
ქართული წყობილსიტყვაობის ოქროს ფონდ-
ში, მაგრამ ბევრს უთუოდ იგი ხალხური ჰგო-
ნია, ამ ლექსის ავტორი კი გახლავთ შუაფხოს,
სოფელ ახადის მკვიდრი, ბრწყინვალე მოლექსე,
მიხა ხელაშვილი, ვინც სრულიად ახალგაზრდა
დაიღუპა ტრაგიკულად. ამიტომაც გაიბნა მისი
ლექსები.

ვაჟა ნადირაშვილი ხშირად ახსენებდა ლა-
მარა მამიდას სახელს, ქ-ნი ლამარა ყოფილა
ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილის შვილიშვილი, გიგ-
ლა რაზიკაშვილის შვილი. ის ვაჟას მამის ალა-
ლი დეიდაშვილი ყოფილა.

მე მჯერა, რომ ჩემი თანაკლასელი ვაჟა
თავისი ღირსეული წინაპრების ღირსეული მემ-
კვიდრე გაიზრდება, წინაპრების ხსოვნას ღირ-
სეულ პატივს მიაგებს, მათ შესახებ მოუყვება
თავის შვილებს, შვილიშვილებს, ისე როგორც
ახლა მას უყვება თავისი მამა.

დიდი მადლობა ჩვენი ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელს ქალბატონ
ნინელი ნათიძეს, რომ ასე ძალიან შეგვაყვარა
ჩვენი სამშობლო და მისი სასიქადულო მამუ-
ლიშვილები.

წარსულზე მოგონებებმა საოცარი სევდა
მომგვარა, მართლაც წუთია წუთისოფელი.

2003 წელი





თელავის თეატრის წარმატება საქართველოს თეატრალურ ფესტივალზე

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საქართველოს თეატრალური ფესტივალი 5-15 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 8 თეატრი 9 სპექტაკლით, ხოლო 15 თეატრი ჩვენი დედაქალაქიდან და საქართველოს რეგიონებიდან 17 სპექტაკლით. მაყურებლის წინაშე



ნარდგა ლვოვის მარია ზანკოვეცკას სახელობის ნაციონალური აკადემიური დრამატული თეატრი უკრაინიდან; ასევე დასები პორტუგალიიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან.

საზგასამელია, რომ ფესტივალი ფონდ „ქართუს“ მიერ რეაბილიტირებულ ოზურგეთის თეატრში პირველად გაიმართა და საფესტივალო დღეებში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე, ასევე ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაზე შექმნილი 26 სპექტაკლი მაყურებელმა თეატრის სამივე – დიდ, მცირე და ექსპერიმენტულ სცენაზე იხილა.

წლევანდელი ფესტივალის სტუმრები იყვნენ თეატრებისა და ფესტივალების საერთაშორისო ასოციაციის ETA დამფუძნებლები და ბორდის წევრები. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ასოციაციის კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა ოკუპირებული ხერსონის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ოლექსანდრ კნიგა.

დახურვის ცერემონიაზე, რომელსაც კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს სპექტაკლისათვის „კაცია – ადამიანი?!“ (რეჟისორი ლევან წულაძე) საუკეთესო სპექტაკლისათვის გადაეცა მთავარი პრიზი „ნოდარ დუმბაძის პრემია“.





მხატვარი შალვა მატუაშვილი

